გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№7 (763) 23 - 24 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„შეფიცულების“ გენერალი გია უჩავა თავისუფალია

რა ხდებოდა სახალხო კრებაში 26 მაისამდე, ვინ მიუგზავნა სააკაშვილმა არჩევნებზე დახმარების სათხოვნელად და ვის წინაალმდეგ შეაქვს სარჩელი გია უჩავას

„ალიარებითი ჩვენება“ „ვერსიას“

გვ. 3

„თეა წულუკიანი თუ ამბობს, რომ მისი მამა ხალხს მაშინდელი კანონმდებლობის გამო ხვრეტდა, მე რატომ არ მაქვს უფლება, იგივე ვთქვა?“

რას აღიარებს და აპირებს თუ არა „ოცნებასთან“ თანამშრომლობას დევან ბეჟაშვილი

გვ. 5

20 გვერდი

ნოდარ ჯავახიშვილი:

„თქვენი გაზეთის საშუალებით, მივმართავ ყველა იმ ბანკს, სადაც ჩვენი თანამშრომლების ქონება ჯერ კიდევ დაყადაღებულია — დროულად შეასრულეთ დაკისრებული ვალდებულება!“

გვ. 7

„დედ ჰასანის“ მკვლელობის მთავარი ვერსიები

გვ. 8

„ვისოლლისა“ და „უნიქარდის“ ერთობლივი აქციის წყალობით, ფონდი „იავნანა“ მრავალშვილიან ოჯახს ბინას გადასცემს

გვ. 20

ვინ არის ქსენოფობიის მსხვერპლი — ქართველი თუ „ზენიტი“

გვ. 15

დევან ყენია არაფერს ნანობს — დვოვის „კარპატის“ დიდერზე დიდი მოთხოვნაა

„ახალი რუსი“ ჟერარ დედევიჩ დეპარდიე

რატომ ზრდიდნენ ბომად, მიიღო თუ არა მონაწილეობა ჯგუფურ გაუპატიურებაში და რა ნახა კომაში ფრანგმა მსახიობმა

გვ. 12

მანანა კობახიძე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტს დატოვებს, გენერალური მდივანი დავით საგანელიძე გახდება?

ეკა სეხნიაშვილი

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში, თავმჯდომარეს იცვლის. თებერვალში პარტიის ყრილობა ჩატარდება და სწორედ ამ ყრილობაზე ოფიციალურად დასახელდება ახალი თავმჯდომარე, რომელიც, დიდი ალბათობით, თავად ბიძინა ივანიშვილი იქნება.

რატომ ემიჯნება კოალიციაში შემავალ პარტიებს ბიძინა ივანიშვილი

„ვერსიის“ წყარო საქართველოს მოქმედი პრემიერ-მინისტრის ამ გადაწყვეტილებას არ გამორიცხავს და არც იმას უარყოფს, რომ შესაძლებელია, ეს შიდაპარტიული გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი პარტიებისგან გამიჯვნის პროცესის დასაწყისად ჩავთვალოთ.

ვაკანტურია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაც, რომელიც არჩევნებამდე მოქმედ ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს ეკავა. პოლიტიკური მდივნის ფუნქციას, სავარაუდოდ, ვეღარც სოზარ სუბარი შეითავსებს. ეს ბუნებრივია, იმას არ ნიშნავს, რომ ისინი პარტიას გაემიჯნებიან, მაგრამ პარტიულ თანამდებობაზე, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნის გამო, უარის თქმა მოუწევთ. კულუარებში ამბობენ, რომ ამ პოსტზე დავით საგანელიძის კანდიდატურა განიხილება.

უკვე გარკვეულია, რომ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკურ საბჭოში, ძველ წევრებთან ერთად, ახალი სახეებიც შევლენ. აუცილებლად შეიცვლება პარტიის რეგიონული ხელმძღვანელები და რაიონული ორგანიზაციების უფროსები. დაბრუნდება თუ არა რეგიონული სამსახურის უფროსის პოსტზე „თამაშგარე“ მდგომარეობაში დარჩენილი მამუკა არეშიძე, ჯერჯერობით, არავინ იცის, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ პარტიულ სამუშაოში, შესაძლოა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს ეკა ბესელია.

მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, ვითარებას ამწვავებს უკმაყოფილების ტალღა რეგიონებში — უკვე არსებობს კონკრეტული ინფორმაციები რამდენიმე რეგიონში „ოცნების“ მიმართ არცთუ დადებითი დამოკიდებულების შესახებ. დიდი გაუგებრობაა აქტივისტებთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე ღიად საუბრობენ გარკვეული თანხების „მოტეხვის“, ანდა დაპირებების არშესრულების შესახებ. „ოცნების“ კულუარებში ამ ფაქტს ერთადერთი არგუმენტით ხსნიან — წინასაარჩევნოდ, ივანიშვილმა მძლავრი პარტიის შექმნა ვერ შეძლო და ამიტომაც რეგიონულ ოფისებში ,,ფორუმის“ , ალასანიასა და „რესპუბლიკელების“ შიდაპარტიული რგოლების იმედად ამუშავა. ამჯერად, ივანიშვილი ნელ-ნელა ამ პარტიებისგან გამიჯვნას იწყებს და ამ შეცდომის გამოსწორებას აპირებს. აშკარაა, ივანიშვილს პარტიაში სამუშაო აქვს და ამ პროცესს დავით საგანელიძე ხელმძღვანელობს, რომელმაც უკვე ჩაატარა მუშა-შეხვედრები კოორდინატორებთან. პარტიაში შიდაწმენდა დაწყებულია.

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ 2012 წლის 21 აპრილს დაფუძნდა. საპარლამენტო არჩევნებში კი კოალიციაში რამდენიმე პოლიტიკური ძალა გაერთიანდა. უკვე ღიად გაცხადდა, რომ ეროვნული ფორუმი, ოცნების ყრილობის შემდეგ, პარტიულ არსებობას შეწყვეტს. გაურკვეველია მხოლოდ ერთი ფაქტორი, რა პოზიციას დაიკავებს „ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა. ასევე გაურკვეველია, რას იზამს გოგი თოფაძე, რომლის პარტიაც ისეთივე კვალიფიციური სუბიექტია, როგორიც „ფორუმი“. ფაქტია ისიც, რომ ივანიშვილის კერძო პარტიის გაძლიერება ყველაზე მეტად ბლოკის სხვა სუბიექტებს, „რესპებსა“ და ალასანიას პარტიას არ აწყობს, რომლებიც აქამდე, ივანიშვილის მთავარ პარტიულ საყრდენად ითვლებოდა.

საქართველო: შანტაჟი ჰომოსექსუალობის გამო

CNN INTERNATIONAL .com

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გეი ხართ ქვეყანაში, სადაც მართლმადიდებლობა დომინირებს.

წარმოიდგინეთ, რომ სექსი გაქვთ საჯარო პირთან.

წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცამ ფარულად გადაგიღოთ ამ საჯარო პირთან სექსუალური კავშირის დროს.

წარმოიდგინეთ, რომ ამ მაკომპრომეტირებელ ჩანაწერს თქვენი და თქვენი პარტნიორის, საჯარო პირის წინააღმდეგ იყენებენ. ალბათ, ყველაფერი ეს ძნელი წარმოსადგენია, თუ ისეთ ქვეყანაში ცხოვრობ, სადაც ადამიანის უფლებები კარგადაა დაცული და პრივატულობა ძვირფასი რამაა.

ის, რაც სხვებისთვის დაუჯერებელია, საქართველოში ზოგიერთს საშინელ გამოცდილებად ექცა. 2013 წლის 14 იანვარს, საქართველოს პროკურატურამ განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია იწერდა საჯარო პირების ჰომოსექსუალურ სქესობრივ კონტაქტებს და ამ ჩანაწერებს მათი შანტაჟისათვის იყენებდა.

ცხადია, ამ ტიპის მუქარა, შანტაჟი და თავდასხმა ადამიანებზე ახალი არ არის და ასეთი შემთხვევები მთელ მსოფლიოში, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხდებოდა. გლდანის ციხეში სექსუალური ძალადობის კადრების გავრცელების შემდეგ, საზოგადოებაში ეს ფაქტი აღარ გაკვირვებიათ. ბევრმა უფლებადაცვითმა ორგანიზაციამ, მათ შორის – „**LGBT** საქართველომ“, ოფიციალურ პირებს მოუწოდა, შეეწყვიტათ ასეთი მასალის გადაცემა ტელევიზიით. მაგრამ, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ განაცხადა, ტელეარხებმა არ დაიცვეს მაუწყებლობის კოდექსი, რომლის თანახმად, ტელევიზიით არ უნდა გადაიცეს სექსუალური სცენები ღამის 12 საათამდე. 20-დან 23 საათამდე, სექსუალური ეპიზოდებისა და სექსზე დისკუსიის გადაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი და ამ შემთხვევაშიც, მასალა სათანადოდ უნდა იყოს დამონტაჟებული. კოდექსში ასევე ნათქვამია, რომ როდესაც გადაიცემა ინფორმაცია დანაშაულზე, „მაუწყებელმა უნდა მოძებნოს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმპციის, ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა და მოწმეთა პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემას შორის“.

ამ მოწოდების შემდეგ, 15 იანვარს, არჩილ კბილაშვილმა, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ პროკურატურას არ დაურღვევია ადამიანის უფლებები, როდესაც ვიდეოჩანაწერი გადასცა, რადგან შეუძლებელი იყო ფირზე ასახული პირების იდენტიფიცირება.

განმარტებას შვება არ მოუტანია და პირიქით, ასეთი მადისკრედიტირებელი ჩანაწერების არსებობა ყოველთვის არის და იქნება მუდმივი შიშის მიზეზი მათთვის, ვინც გადაიღეს და ვინც არ გადაუღიათ.

საქართველოს **LGBT** ორგანიზაციებმა „ფეისბუქით“ პროკურატურის შენობასთან დაგეგმეს საპროტესტო ღონისძიება მათი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების შანტაჟის, პროვოკაციისა და დამცირების წინააღმდეგ.

ორგანიზაცია „იდენტობამ“ წამოიწყო ონლაინკამპანია „შემიტყუე ხაფანგში“.

საქართველოს პრეზიდენტი მკაცრად აკრიტიკებს რუსეთსა და ივანიშვილს სტრასბურგში

სტრასბურგი – საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა როგორც რუსეთი, ასევე საქართველოს მოქმედი მთავრობა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას.

21 იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში, სააკაშვილმა მოსკოვს ბრალი დასდო, რომ ის არ ასრულებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს და განაცხადა, რომ რუსეთი განაგრძობს ამ ტერიტორიებზე თავისი სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდას.სააკაშვილმა საქართველოს მოქმედი მთავრობაც გააკრიტიკა და ის მოსამართლეებზე თავდასხმაში, თავისუფალ მედიაზე ზეწოლასა და მისი პოლიტიკური მოკავშირეების წინააღმდეგ შერჩევითი სამართლის წარმოებაში დაადანაშაულა. საქართველოს პრეზიდენტმა, რომლის პარტიაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის კოალიციასთან დამარცხდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ასევე მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი და ბრალი დასდო მას, რომ უარს ამბობს საქართველოს ნატო-ში განევრიანებისკენ სწრაფვაზე.

ვახტანგ ხმალაძე პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევნებს ითხოვს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება, თუ შემოდგომაზე ახალი პრეზიდენტი პირდაპირი წესით აღარ აირჩევა. მისი თქმით, კონსტიტუციის იმ ნაწილში, რომელიც პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს ეხება, სერიოზული ცვლილებებია დაგეგმილი, რათა ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში გაწონასწორებული, ისეთი სახელისუფლო მოდელი არსებობდეს, როდესაც არც ერთ განშტოებას ზედმეტი უფლებები არ ექნება.

ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ ამ რეფორმის ერთ-ერთი საკითხი პრეზიდენტის არჩევის წესია. დეპუტატის განმარტებით, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი აღარ არის, ვერ ერევა მთავრობის საქმიანობაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში საერთოდ აღარ მონაწილეობს, მას უფრო არბიტრის ფუნქცია აქვს და, ძირითადად, არასამთავრობო სტრუქტურების ფორმირებაში მონაწილეობს. ამის შესახებ ხმალაძემ სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა.

დეპუტატი ამბობს, რომ ევროპის ქვეყნებში პრეზიდენტი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არაპირდაპირი წესით არის არჩეული — არა ამომრჩევლების, არამედ პარლამენტის ან ამრჩევთა კოლეგიის მიერ, რომელიც პარლამენტის წევრებისა და კიდევ სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების დელეგატებისაგან შედგება. ვახტანგ ხმალაძემ ჯერ არ იცის, შემოდგომაზე რა ფორმით იქნება პრეზიდენტი არჩეული. მისი თქმით, ეს მოდელის არჩევისას გადაწყდება.

„ვფიქრობ, უკეთესია, თუ ეს იქნება არაპირდაპირი არჩევნები. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო რესპუბლიკისთვის ეს უფრო უპრიანია. ორ მიზეზს დაგისახელებთ, ერთი არის არჩევნების სიძვირე, მეორე კი — პრეზიდენტს, რომელიც

აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი არ არის, არ უნდა გაუჩნდეს იმის ცდუნება, რომ თქვას, აი, მე ხალხის მიერ ვარ არჩეული და მეტი უფლებები მჭირდებაო“, — აცხადებს ხმალაძე.

მისი აზრით, სასურველია, საკონსტიტუციო ცვლილებები პრეზიდენტის არჩევნებამდე განხორციელდეს და არა მხოლოდ იმისთვის, რომ არჩევის წესი განისაზღვროს, არამედ პიროვნებამ, რომელიც აირჩევა და ასევე მთელმა საზოგადოებამ იცოდეს, როგორ პრეზიდენტს ირჩევს ანუ რა ფუნქციების მატარებელი იქნება არჩეული პრეზიდენტი. ვახტანგ ხმალაძე განმარტავს, რომ ამ თემაზე საპარლამენტო უმრავლესობაში მხოლოდ საუბრები მიმდინარეობს, მაგრამ ეს საკითხი ოფიციალურად განხილული ჯერ არ ყოფილა.

„პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები საპარლამენტო რესპუბლიკებისთვის არის დამახასიათებელი, ამიტომ როდესაც საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასვლაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ეს საკითხიც დღის წესრიგში დგება“, — ამბობს დეპუტატი.

„ვერსიანიუსი“

„შეფიცულების“ გენერალი გია უჩავა თავისუფალია და „ვერსიას“ ექსკლუზიურ „ჩვენებას“ აძლევს

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

რა ხდებოდა სახალხო კრებაში 26 მაისამდე, ვინ მიუგზავნა სააკაშვილმა არჩევნებზე დახმარების სათხოვნელად და ვის წინააღმდეგ შეაქვს სარჩელი გია უჩავას

გია უჩავა, „შეფიცულების“ გენერალი სახალხო კრებაში თავისუფალია! მისთვის არც ნინო ბურჯანაძეს უშუამდგომლია პოლიპატიმრების სიაში ჩასასმელად, არც რომელიმე არასამთავრობოს ან უფლებათდამცველს ამოუღია ხმა, არც უდო-ს კომისიას გამოუშვია, პრეზიდენტის შეწყალებაზე კი უარი თავად განაცხადა. საბოლოოდ, უჩავას ამნისტია შეეხო, რომელმაც ბრალი გაუნახევრა და რადგან სასჯელის ნახევარზე მეტი უკვე მოხდილი ჰქონდა, ციხიდანაც გამოვიდა. შეეწირა თუ არა პოლიტიკურ თამაშებს უმაღლესი სამხედრო წოდების პირი, როგორ დაიწერა სინამდვილეში მისი ჩვენება ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ და ვინ აუფრიალა მეუღლის ფოტოები მუქარის ტექსტით, რატომ არ მოისურვა ბურჯანაძემ უჩავას ჩვენების შეცვლა და არჩევნებამდე ბიწაძის ქვეყანაში დაბრუნება, ვინ მიუგზავნა სააკაშვილმა დახმარების სათხოვნელად, როგორ გაატარა ციხეში წელიწადნახევარი და რა გეგმები აქვს შემთხვევით გათავისუფლებულ გენერალს — „ვერსია“ გია უჩავასთან ვრცელ, ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ.

— ვიცოდი, რომ სააკაშვილი ციხიდან არ გამომიშვებდა. თუ 3 თვეში შევძელი იმ ძალის შეკრება, რაც მაშინ სახალხო კრებაში მივიყვანე, ნორმალური დაფინანსებისა და ხელშეწყობის პირობებში, 10-ჯერ მეტი კაცის შეკრებასაც მოვახერხებდი. სააკაშვილის გარემოცვაში ზოგიერთი კარგად მიცნობს, იცოდნენ, რომ წინასაარჩევნოდ, ჩემი გარეთ ყოფნა ხელს არ აძლევდათ. მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ 2003 წელს ვუთხარი, მივდივარ, რადგან თქვენ ჯარის ყოლა არ გინდათ-მეთქი და მისდამი ჩემს დამოკიდებულებას მშვენივრად ხვდებოდა. მაისის მოვლენების მერე კი, თავად მოვხვდი აბსურდულ სიტუაციაში: წინა ხელისუფლება პირობით ვადამდე ვერ გამომიშვებდა, რადგან ციხეში ყოფნის პირველი დღიდან ბოლო დღის ჩათვლით, ვამბობდი, რომ უდანაშაულო ვიყავი. ახალ ხელისუფლებას კი პირობითი მსჯავრით რომ გამოვეშვი, გამოდიოდა, წინა მთავრობის ბრალი გამომაყოლა. მოდი, სიმართლე ვთქვათ, ვერც დათა ახალაია და ვერც სოსო თოფურიძე ჩემს დაკავებას ვერ გადაწყვეტდნენ, ეს სააკაშვილის პირდაპირი განკარგულება რომ არ ყოფილიყო.

— სააკაშვილს რა ინტერესი ჰქონდა, მისთვის ასეთ მნიშვნელოვან ფიგურას რატომ წარმოადგენთ?

— იცის, ვინც ვარ და იმიტომ. 2004 წელს გელათში, მისი ინაუგურაცია რომ შედგა, სპეციალური გულსაკიდები მხოლოდ ოფიციალურ პირებს დაურიგეს. ერთ-ერთი ჩემიც იყო, ჩვენ პირადად ვიცნობთ ერთმანეთს. ვიცი, ის ფიქრობდა, ეს კაცი ჩემთვის საშიშია და გარეთ რატომ მყავდესო.

— საზოგადოებამ არ იცის, რომ თქვენთან, ციხეში ყოფნისას, „ნაციონალები“ დადიოდნენ და ივანიშვილის წინააღმდეგ დახმარებას გთხოვდნენ. უცნაურია, სააკაშვილის გადატრიალებისთვის იჯექით და სააკაშვილმა თქვენ რატომ გთხოვათ მხარდაჭერა?

— მითხრეს, არჩევნებზე დაგვეხმარეო და შენებს ციხიდან მიეცი განკარგულება, ჩვენზე იმუშაონო. მეტიც, ისიც მითხრეს, პრობლემა არ არის, თუ გინდა, ხალხს აქ მოგიყვანთ და ციხეში შეგახვედრებთო. ამის სათხოვნელად ჩემთან კუდ-ის თანამშრომლები მოდიოდნენ. ამ საუბრების დროს დაკითხვის ოთახში კი არა, დირექტორის კაბინეტში ან სააქტო დარბაზში გავყავდი. მითხრეს, ჩვენ ამ ხალხს დავაფინანსებთ, სამოქმედოდ ფულს მივცემთ და ტრანსპორტს გამოვუყოფთო. მათ შეხვედრების ორგანიზება, ხალხის მობილიზება ევალებოდათ. ვიცი, ჩემთან რატომაც მოდიოდნენ — თუნდაც იმიტომ, რომ გია ბარამიძე დიდუბის მაჟორიტარულ არჩევნებში ორჯერ მყავს გაყვანილი. 1996 წელს, არჩევნებში 4 რაიონში გავიყვანეთ დეპუტატები. ჩვენ ნაომარი ხალხი ვართ, ჩვენ-ჩვენს რაიონში სიტყვა გვეთქმის და ამის დამსახურებაა ყველაფერი. თუ გინდათ, ნუ დამიჯერებთ, მაგრამ 2 კვირაში, გიორგი ბარამიძის რეიტინგი 18-დან 44%-მდე ავწიე. არჩევნების წინა დღეს კახეთიდან 3 ტონა ღვინო ჩამოვატანინე, საარჩევნო უბნიდან 50 მეტრში უზარმაზარი სუფრა გავშალე და ყველა მეზობელსა თუ მეგობარს ხმა გიასთვის მივაცემინე. მარტო დიდუბეში კი არა, ყველგან ასე ხდებოდა, სადაც სამხედრო პოლიციას, რომლის უფროსიც ვიყავი, ძლიერი პოზიციები ჰქონდა.

— დახმარებაზე უარი გითქვამთ, რაკი ციხეში დარჩით...

— რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. ამის მერე, 9 თებერვალს, ჩემთან მოდის კუდ-ის თანამშრომელი და მეუბნება, 2 წელი უნდა მოგცეთო. ეს რომ გავაპროტესტე, მიპასუხა — აბა, კარგად დაფიქრდი, შენს ოჯახს „დაცვა“ ისევ ხომ არ სჭირდებაო. მანამდე, 5 თვის განმავლობაში ჩემი და და მეუღლე ლამის ტყვეობაში ჰყავდათ, ამიტომ სრულიად გასაგებად გამიმეორა, მათ ისევ მძევლად ავიყვანთ და ზეწოლის საშუალებაც ჩვენს ხელში იქნებაო. ჩემი თავი, ბოდიში და, ფეხებზე მეკიდა, მაგრამ ოჯახის უსაფრთხოების სანაცვლოდ, 2 წელი ციხეში ჯდომას დავთანხმდი!

— ამასობაში, სახალხო კრება სადღაც გაქრა — 50 კაცი ციხეში ესხდათ, „შეფიცულების“ ლიდერიანად, მაგრამ ხმა დიდი ხნის მანძილზე არ ამოუღიათ, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ. რა ხდებოდა კულუარებში?

> **„თუ ახალაიასა და თოფურიძის მიმართ სამართლიანობა არ აღსრულდება, მაშინ ამ ადამიანებს ვიპოვი და პასუხს თავად მოვთხოვ!“**

— არ ვიცი, სად იყვნენ... ჩემს ოჯახს სახლის გაყიდვა მოუხდა, ორი თოფი და მთელი ოქროულობა გაყიდეს, რათა ეარსებათ და ჩემთვის რამე შემოეგზავნათ.

> **სიმართლე გითხრათ, კრებისგან არც არაფერი მჭირდებოდა — არ მინდა, ვინმესგან დავალებული ვიყო! მე მთელი ცხოვრება ჯარისკაცი ვარ, რასაც მომიტანენ, იმას შევჭამ და არანაირი პირობების არ მეშინია, მაგრამ თანადგომა იმ ბიჭებს უფრო სჭირდებოდათ, ვინც მაისის მოვლენების დროის ციხეში ჩასხეს და მერე მიტოვებულები აღმოჩნდნენ. ერთხელ, სასამართლო პროცესზე ნინო ბურჯანაძის ოჯახის მძღოლს შევხვდი, რომელსაც ბურჯანაძის მზარეული ბაზარში დაჰყავდა. კაცს აიძულებდნენ მოეყოლა, ვინ შედიოდა და გადიოდა ბურჯანაძის სახლში, მაგრამ მან მარტო ის იცოდა, სად რამდენ თავ კომბოსტოს ყიდულობდნენ. სხვა რა ინფორმაცია უნდა ჰქონოდა იმ ადამიანს?! სამაგიეროდ, ბურჯანაძეს არც კი მოუკითხავს, რა დახმარებაზეა საუბარი და ეს არის ყველაზე დასანანი.**

— სწორედ ამ სასამართლო პროცესამდე ეთერში თქვენი აღიარებითი ჩვენება გავრცელდა, სადაც ხელს ბადრი ბიწაძეს ადებდით, ბიწაძის სასამართლოზე კი მის წინააღმდეგ მთავარი მოწმე იყავით, მაგრამ არც საქმეში დევს თქვენი ნამდვილი ჩვენება და იგი თქვენს არც ერთ ადვოკატს არ უნახავს. მოყევით, რა პირობებში ჩაიწერა ეს ჩვენება და რა ჩვენება მიეცით სინამდვილეში?

— ჩემზე ფიზიკური ზეწოლა რომ იყო, ეს ფაქტია.

> **ჩემს გატაცებასა და წამებაში პირდაპირ ვადებ ხელს დათა ახალაიას, რომელმაც ნიღაბიც კი მოიხსნა და სახე მიჩვენა. პირველ დღეებში არანაირი ჩვენება არ მიმიცია, თავი დამანებეთ-მეთქი. მეორედ, უკვე დამემუქრნენ, შენს ოჯახს გავანადგურებთო და დავთანხმდი. ჩემთან სოსო თოფურიძე შემოვიდა, წინ ჩემი ცოლის ფოტოები დამილაგა და მითხრა — ხომ შეიძლება, მანქანა დაეჯახოს, როცა ძაღლს ასეირნებსო? მერე გავაკეთე ის, რაც გავაკეთე...**

— ამ დროს, თქვენი ადვოკატები, მანანა კობახიძე და ნათია კორკოტაძე პროცესს თვითაცილებით გამოეთიშნენ და თქვენს დაცვაზე უარი თქვეს, მაგრამ კრების სასამართლო საქმეებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი — რატომ?

— როცა ვთქვი, ჩვენების მიცემას ვაპირებ-მეთქი, მიპასუხეს, ამას ჩვენ არ დავესწრებითო. მე მათ სამჯერ გავუმეორე — ჩემი ოჯახი ყველას მირჩევნია და ბადრი ბიწაძე ქვეყნიდან გავიდეს-თქო. არსად წავა ბადრიო, მიპასუხეს, დანარჩენი შეგიძლიათ, მათ ჰკითხოთ. პრინციპში, მეც ვიცოდი, რომ ბადრის ქვეყნიდან მაინც უპრობლემოდ გაუშვებდნენ, გარდა ამისა, კუდ-ის თანამშრომლებიც მეუბნებოდნენ ციხეში, ბიწაძისა და ბურჯანაძის აქ ყოფნა არაფერში გვჭირდებაო. როცა ადვოკატებს ჩემი ოჯახის მიხედვა ვთხოვე, ჩემს ოთახში დამონტაჟებულმა კამერამ ეს ყველაფერი დააფიქსირა. ამის მერე ჩემთან ისევ თოფურიძე შემოვიდა და იცინა, ბურჯანაძე მიხედავს შენს ოჯახსო?! ის დამემუქრა, ოჯახს ისეთ პირობებს შევუქმნით, შეიძლება, რომელიმე წევრმა, უეცრად, თავი მოიკლას ან შემთხვევით, მანქანა დაეჯახოსო. გარკვევით ვუთხარი, რომ ნინო ბურჯანაძეზე ვერაფერს ვეტყოდი.

— კონკრეტულად, რის თქმას გაიძულებდნენ ნინო ბურჯანაძეზე და როგორ მოხდა, რომ ბოლოს, ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ აღმოჩნდით მთავარი მოწმე? საერთოდ, რა როლი ჰქონდა ბიწაძეს სახალხო კრებაში?

— ნინო ბურჯანაძეზე უნდა მეთქვა, რომ იგი რუსეთთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ამაზე არაფერი ვიცოდი.

> **მერე თოფურიძემ „უფროსობას“ დაურეკა, ოღონდ ეს ახალაია არ ყოფილა, ზუსტად არ ვიცი, ვანო მერაბიშვილი გასცემდა ბრძანებებს თუ ზურაბ ადეიშვილი. ცოტა ხანში, ისევ თოფურიძემ გამომიცხადა, მაშინ ჩვენება ბიწაძეზე მომეციო. არც მასზე ვიცოდი რამე, ამიტომ, ადგნენ და, ჩვენება დამიწერეს, ოღონდ ეს იყო რაღაც ნაბეჭდი ტექსტი ქაღალდზე და არა ხელნაწერი. სხვათა შორის, ასეთივე ნაბეჭდი ტექსტი დევს საქმეებშიც, ხელნაწერი არ არსებობს, რადგან მე არაფერი დამიწერია. ბადრი ბიწაძეზე უნდა მეთქვა, რომ იგი პოლიციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას უმზადებდა.**

აბანოში გამიყვანეს, გამაპარსინეს, მოწესრიგდიო, მითხრეს და საკონფერენციო დარბაზში წამიყვანეს, სადაც კამერა მელოდებოდა. სწორედ მაშინ ჩაიწერა ის ვიდეოჩვენება, რაც ტელევიზიით იხილეთ. ჩვენებაში ვამბობდი, ვითომ, ბიწაძეს ვიღაცები შევახვედრე, თვითონ კი ბიჭებს პროვოკაციის მოწყობას ავალებდა. სასამართლოს წინ, დილის 11 საათზე, ოლეგ ფაცაციას კაბინეტში გადამიყვანეს, სადაც მხვდება პროკურორი პროკოფი ჭანკვეტაძე, ბიწაძის საქმეს მაძლევს, წაიკითხე და ნახე, სასამართლოზე რაც უნდა მოყვეო. აი, ამ დროს კი ჩემი ოჯახი უკვე მძევლად ჰყავდათ აყვანილი.

— ბიწაძის მიმართ თუ ჰქონდათ ინტერესი, ქვეყნიდან რატომ გაუშვეს, წითელი ცირკულარით რატომ არ იძებნებოდა ან საერთოდ, კრებაში რას აკეთებდა?

— დღესაც მაინტერესებს და ახლაც ვერ გამირკვევია, რა მიზანს ემსახურებოდა 26 მაისი! 21-დან 26 მაისამდე დაგეგმილი მოქმედებები გაუგებარი იყო ჩემთვის. ბადრი ბიწაძე კრებაში არც ჩანდა. ის ერთხელ მოვიდა, და გვკითხა, აბა, რამე ხომ არ გჭირდებათ, საქმე როგორ მიდისო. ის ჩემი უფროსი არასოდეს ყოფილა და თქვენც გესმით, ვერანაირ ბრძანებას ვერ მომცემდა. დახმარებითაც არასოდეს არაფერში დაგვხმარებია.

— აბა, კრების რუხი კარდინალი იყო?

— ალბათ, ასეც იყო, რადგან არანაირ პროცესებში არ მონაწილეობდა. არც ის და არც ნინო ბურჯანაძე არ ჩანდნენ, არც შტაბის წევრები ყოფილან და არც სახალხო დარბაზისა. მე კი მათთან და მათ პარტიაში არ მივსულვარ. დღესაც დაგიდასტურებთ ნებისმიერი „შეფიცული“ და სახალხო კრების ხელმძღვანელობა, რომ „შეფიცულებისგან“ ყოველთვის წესრიგს ვითხოვდი და პოლიციასთან ყოველგვარი დაძაბულობის წინააღმდეგი ვიყავი. პირიქით, 21 მაისს მთელი ღამე დავდიოდი და ბიჭებს ვაფრთხილებდი, არავითარი შეხლა-შემოხლა არ უნდა მოხდეს, მეორე მხარესაც ქართველები არიან-მეთქი.

— ცუდად გაგიფრთხილებიათ, ტელევიზიასთანაც და რუსთაველის გამზირზეც, მთავარ დარბევამდე რამდენიმე შეტაკება მაინც მოხდა. ეს დაგეგმილი იყო?

— რა დაგეგმილი, პირველი მე მივვარდი ტელევიზიასთან, პოლიციას ვუთხარი, ბოდიში, ბიჭებო-მეთქი და ჩემები გამოვყარე.

— იცოდით, რომ იმ ბიჭების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება ბურჯანაძე-სააკაშვილის კინკლაობას შეეწირებოდა — თქვენ თვითონ რატომ ჩაებით ისეთ პროცესში, რომლის მიზანიც არ იცოდით?

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

უკრაინაში საქართველოს ელჩად, შესაძლოა, მიხეილ უკლება დაინიშნოს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე არც უარყოფს და არც ადასტურებს ინფორმაციას, რომ უკრაინაში საქართველოს ელჩად, შესაძლოა, მიხეილ უკლება დაინიშნოს. როგორც ფანჯიკიძემ განაცხადა, საქართველოს ელჩს უკრაინაში გრიგოლ ქათამაძეს როტაციის ვადა რამდენიმე დღეში, დაახლოებით, 25-26 იანვარს ეწურება. შესაბამისად, ქათამაძე უკვე როტაციის წესით გამოწვეულია და ამ პოსტზე ახალი კანდიდატურა დაინიშნება.

რაც შეეხება ჟურნალისტების კითხვას, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს უკრაინის ელჩად მიხეილ უკლება ინიშნება, მაია ფანჯიკიძემ ეს ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. მიხეილ უკლება სხვადასხვა პერიოდში იყო სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი; საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

„ინტერპრესნიუსი“

როგორ მიიღეს რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში პოლიტპატიმრის სტატუსი და ვინ იცავს უცხო ქვეყნებში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს

რუსუდან ჭელია
პოლიტიკა

ადგილობრივი არასამთავრობოების მიერ შედგენილი პოლიტპატიმრების სია 126 ბრალდებულს მოიცავს, რომელთა შორის რუსეთის ორი მოქალაქეა. როგორ აღმოჩნდა უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოში პოლიტპატიმარი და გვაქვს თუ არა საქმე იურიდიულ კაზუსთან, ვინ იცავს რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ქართველების უფლებებს და ჰყავს თუ არა ახალ ხელისუფლებას პოლიტპატიმრები, „ვერსიის“ კითხვებს უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი პასუხობს.

— იურიდიულად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაული, საქართველოს კანონმდებლობით განისჯება და განაჩენიც საქართველოს სახელით დგინდება. შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქე გამოცხადდა პოლიტპატიმრად, რადგან თითოეული მათგანი საქართველოს იურისდიქციით დააკავეს. ამდენად, პავლე ბლიაძესთან მიმართებაში, რომელიც რუსეთის მოქალაქეა და ამნისტიის კანონის მიღების შემდეგ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა, იურიდიული კაზუსი არ არსებობს. კიდევ ერთხელ იურიდიულად განვმარტავ, პირი იმიტომ კი არ იქცა პოლიტპატიმრად, რომ რუსეთის მოქალაქეა, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკური ნიშნით დააკავეს. თავად რუსი უფლებადამცველებიც მიესალმნენ ქართული მხარის აღნიშნულ ქმედებას.

— რატომ არ იქნა ჯაშუშების საქმე ცალკე განხილული? მით უმეტეს, ეს საკითხი სპეკულაციის თემა გახდა ოპოზიციისთვის.

— ჯაშუშების საკითხი ცალკე საქმედ არც უნდა განხილულიყო, რადგან ის სხვა საქმეებისგან არაფრით განსხვავდებოდა. თუ საქმეში პოლიტიკური მოტივი ფიგურირებს, მნიშვნელობა არ აქვს, რა ბრალდებითაა პირი დაკავებული, ჯაშუშობის, ნარკოტიკის მოხმარების, ხულიგნობისა თუ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. გასაგებია, რომ ოპოზიცია ყველა საკითხით მანიპულირებას ცდილობს, მაგრამ, მოდით, ფოტორეპორტიორების სკანდალი გავიხსენოთ. მათაც ჯაშუშობაში სდებდნენ ბრალს. ფოტორეპორტიორების საქმეში არსებული მტკიცებულებების საქმის ანალოგებია წარმოდგენილი „ენვერისა“ თუ „კოჭოიას“ საქმეშიც. შესაბამისად, არ მესმის, ისინი სხვა საქმეებიდან რატომ უნდა გამოგვეყო?! პირიქით, ამოცანა სწორედ ის იყო, რომ არ ავყოლოდით ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტპატიმართა სიებს ვადგენდით. მოგეხსენებათ, აღნიშნულ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს, ამიტომაც ადვოკატებს საშუალება არ გვაქვს, გავახმაუროთ ის აბსურდული მტკიცებულებები, რომლებიც აღნიშნულ საქმეებშია წარმოდგენილი, თუმცა ჩვენ მოვითხოვეთ კონკრეტულად ამ საქმეებისთვის გრიფი „საიდუმლო“ მოხსნან და საზოგადოებამ გაიგოს, რამდენად სასაცილო ბრალდებებით ცდილობდა ძველი ხელისუფლება ადამიანებისთვის ჯაშუშობის დამტკიცებას. იმედი მაქვს, ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება, მით უმეტეს, პრეზიდენტმაც განაცხადა, ჯაშუშობის საქმეები საჯარო გახდესო.

— პრეზიდენტი საკმაოდ ნეგატიურად შეხვდა პოლიტპატიმრების გათავისუფლებას. როგორ ფიქრობთ, რატომ განიცდის აღნიშნულ საკითხს ასე მძაფრად ქვეყნის პირველი პირი?

— მარტივია, 190 პოლიტპატიმარი კი არა, ქვეყანაში ერთი პოლიტპატიმარიც რომ იყოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში დემოკრატიაზე საუბარი ზედმეტია. არადა, გახსოვთ, ნაციონალური მოძრაობა სულ იმას გაყვიროდა, დემოკრატიული ქვეყანა ავაშენეთ და დასავლეთს ვუახლოვდებითო. სინამდვილეში, ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რამდენად სადისტური რეჟიმი შექმნა ძველმა ხელისუფლებამ. დღეს აბსოლუტურად დაინგრა მითი საკაშვილის მიერ დემოკრატიის აშენების შესახებ. შესაბამისად, ნაციონალურ მოძრაობას დასავლეთის თვალში იმიჯი მკვეთრად შეელახა. სხვათა შორის, პოლიტპატიმართა გათავისუფლებით ამჟამინდელმა ხელისუფლებამაც დიდი პასუხისმგებლობა აიღო. როცა პოლიტიკური ნიშნით ბრალდებულებს ათავისუფლებ, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ საკუთარ თავზე იღებ ვალდებულებას, რომ შენი მმართველობის პერიოდში, არც ერთი პოლიტპატიმარი არ გეყოლება. ჯერჯერობით, პოლიტპატიმრების ყოლის საჭიროება, ამ ეტაპზე, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას არ აქვს, მაგრამ ვერავინ დადებს თავს, ხვალ და ზეგ რა იქნება.

— თუმცა ოპოზიცია დღესაც დებს თავს, რომ ბაჩო ახალაია და სხვა გასამართლებული ყოფილი მაღალჩინოსნები პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი არიან.

— ამაში ოპოზიციას ნამდვილად ვერ დავეთანხმები, რადგან ასეულობით საქართველოს მოქალაქემ შეიტანა სარჩელი ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ. გეკითხებით, სჭირდება ხელისუფლებას ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას ან ნაციონალური მოძრაობის ტვინად წოდებული ზურა ადეიშვილის წინააღმდეგ ბრალდებების შეთხზვა, როცა მთელმა საქართველომ იცის, რომ მათ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს?! ამ ლოგიკით, პინოჩეტის დაპატიმრებაც პოლიტიკურ დევნად უნდა ჩავთვალოთ. ერთ საინტერესო ეპიზოდს მოგიყვებით: როცა პინოჩეტი დააპატიმრეს, ლონდონში, „ინვესტ ინტერნეიშენელის“ ოფისში ვიყავი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, პოლიტპატიმრების საქმეებზე მუშაობს. პინოჩეტის დაკავებამ მთელი ორგანიზაცია გაახარა. როცა ვიკითხე, რატომ გიხარიათ, პინოჩეტი პოლიტპატიმარი არ არის-მეთქი, გაკვირვებულებმა მიპასუხეს, პირიქით, ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ სასამართლომ გირაოთი არ გამოუშვასო. ასე რომ, თუ პირს სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, პოლიტიკოსობა არც ალიბია და არც ხელშეუხებლობის გარანტია.

ევროსაბჭომ, 3 ოქტომბერს, მიიღო რეზოლუცია, რომელშიც პოლიტპატიმრების კრიტერიუმები ჩამოაყალიბა და ევროსაბჭოს წევრ 47 ქვეყანას პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებისკენ მოუწოდა. საქართველო, შეიძლება ითქვას, პირველი მერცხალი გახდა.

— რაც შეეხება რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ ქართველებს, საქართველოდან რატომ არავინ ზრუნავს მათი უფლებების დასაცავად?

— სხვა ქვეყანაში დაკავებულის დაცვის უფლება ქართველ ადვოკატებს არ აქვთ. ქართველი პატიმრების ადვოკატებად ყოფნის უფლება მხოლოდ რუსეთის მოქალაქეებს აქვთ. სხვადასხვა რეგულაციები არსებობს, კანონით აკრძალულია ბრალდებული უცხო ქვეყნის მოქალაქემ დაიცვას. პირადად ჩემთვის, აღნიშნული საქმე უცნობია, მაგრამ ვიცი, რომ კიდევ არაერთი ქართველია მეზობელ ქვეყანაში ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული. საქართველოშიც უამრავი ასეთი პატიმარია, მაგრამ მათთვის პოლიტპატიმრის სტატუსი არავის მიუნიჭებია. ის, რომ დღეს რამდენიმე ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პირი გათავისუფლდა, იმას კი არ ნიშნავს, ციხეებში ჯაშუშები საერთოდ აღარ დარჩნენ და, ზოგადად, ეს პრობლემა დღის წესრიგში აღარ დგას. ჩვეულებრივი ამბავია, ამნისტია შეეხო მხოლოდ იმ პატიმრებს, რომლებსაც შეთითხნილი ბრალდებები წაუყენეს, ხოლო სადაც რეალური მტკიცებულებები არსებობდა, პრეტენზიაც არავის გამოუთქვამს.

ექსკლუზივი

„შეფიცულების“ გენერალი გია უჩავა თავისუფალია და „ვერსიას“ ექსკლუზიურ „ჩვენებას“ აძლევს

მე-3 გვერდიდან

— ჩემთვის პრეზიდენტის გვარს მნიშვნელობა არ აქვს, თუ ჩემი ოჯახი და ახლობლები კარგად ცხოვრობენ, სამართლიან ქვეყანაში. ჰოდა, ასე რომ არ იყო, სწორედ ამ ვითარების წინააღმდეგ გამოვედი და არა ნინო ბურჯანაძის მხარდასაჭერად, თორემ მანამდე ივანიშვილი რომ გამოსულიყო, მასთან მივიდოდი. ერთი იცოდეთ — ყველაზე მეტად მშვიდობას სამხედრო აფასებს! ჩემი ამოცანა სწორედ მშვიდობა და წესრიგი იყო, „შეფიცულებში“ არეულობა და ლოთობა არ უნდა ყოფილიყო. ექიმებიც კი გვყავდა გამოყოფილი, წამლები ვიყიდეთ, ყველა ექიმს სპეციალური დავალება მივეცით და მორიგეობის სია შევადგინეთ. ზოგს კვების, ზოგს ბიოტუალეტების ორგანიზება ევალებოდა. ეს იყო „შეფიცულების“ ამოცანა — სხვა არაფერი! ვუთხარი კიდეც ბურჯანაძეს — ხალხს არავის შევწირავ და თუ ვნახე, რომ ქუჩაში არავინ გამოვიდა, წამოვალ და ჩემი ფეხით მივალ პოლიციაში, თუ დასაჭერი ვარ, დამიჭირონ-მეთქი. ლიდერებსაც ვუთხარი, გამოდით, ხალხს ბოდიში მოვუხადოთ, რაკი არ მოვიდნენ, ე.ი. არ სჯერათ ჩვენი-თქო, მაგრამ არ მომისმინეს!

— კიდევ ერთი, რაც საზოგადოებამ არ იცის ისაა, ჩვენების მიცემის შემდეგ ბურჯანაძეს რომ შესთავაზეთ, ჩვენებას შევცვლი და სიმართლეს ვიტყვიო. ამ დროს ბიწაძე უკვე ავსტრიაში იყო გაქცეული, მისმა მეუღლემ კი არ მოგისმინათ — ჰქონდა თუ არა მის ქმარს ხელშეუხებლობის გარანტია სააკაშვილის ხელისუფლებისგან და გახდა თუ არა გია უჩავა გარიგების მსხვერპლი?

— ჩემთან ბურჯანაძის მხარე არანაირ მოლაპარაკებაზე არ წამოსულა, მაგრამ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ მისმა ადვოკატებმა ჩემი შეთავაზება, უშუალოდ, ბურჯანაძეს არც გადასცეს, თუმცა მათი მხრიდან სიმართლის დადგენის ინტერესი ისედაც არ ჩანდა — როცა სასამართლო პროცესი მიდიოდა და ბიწაძის წინააღმდეგ გამოვდიოდი, მისი ადვოკატები და მოსამართლე არც კი მისმენდნენ, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. როცა დაზვერვის სამსახურს ვხელმძღვანელობდი, იქ ასეთი პრინციპი გვქონდა: ერთი წყაროს ინფორმაცია ჭორია, ორის — სავარაუდო, სამის — დაზუსტებული.

> **ეს პროცესი მართლაც გარიგება რომ იყო, ორი წყაროს ინფორმაციაა: მყავს კუდ-ის თანამშრომელი, რომელმაც მითხრა, ბიწაძეს მაინც გაუშვებენო, მეორე გუბაზ სანიკიძეა, რომელმაც ბიწაძე თავისი ხელით ჩასვა მანქანაში და წაიყვანა. მესამე წყაროსგან კი პირადად მოვითხოვ ინფორმაციას, ვისთან რა გარიგება მიდიოდა და წინ სქემას რომ დამიდებენ, მაშინ უფრო თამამად ვილაპარაკებ.**

— და ახალი ხელისუფლების პირობებში, როცა პოლიტპატიმრების სიაში ბურჯანაძის დეიდაშვილი, ხოლო პოლიტდევნილებში ქმარი შევიდნენ და ბიწაძე უკვე ქვეყანაშიც დაბრუნდა, თქვენი საქმე კი მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს ჯერ არც განუხილავს, გარიგებაზე თამამად მაინც ვერ საუბრობთ?

— კითხვა ნამდვილად გამიჩნდა — თუ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სააკაშვილის ხელისუფლების პირადი პატიმარი ვიყავი, ახალი ხელისუფლების პირობებში, ვისი პატიმარი გავხდი და რატომ არ გამათავისუფლა უდო-ს კომისიამ? დიახ, მე მივწერე კბილაშვილს, ჩემი საქმისთვის გადაეხედა, მაგრამ არავინ გამომხმაურებია, თუმცა იმ პროკურატურაში, რეალურად, ისევ ძველი ხალხი მუშაობს და საკუთარი თავის წინააღმდეგ ხომ არ განახლებენ საქმის ძიებას?

— ახლა როგორია თქვენი გეგმები — რას აპირებთ და რა ურთიერთობა გექნებათ სახალხო კრებასა და ახალ მთავრობასთან?

— სახალხო კრებასთან არანაირი შეხება არ მაქვს და იქ მისვლას არ ვაპირებ. არც ბიწაძე შემხვედრია სადმე და არც ირაკლი ბათიაშვილი, რომელმაც სახალხო კრებაში მიმიყვანა. ივანიშვილის მოსვლით მეც ცვლილებების იმედი მაქვს, თუმცა თავიდანვე მიმაჩნდა, რომ გვერდით საჭირო ხალხი არ ჰყავდა და გარკვეულ მოქმედებებს აგვიანებდა. სააკაშვილის მთავრობას ჯარი არ სჭირდებოდა, ვნახოთ, როგორ იმოქმედებს თავდაცვის სამინისტრო ახლა და თუ ჩემი გამოცდილება დასჭირდებათ, ჩემს საქმეს დავუბრუნდები.

> **ამ ეტაპზე კი „რუსთავი 2“-ისა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას ვაპირებ. თოფურიძესა და ახალაიას ბრალი ისედაც წაყენებული აქვთ და ალბათ, მე ამ ბრალს დავუმძიმებ, რადგან მთელი ეს დეტალები თქვენს ინტერვიუში საჯაროდ პირველად მოვყევი და პროკურატურას შეუძლია, ეს ინფორმაცია ჩვენებად მიიღოს. ეს ორი ადამიანი ციხეში ისედაც ჩაჯდება, მაგრამ თუ ამას პროკურატურა არ გააკეთებს და ქვეყანაში მართლა არ მოხდება დამნაშავის დასჯის პრეცედენტი, ამას მე თვითონ ვიზამ!**

— რას გულისხმობთ? ახლა ისე ნუ იზამთ, ციხეში შებრუნდეთ.

— მე უბრალოდ, ვამბობ — თუ ახალაიასა და თოფურიძის მიმართ სამართლიანობა არ აღსრულდება, მაშინ ამ ადამიანებს ვიპოვი და პასუხს თავად მოვთხოვ!

„თეა წულუკიანი თუ ამბობს, რომ მისი მამა ხალხს მაშინდელი კანონმდებლობის გამო ხვრეტდა, მე რატომ არ მაქვს უფლება, იგივე ვთქვა?“



რას აღიარებს და აპირებს თუ არა „ოცნებასთან“ თანამშრომლობას ღევან ბეჟაშვილი

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

სიღნაღის მაჟორიტარობის ექსკანდიდატი ღევან ბეჟაშვილი, რომელმაც არჩევნები წააგო, პარლამენტის წევრი მაინც გახდა — „ნაციონალებმა“ სიით დააზღვიეს. თუმცა ამ დაზღვევას ჯერ გაწირვა, შემდეგ კი გადარჩენა შეიძლება ეწოდოს, რადგან კონტროლის პალატის უფროსი, ანუ გენერალური აუდიტორი, 2012 წლის არჩევნების ნამდვილი ანტიგმირი იყო. მას მერე, რაც ბეჟაშვილის საქმიანობას პარტიების ფინანსური შემოწმება დაემატა, კოალიციაში შემავალი ლიდერები თუ სუბიექტები პანტა-პუნტით ჯარიმდებოდნენ, ციხეში მიდიოდნენ და საკმაოდ შეურაცხმყოფელი ფორმებითაც იკითხებოდნენ. სამაგიეროდ, ახლა, ბეჟაშვილი მის მიერ ქონებადაყადაღებულ დეპუტატებთან საკმაოდ „კოჰაბიტაციურად“ ურთიერთობს, მეტიც, თანამშრომლობს კიდეც... რატომ დუმს „ოცნება“ კონტროლის პალატის ერთი წლის წინანდელ საქმიანობაზე, შედგა თუ არა გარიგება მათ შორის და როგორ აფასებს თავად დეპუტატი საარჩევნო კანონმდებლობასა და საკუთარ მოქმედებებს ოპონენტების მიმართ — „ვერსიის“ კითხვებს ღევან ბეჟაშვილი პასუხობს.

— ნაციონალური მოძრაობა ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის წინააღმდეგი ვერ იქნება, რადგან ეს კანონი ჩვენს მიერ მიღებული და ინიცირებულია კონსტიტუციაში. აქ მთავარი ის პრინციპია, რომ ნაფიცი მსაჯულები საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის ქვეშ არ უნდა მოექცნენ. ჩვენი ინიციატივაა ისიც, რომ ეს ინსტიტუტი თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ამოქმედდება, ხოლო მოწმეების დაკითხვა, მხოლოდ სასამართლოს სხდომაზე მოხდება და ამ პროცესს მედიაც დაესწრება!

— მოკლედ, თქვენთვის სამართლიან სასამართლოს იმზადებთ?

— ჩვენთვის არა — მთელ საზოგადოებას მოვუმზადეთ.

— ახლა აქტუალური მხოლოდ თქვენი გუნდის სასამართლო პროცესებია და, როგორც ჩანს, სააკაშვილის შევიწროება, მისთვის უფლებების შეკვეცით.

— ის საფრთხეები, რის წარმოჩენასაც „ოცნება“ ცდილობს, ძალზე თეორიულია და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. არ ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანებში ისეთი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნება, რაც ქვეყანას კრიზისში შეიყვანს, ამიტომ შიშზე, ფობიებსა და თეორიულ ნიაღსვლებზე დაფუძნებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება სააკაშვილის პრეზიდენტობის 8 თვის გამო მიზანშეუწონლად მიმაჩნია, თან იმ ხალხისგან, ვინც წინა წლებში გვიჩიჩინებდა, კონსტიტუციას თქვენს თავზე ნუ ირგებთო.

— ე.ი. თქვენს გზას წარმატებით აგრძელებენ?

— ძალიან წარმატებით და გაცილებით სწრაფად იმეორებენ იმ შეცდომებს, რომელიც ჩვენ დავუშვით.

— შეგიძლიათ, იყოთ გამონაკლისი და გუნდისა და საკუთარ შეცდომებზე ღიად ისაუბროთ?

— შემიძლია! ჯერ ერთი, ვინც საქმეს აკეთებს, ის შეცდომებსაც უშვებს. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ვიცით, რას ვაკეთებთ, გვინდა, ყველაფერი ოთხ წელიწადში მოვასწროთ და დანარჩენს ნაკლები ყურადღება მივაქციეთ. ხშირად აქცენტს რეფორმებზე ვაკეთებდით, რაც ხისტი და სწრაფი პროცესი იყო. ამ პროცესში კი საკუთარ ხალხთან დიალოგი გამოგვრჩა, რამაც შედეგი გამოიღო და ჩვენს შორის გაუცხოება მოხდა. არც ადამიანის უფლებები იყო სათანადოდ დაცული, თუნდაც ციხეებში, სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობისას...

— კონტროლის პალატაშიც, სადაც ხალხს აშიშვლებდით და ჩვენებებს ისე ართმევდით...

— ოჰ, ეს სისულელეა და მერე გამჟღავნდა კიდეც, რომ არავინ გაუშიშვლებიათ!

— ფაქტია, ყველაზე სასტიკი სამსახური, მთელ საარჩევნო პერიოდში, სწორედ თქვენ გქონდათ!

— კი, იყო ისტერიკის, დაახლოებით, ერთკვირიანი პერიოდი, რაც ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა კარგად გამოიყენეს და კამპანია ააგორეს. სინამდვილეში, არც გახდას ჰქონია ადგილი და არც — დაშინებას.

> **თუმცა მთავარი პრობლემა და შეცდომა, რაშიც ყველაზე ნაკლები წვლილი ჩვენს სამსახურს მიუძღვის, ჩვენთვის პარტიების ფინანსური მონიტორინგის დავალებაა. ეს ბევრ ქვეყანაში აუდიტორული სამსახურის კომპეტენციაა, მაგრამ ასე, ნაუცბათევად, მსგავსი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღოთ, რათა ვითარებაში გარკვევა მოგვესწრო. ამის ნაცვლად, ერთ მშვენიერ დღესაც გვითხრეს, ეს უნდა გააკეთოთო, ჩვენ კი არანაირი გამოცდილება არ გვქონია და საკუთარ შეცდომებსა და გადაცდომებზე ვისწავლეთ ყველაფერი!**

— მერე, ეს რატომ არ გააპროტესტეთ თქვენს პოლიტიკურ გუნდთან, რომელმაც ამ მძიმე ტვირთვისთვის გაგწირათ?

— როცა პროცესში ხარ ჩაბმული, მისი უკან შემობრუნება ძნელია. პრინციპში, ასე იყო — თავი პრობლემების წინაშე ვიგრძენი ისევე, როგორც ნათია მოგელაძე გახდა აბსოლუტურად უსამართლო კამპანიის მსხვერპლი. რეალურად, მე და მოგელაძე ვიყავით პრობლემების წინაშე და არა მთელი სახელისუფლო გუნდი!

> **„ნათია მოგელაძე გახდა აბსოლუტურად უსამართლო კამპანიის მსხვერპლი. რეალურად, მე და ნათია მოგელაძე ვიყავით პრობლემების წინაშე და არა მთელი სახელისუფლო გუნდი!“**

— ისიც ვაღიარო თ, რომ თუ ოდესმე კანონის მორგებას ჰქონია ადგილი, ეს სწორედ საარჩევნო პერიოდში იყო, როცა ივანიშვილის „სახელზე“ მთელი საარჩევნო კოდექსი გადაიწერა.

— პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ ის იყო, რომ პარლამენტში თავად შევიტანეთ ცვლილებების პროექტი, რათა კონტროლის პალატას კი არ დაეჯარიმებინა მოქალაქეები, არამედ — სასამართლოს. ასევე, ავიცილეთ დაყადაღების თემა და ეს სააღსრულებო სამსახურს გადავეცით.

— მოკლედ, ამას თავის გადარჩენა ჰქვია.

— ასე გამოდის, რადგან ჩვენ მყისიერად და ღიად ვიმოქმედეთ. რამდენიმე შეხვედრა ოპონენტი პარტიების წარმომადგენლებთანაც გავმართეთ, თუმცა კანონი ისე იყო მორგებული, ძნელი აღმოჩნდა ყველაფრის გაკონტროლება.

— თავად თქვით — კანონმდებლობა იყო მორგებული!

— დიახ, ეს ძალიან მკაცრი კანონმდებლობა იყო, მაგრამ მსგავსი ბევრ ქვეყანაში მოქმედებს.

> **ადამიანურად, არც მე მომწონდა ეს პროცესი — როცა 4 წელი აშენებ უწყებას და მის დისკრედიტაციას ერთი ფუნქციის დამატება იწვევს, ძალიან რთულია. არც უარვყოფ, რომ ასე მოხდა და ამიტომაც, „ოცნებას“ ახლაც ვეუბნები — თუ რეალური ცვლილება გსურთ, გაათავისუფლეთ კონტროლის პალატა ამ ფუნქციისგან!**

— და თქვენს მიერ დაჯარიმებული, სახლდაყადაღებული გიგა ბუკია ახლა პარლამენტში რომ დადის, მასთან მოგვარებული გაქვთ ურთიერთობა?

— არ დაგიმალავთ, ჩვენ გულახდილი საუბრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვქონდა. თავისი არგუმენტები მითხრა, მეც ვუთხარი, რა იყო პრობლემა. ახლა, ადამიანურად, ჩვენს შორის, არანაირი პრობლემა და ბოღმა არ არსებობს. ისე, ჩვენ კანონიერად ვმოქმედებდით. თეა წულუკიანი თუ ამბობს, რომ მისი მამა ხალხს მაშინდელი კანონმდებლობის გამო ხვრეტდა, მე რატომ არ მაქვს უფლება, იგივე ვთქვა?!

— დღეს რომ ნორმალური ურთიერთობა გაქვთ „ოცნებასთან“ და რატომღაც, თქვენს სამსახურს არავინ ეხება, ნიშნავს თუ არა ეს თქვენს გარიგებას ახალ ხელისუფლებასთან?

— არანაირი შერიგება და გარანტიები, მით უმეტეს, ჩემთვის, არ არსებობს! შექმნილია კომისია, რომელიც ახლაც აქტიურად მუშაობს და კონტროლის პალატის საქმიანობას სწავლობს.

— ჰოდა, სასაცილო ისაა, რომ ვერაფერს პოულობს!

— არ ვიცი, რა პროცესთან გვაქვს საქმე. პრინციპში, გასაგებია, რომ ქვეყანას ბევრად მნიშვნელოვანი ამოცანები და პრობლემები აქვს, ვიდრე ერთი უწყების მიმართ რევანში. ვფიქრობ, ეს ამით უფროა განპირობებული, რადგან მმართველ ძალას სხვა პოლიტიკური ამოცანები აქვს.

— უკაცრავად, სამართლიანობის აღდგენაზე როცა საუბრობენ, ეს პროცესი სწორედ თქვენი სამსახურის მუშაობის შესწავლით უნდა დაეწყოთ და დასაკითხთა პირველ ათეულშიც უნდა მოხვედრილიყავით...

— შეიძლება, ენამ გიყივლოთ! მზად ვარ, ნებისმიერ საკითხზე სასაუბროდ და პასუხს ნებისმიერ კითხვას გავცემ.

— სხვათა შორის, იმ 100 კაცშიც მოგიაზრებენ, რომლის მიერ შემდგარი საკონსტიტუციო უმრავლესობით საკაშვილს უფლებამოსილება შეეკვეცება — ეგეც თქვენი გარიგება და იმის ახსნა, რატომ არ ეხებიან კონტროლის პალატას!

— თქვენ საიდან იცით, ეს სხვებმაც იციან?! თუ გულახდილი ინტერვიუა, პირდაპირ მითხარით, ამ ხმას ვინ ავრცელებს! ჯერ ჩემზე ზეწოლა და გარიგება არ მომხდარა და აწი თუ უნდა მოხდეს, მეცოდინება. მე კი ეს ჭორადაც არ გამიგია და ძალიან გამეცინა.

— მაშინ პირდაპირ მითხარით — მისცემთ ხმას ამ კანონპროექტს?

— ამ ერთთვიანი საჯარო განხილვის პერიოდში, კონსულტაციები როგორც პარტიის შიგნით, ისე კოალიციასთან გვაქვს და მარტო ამ ერთ კანონპროექტზე კი არა, იმაზეც ვმსჯელობთ, როგორი უნდა იყოს ქვეყნის მოწყობა.

— ანუ, შეიძლება, ამ კონსულტაციების შედეგად, რამე შეიცვალოს და თქვენ მხარი დაუჭიროთ საკონსტიტუციო ცვლილებებს?

— არ ვიცი, რამ შეიძლება ასე შეცვალოს ვითარება — გააჩნია არგუმენტსა და საკითხს.

— მაშინ ამ საჯარო განხილვებს რა აზრი აქვს, თუ ყველაფერს კონსულტაციები წყვეტს?

— სიმართლე გითხრათ, ამ ორი განხილვის მერე, ზუგდიდსა და ქუთაისში, მეც მაქვს კითხვა, რამდენად მართებულია მსგავსი შეხვედრები, სადაც განხილვები ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირებად იქცა და ლოგიკა და არგუმენტები არ არსებობს. პრინციპში, ამ განხილვებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს!

ფონდი „ქართუ“ სტიქიით დაზარალებულებისთვის კომპენსაციების გაცემას იწყებს

ფონდი „ქართუ“ კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემას იწყებს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ბანკ „ქართუს“ საბანკო ანგარიშების მოსამზადებლად ბენეფიციართა სია უკვე გადაუგზავნა. სამინისტრო ასევე, მუნიციპალიტეტების გამგეობებს გაუგზავნის იმ 3 000 ბენეფიციარის სიას, რომელსაც პირველ ეტაპზე, თანხა უნდა ჩაერიცხოს. ამასთან, მოსახლეობას ინფორმაციის მიღება შეეძლება სოფლის რწმუნებულებთანაც.

დაზარალებულების სიების გადაგზავნა „ქართუსთვის“ ეტაპობრივად მოხდება. კვირის ბოლოს, რეგიონული განვითარების სამინისტრო ბანკს დამატებით, 3000 ბენეფიციარის სიას გაუგზავნის. კომპენსაციების აღება დაზარალებულებს ბანკ „ქართუს“ ფილიალებში შეეძლებათ.

კახეთის რეგიონში სტიქიით დაზარალებულთათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის წესთან დაკავშირებით, ფონდმა „ქართუმ“ განცხადება გაავრცელა, ფონდის ცნობით, სახელმწიფო უწყებების მიერ დადგენილ დაზარალებულთა რაოდენობა დაახლოებით 29 000 ოჯახს შეადგენს. განცხადებაში კი აღნიშნულია:

„დაზარალებულთა ესოდენ დიდი რაოდენობის გამო, ბანკის ფილიალებთან რიგების თავიდან აცილების მიზნით, დახმარების გაცემა წარმოებს შემდეგი წესით: ყოველ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში (ქალაქი/სოფელი/დაბა) მოქალაქეს წინასწარ ეცნობება იმის შესახებ, თუ რომელ დღეს ჩაერიცხება კომპენსაცია. კონკრეტულ სიებს წინასწარ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (სოფლის რწმუნებულები) გაავრცელებენ. შეტყობინების მიღებამდე ბანკში წინასწარ მისვლა საჭირო არ არის.

დახმარების მიღება შესაძლებელია ბანკი „ქართუს“ შემდეგ ფილიალებში: თელავის სერვისცენტრი — ჭავჭავაძის მოედანი, 2200, თელავი; თბილისის სათავო ოფისი — ჭავჭავაძის გამზ. №39ა, 0162, თბილისი; ისნის სერვისცენტრი — ქეთევან დედოფლის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18 0144, თბილისი; საბურთალოს სერვისცენტრი — პეკინის ქ. №14ბ, 0171, თბილისი; ვაკის სერვისცენტრი — ი. აბაშიძის ქ. №24, 0179, თბილისი; მთაწმინდის ფილიალი ვ. ვეკუას ქ. №1, 0105, თბილისი. ბანკის ფილიალები 10:00 – 17:00 საათებში მუშაობენ, თელავის ფილიალი კი 10:00-დან 19:00 საათამდე მუშაობს.

მოქალაქე, რომელიც აღნიშნული იქნება კომპენსაციის მიმღებთა სიაში, პირადად უნდა მივიდეს ბანკში და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა). იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს არ შეუძლია პირადად ბანკში მისვლა, მაშინ მისი სახელით მისულ პირს ხელზე უნდა ჰქონდეს სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი მინდობილობა. მინდობილობის ტექსტთან დაკავშირებული დეტალები დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, გაარკვიონ ბანკის ფილიალებში“.

ამასთან, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ განაცხადა, კახეთში სტიქიით დაზარალებულმა ოჯახებმა საშუალოდ, შესაძლოა, კომპენსაცია 6-დან 8 ათას ლარამდე მიიღონ.

მისი თქმით, თითოეული სოფლის რწმუნებული ინფორმირებული იქნება კონკრეტულ ოჯახებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გამოცხადდნენ საბანკო დაწესებულებებში, რითაც თავიდან ავირიდებთ რიგებს და პროცესი კარგად წარიმართება.

კახეთის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ფონდი „ქართუ“ 100 მილიონ ლარამდე გამოყოფს. სამინისტრო ვარაუდობს, რომ კომპენსაციების გაცემა 5-6 კვირას გაგრძელდება.

„ვერსიანიუსი“

ვის ინტერესებშია აფხაზური რკინიგზის აღდგენა?

მერაბ ბერიძე

ქართული მხარე ოკუპირებულ ტერიტორიებთან კონტაქტების აღსადგენად ყველა საშუალების გამოყენებას ცდილობს. ერთ-ერთი, რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენაა. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სომხეთში ვიზიტისას განაცხადა, რომ რკინიგზის გახსნა შესაძლებელია სწრაფად, თუ იქნება ყველა პოლიტიკური მხარის ნება. ჩვენს საზოგადოებაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრი ორად იყოფა — მთავრობის მომხრეები მხარს უჭერენ, ხოლო ოპონენტები რუსულ-სომხურ ინტერესებზე საუბრობენ. როგორც ჩანს, ამ პერსპექტივით უკმაყოფილოა აზერბაიჯანული მხარეც.

ამ ფონზე, ივანიშვილის ინიციატივა განხილვის დონეზეა, მაგრამ მაინც: **„ვფიქრობ, აუცილებლად გაიხსნება. ჩვენ დღეს ეს საკითხი ორჯერ თუ სამჯერ დავაყენეთ. ჩვენი მხრიდან სრული მზადყოფნაა. თქვენ იცით, რომ რკინიგზის დახურვა დიდ უბედურებას, უზარმაზარ ისტორიას უკავშირდება, რომელიც ცოტა ხნის წინ მოხდა. სამწუხაროდ, ჩვენი რუსეთთან ურთიერთობა ჩიხში შევიდა. ჩვენ, ჩვენი მხრივ, დიდ ძალისხმევას ვიჩენთ, რათა ჩიხიდან გამოსვლა დაიწყოს. ვგრძნობ, რომ რუსეთი ამ საკითხს გაგებით ეკიდება. დადებითი სიგნალებია ჩვენი ძმების — აფხაზების მხრიდან. ორ ქვეყანას შორის გლობალური პრობლემების გადაწყვეტა სწრაფად არ არის შესაძლებელი, თუმცა ჩვენ მზად ვართ, ეტაპობრივად გადავწყვიტოთ რუსეთთან ვაჭრობის, კულტურული ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, სარკინიგზო მიმოსვლის, ხელი შევუწყოთ გლობალური პრობლემის გადაწყვეტას. შესაბამისად, ჩვენი, ჩვენი მხრივ, სრულ მზადყოფნას ვაცხადებთ და დადებითად ვართ განწყობილნი ამ საკითხისადმი. საჭიროა, სხვა მონაწილეებმა, რომლებზეც ეს ყველაფერია დამოკიდებული — სომხეთმა, რუსეთმა და აფხაზეთმა ასევე მზადყოფნა გამოთქვან და ასეთ შემთხვევაში, ეს საკითხი სწრაფად გადაწყდება“.**

რეინტეგრაციის მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა კი განაცხადა, რომ სატრანსპორტო არტერიის გახსნით კმაყოფილი იქნება ყველა და მათ შორის სომხეთიც, თუმცა აზერბაიჯანელი ექსპერტები ამ პოზიციას არ იზიარებენ. პოლიტოლოგ ფარხად მეჰტიევის აზრით, აზერბაიჯანის აგრესორ ქვეყანას, სომხეთს აღნიშნული რკინიგზით რუსეთთან საბაზრო მიმოსვლის ფართო გზა ეხსნება. აზერბაიჯანი კი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. ისინი საქართველოში დიდ ინვესტიციებს ახორციელებენ: **„ვაწვდით იაფ გაზს. ასეთ დროს უნდა მოხდეს ყველაფრის გათვალისწინება და ასევე ქართველმა პოლიტიკოსებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ აზერბაიჯანულ მხარესთან“,** — ამბობს მეჰტიევი, რომლის აზრითაც, თუკი რკინიგზა გაიხსნება, სომხეთს რუსეთთან სავაჭრო მიმოსვლა გაუადვილდება და ამით ივანიშვილი აზერბაიჯანის მტრებს გააძლიერებს.

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, **„აფხაზეთის რკინიგზის აღდგენით, რუსეთს აფხაზეთის ოკუპაციის ფაქტობრივად დაკანონება სურს და საქართველომ არც ერთი ნაბიჯით არ შეიძლება, ამას ხელი შეუწყოს“.** მისივე თქმით, ამ განცხადების ავტორს ან წარმოდგენა არ აქვს საქართველოს გეოპოლიტიკურ და პოლიტიკურ სტრატეგიულ ინტერესებზე ან შეგნებულად უთხრის ძირს საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ვექტორს, საქართველოს დამოუკიდებლობას, მომავალს და პირდაპირ მოქმედებს ოკუპანტის დაკვეთით:

„აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის მიმართულებით საქართველოს მთავრობის რამდენიმე განცხადება მოვისმინე. მიმაჩნია, რომ ეს განცხადება შეიცავს რამდენიმე ელემენტს და ყველა საგანგაშოა. პირველ რიგში, ეს არის განცხადება, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს საქართველოს სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რკინიგზა, რომელიც აფხაზეთზე გადის, საქართველოს აკავშირებდა ადრე ევროპასთან რუსეთის გავლით. საკმაოდ მოძველებული რკინიგზაა. სხვა ჩვენ არ გვქონდა, მაგრამ როდესაც რუსეთმა ეს რკინიგზა დაბლოკა, ბოლო წლებში აზერბაიჯანის გავლით ბევრად თანამედროვე, ბევრად სწრაფი რკინიგზა გაკეთდა, ამიტომ ამის აუცილებლობა საქართველოს არ გააჩნია. ამ რკინიგზის ამოქმედება რუსეთს მხოლოდ ერთი მიზეზის გამო აწყობს - იმიტომ, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა არის კონკურენტი ტრანს-ციმბრული რკინიგზისა – ეს არის ტვირთების გადამზიდავი, რომელსაც ტვირთები ჩინეთიდან და აზიიდან ევროპის მიმართულებით გადააქვს. როგორც ჩვენ შევქმენით კონკურენტი ენერგეტიკული დერეფანი, ასევე შევქმენით სატვირთო გადამზიდავი კონკურენტი. ამ სატვირთო გადამზიდავის დაკნინება სურს რუსეთს. მეორე, ამ რკინიგზით რუსეთს სურს, აფხაზეთის ოკუპაციის ფაქტობრივად დაკანონება, რადგან დღეს უკანონოდ რუსეთის რკინიგზამ მიითვისა აფხაზეთისა და ასევე ხელშეკრულებით სომხეთისაც, პრაქტიკულად სტატუსი ამ გახსნის სრულიად მიუღებელი იქნება, რადგან რუსეთი აფხაზეთს განიხილავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რასაც, პრაქტიკულად, დანარჩენი მსოფლიო არ აღიარებს. ასეთი ტიპის ქმედებებით რუსეთის მხრიდან იმის მოტივაცია ხდება, რომ აფხაზეთის ოკუპაცია დაკანონდეს.

არც ერთი ნაბიჯით არ შეიძლება, საქართველომ ამას ხელი შეუწყოს, ვიდრე აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხი ბოლომდე არ გადაწყდება ან ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს აფხაზეთის საკითხის დეოკუპაციის პარალელურად, როგორც ამ საკითხის შემადგენელი ნაწილი. მისი ცალკე განხილვა არის დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული, ანტიეროვნული, ოკუპანტის ინტერესების შესაბამისი აქტი. როცა ასეთ განცხადებებს საქართველოს მთავრობა აკეთებს, მას ან წარმოდგენა არ აქვს საქართველოს სტრატეგიულ-პოლიტიკურ ინტერესებზე ან კიდევ შეგნებულად ძირს უთხრის საქართველოს საგარეო ვექტორს, მის დამოუკიდებლობას, მომავალს და პირდაპირ მოქმედებს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის განმახორციელებლის დაკვეთით“, — აცხადებს პრეზიდენტი და აქვე დასძენს, რომ სომხეთთან კარგი ურთიერთობა სურს: **„ბევრი გავაკეთეთ იმისთვის, რომ სომხური ტვირთები საქართველოს ტერიტორიაზე გაგვეტარებინა. ეს იქნებოდა ლაზიკას პორტის დატვირთვაც. ჩვენ ამავე მიზნით ლარსის გზაც გავხსენით. სომხეთის იზოლაცია ჩვენს ინტერესებში არასოდეს ყოფილა და ამისთვის მხარი არასოდეს დაგვიჭერია, მაგრამ ერთია სომხეთთან კარგი ურთიერთობები და მეორე — ჩვენი ოკუპანტის სტრატეგიული გეგმის განხორციელება. ამ ტიპის განცხადებები, როგორც ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტის ეჭვქვეშ დაყენებაა, ძაბავს ურთიერთობას ჩვენ სხვა მეზობლებთან“.**

ექსპერტ გია ხუხაშვილისთვის „სომხურ ინტერესზე“ საუბარი მიუღებელია და მიიჩნევს, რომ აფხაზეთი-საქართველო-სომხეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფი უნდა შეიქმნას: **„აფხაზეთის რკინიგზა საქართველოს რკინიგზის განუყოფელი ნაწილია. სომხურ ინტერესზე არ უნდა ვისაუბროთ. იგი არ არის აქტიური მოთამაშე. რკინიგზით აფხაზეთის რეინტეგრაციის თემა უნდა დავიწყოთ. რკინიგზა შეიძლება გახდეს ხიდი პროცესის დასაწყებად“.** მისი თქმით, კითხვები, იმასთან დაკავშირებით, ვის მიეწერება ეს მონაკვეთი, უსაფრთხოება, საბაჟო საზღვარი მოლაპარაკებების საგანია და ამის მოსაგვარებლად სამუშაო ჯგუფი უნდა შეიქმნას: **„შესაძლებელია, ამ ჯგუფის მუშაობაში რუსეთმაც მიიღოს მონაწილეობა. განხორციელდება თუ არა პროექტი, მხარეების ადეკვატურობაზეა დამოკიდებული. ორი საბაჟო დაუშვებელი იქნება. საზღვარი ფსოუზე უნდა იყოს. შეიძლება, დროებითი გადაწყვეტილების მიღებაში საერთაშორისო ექსპედიტორები ჩაერთონ“.**

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, აფხაზეთის გავლით საქართველო–სომხეთის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა პრობლემას არ გამოიწვევს, თუ ის რეგიონულ დონეზე განსჯის საგანი გახდება: **„აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა პრობლემას არ გამოიწვევს, თუკი ის იქნება რეგიონულ დონეზე განსჯის საგანი ანუ თუკი ამ რკინიგზაზე გადავიდა იარაღი სომხეთში, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანულ მხარეს ამაზე რეაქცია ექნება. თუკი ის იქნება მხოლოდ სურსათისა და ადამიანთათვის სატრანსპორტო საშუალება, ჰუმანური მოტივაცია არავის მისცემს საშუალებას, პრეტენზია იქონიოს“.**

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე უარყოფითად აფასებს რკინიგზის შესაძლო გახსნის საკითხს და ამბობს, რომ საქართველომ მის ხელთ არსებული ბერკეტები რუსეთთან მიმართებაში დეოკუპაციის პროცესის დაწყების გარეშე არ უნდა დათმოს. მისი განმარტებით, მთავრობა ევროატლანტიკურ კურსს მხოლოდ სიტყვიერად აგრძელებს. „ვერსიასთან“ საუბრისას, ყოფილი პრემიერი თენგიზ სიგუა ასევე ამბობს, რომ აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა, უფრო სომხეთის ინტერესებში შედის: **„ყველა მძიმე ტვირთს ერევანი ზღვით ღებულობს. ეს ხდება, ძირითადად, ჩვენი პორტებიდან, ბათუმიდან და ფოთიდან. ასევე ცოტას, დაახლოებით, 18-20%-მდე ირანიდან, კასპიის ზღვის პორტით იღებს. სხვა გზა არ აქვთ. თურქეთი და აზერბაიჯანი მათთვის ჩაკეტილია, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ამიტომ, პირველ რიგში, სომხეთის ინტერესია, ეს გზა გაიხსნას და მძიმე ტვირთების ნაწილი მაინც რუსეთიდან, რკინიგზის გავლით მიიღოს. აფხაზების მოთხოვნილებებიც აქ ნაკლებადაა გამოხატული. მათ ეს არ აინტერესებთ და ისევ რუსების კარნახით მიდის მსჯელობა“.** ამასთან, სიგუას თქმით, რუსეთი მაინც შიშობს და აფხაზებს თბილისთან ღია სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენის საშუალებას არ მისცემს: **„აფხაზები რუსეთის კარნახის გარეშე, რაიმე სერიოზულ ნაბიჯს ვერ გადადგამენ. მოსკოვმა ღიად რომ უარყოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, ეს დიპლომატიური კრახი იქნება, ამიტომ ამ ნაბიჯზე არ წავა. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დასუსტდება, ამის პერსპექტივა კი ნამდვილად არსებობს. მოსკოვს ნავთობის დიდი მარაგები ნელ-ნელა უმთავრდება. მისი დღევანდელი ექსპორტის 75% სწორედ ენერგორესურსებია. ბიუჯეტის ძირითადი შემოსავალი სწორედ აქედანაა. ეს რომ მოიხსნება, დასუსტება გარდაუვალია. რუსეთი ტექნოლოგიურ ნაწარმსაც ვერ ყიდის. გაგეცინებათ, მაგრამ მთელი ქვეყნის ექსპორტში ტექნოლოგიური ნაწარმი 5%-ია. ამ მაჩვენებლით აფრიკის ხუთი-ექვსი ქვეყანაც კი უსწრებს. არაფერს ვამბობ ევროპის ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა დანია, ჰოლანდია, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ. ამიტომ რუსეთს კი მოაქვს თავი, მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად, მაგრამ ასე არ არის. ძლიერია, როგორც, ვთქვათ, საუდის არაბეთი — ნავთობზე ზის და ამით სულდგმულობს. ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი ეკონომიკა და წამყვანი ინდუსტრიული დარგები უნდა ჰქონდეს, მანქანათმშენებლობა და ა.შ. აშშ, იაპონია, გერმანია, ინგლისი პირველ რიგში ტექნოლოგიურ ნაწარმს ყიდიან. რუსეთი ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. გარეგნულ სიდიადეს მხოლოდ ენერგორესურსების გაყიდვა უქმნის. როგორც კი ეს ჩამოსცილდება და გარანტირებული შემოსავლები აღარ ექნება, რუსეთი დასუსტდება და რღვევა დაიწყება. პირველ რიგში, დაემშვიდობება ჩრდილოეთ კავკასიას. აი, მაშინ, რეალურად აღდგება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა“.**

ექსპრემიერის აზრით, მანამდე სახალხო დიპლომატიას დიდი პერსპექტივები აქვს და მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნას. მისივე თქმით, დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ამისთვის დიდი რესურსი მოიპოვება: **„ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ქართულ-აფხაზური ოჯახების შეხვედრაზე. ჩამოჰყავს ზუგდიდში, აქედან მიჰყავს და ა.შ. აი, ეს სამუშაოები აუცილებლად უნდა გააქტიურდეს. შინაგანად, აფხაზების დიდი ნაწილი ხვდება, რომ მოსკოვი არ არის მათი კეთილი მამიკო. ჯერჯერობით, ასეთ მდგომარეობაში არიან. ვინ მოუწყო აფხაზებს მუჰაჯირობა? რუსებმა გაასახლეს და მათ მოსპობას ხელი შეუწყვეს თავის დროზე. მეორეც, საქმეში ჩახედულ ნებისმიერ სოციოლოგს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ როდესაც შერეული ოჯახების რაოდენობა 25 და 30%-ს აღწევს, იქ გამორიცხულია, ადამიანები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ მტრობდნენ. ასეთი რამ შეუძლებელია. როცა შერეული ოჯახების მხოლოდ ერთი-ორი პროცენტია, აი, იქ არის შუღლი და დავიდარაბა. შედარებისთვის, სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთში ოჯახებს თითქმის არ ქმნიან. ერთი პროცენტიც კი არ არის მათთან შერეული ოჯახებისა. ჩვენთან, ოსებსა და აფხაზებთანაც მეოთხედზე მეტი ასეთი შერეული ოჯახებია. ამ შემთხვევაში ერებს შორის მტრობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ყველაფერი მოსკოვმა გააკეთა და პრობლემას სათავეში უნდა მოეღოს ბოლო“.**

„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ, ლამის ყველა აფხაზურ-ოსურ ინიციატივას, მათ შორის სახალხო დიპლომატიას ბოლო მოუღო. ადმინისტრაციულ საზღვარზე თავისუფალი ვაჭრობის გაჩაღება აფხაზებთანაც იგეგმებოდა, რაც ასევე დავიწყებას მიეცა. მერე იყო „აგვისტოს ხუთი დღე, რამაც მსოფლიო შეძრა“ და მოსკოვის მიერ „აღიარებული“ მარიონეტები. დღეს, ბევრად შორს ვართ მოძმე აფხაზებისა და ოსებისგან, ვიდრე ოდესმე, თუმცა ნაბიჯი გადასადგმელია და ეს ბუნებრივია, თბილისმა უნდა გააკეთოს. სხვა თემაა, რამდენად შედის ეს ნაბიჯი უშუალოდ, ქართველებისა და აფხაზების გრძელვადიან ინტერესებში. ივანიშვილის პირველ მოთელვას სოხუმში ფრთხილი განცხადებებით გამოეხმაურნენ. ეს გასაგებიცაა, მოსკოვის გარეშე აქ არაფერი მოხდება.

ვერსიანიუსი

ნიკოლოზ ვაშაკიძე გადადგომის გადაწყვეტილებას საგარეო პოლიტიკურ კურსთან შეუთავსებლობით ხსნის

ნიკოლოზ ვაშაკიძე თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილებას დღევანდელ საგარეო პოლიტიკურ კურსსა და სტილთან მისი შეუთავსებლობის მიზეზით ხსნის.

„ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი იყო შეუთავსებლობა დღევანდელ საგარეო პოლიტიკურ კურსსა და სტილთან. სხვას, ამ ეტაპზე, ვერაფერს გეტყვით, ეს სერიოზული საუბრის თემაა და ახლა მხოლოდ ამით შემოვიფარგლოთ“, — განუცხადა ვაშაკიძემ „ინტერპრესნიუსს“. მისივე განმარტებით, ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელებს მუშაობას. **„ამ ეტაპზე, უნდა დავისვენო“,** — აღნიშნა ვაშაკიძემ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ის ვაშაკიძის წასვლით გულდაწყვეტილია და განმარტავს: „მე მას შევთავაზე დარჩენა, ელჩად წასვლაც და არჩევანის გაკეთება რამდენიმე ქვეყანას შორის, თუმცა მან გადაწყვიტა, ამ ეტაპზე სხვა საქმე გააკეთოს და სხვა გეგმები აქვს. თანამდებობის დატოვების მიზეზი მისი პირადი გადაწყვეტილებაა.

მაია ფანჯიკიძისთვის გაუგებარია, რას გულისხმობდა ნიკოლოზ ვაშაკიძე საგარეო კურსის ცვლილებაში. როგორც მან განაცხადა: **„მას გუშინ ვესაუბრე, ვთხოვე, დარჩენილიყო დიპლომატიურ სამსახურში, შევთავაზე ელჩობა რამდენიმე ქვეყანაში. მას ჰქონდა არჩევანი, აერჩია რომელ ქვეყანაში სურდა, მაგრამ მან ეს არ მოინდომა და დატოვა სამინისტრო“.**

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ვაშაკიძემ თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება სომხეთის ვიზიტის შემდეგ მიიღო, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

„სომხეთში ბატონი ნიკოლოზ ვაშაკიძე არ ყოფილა, ამიტომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. რაც შეეხება კურსს, მისი ცვლილება გამორიცხულია. საქართველოს საგარეო კურსია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“, — განმარტა მაია ფანჯიკიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს!“

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროსაბჭოში, საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, ძალიან დიდი გაოცება გამოიწვია პრემიერ-მინისტრ

ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, რომელიც მან ერევანში ვიზიტის დროს გააკეთა. **„მან ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს კარგი ურთიერთობები ნატო-სა და რუსეთთან ერთდროულად და ცოტა უცნაური ტოლობა დასვა ამ ორ ძალას შორის, მაგალითად კი, ჩვენი სომეხი მეგობრები მოიყვანა. საქართველომ აირჩია ნატო-ს წევრობა, სომხეთმა ეს გზა არ აირჩია. ეს არის ნებისმიერი ერის სუვერენული უფლება, აირჩიოს გზა, რომელიც მისთვის უფრო მისაღებია, მაგრამ ურთიერთობები და ინტეგრაცია სხვადასხვა ცნებებია. ის, რაც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, სამწუხაროდ, ცვლის ყველაფერს, რაც აქამდე გვითქვამს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ნატო-ში წევრობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის აზრით, ერთია, როდესაც უმჯობესდება ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ მეორეა, როდესაც ნარჩუნდება ქვეყნის ძირითადი მისწრაფებები. **„მე ვფიქრობ, ქართველ ხალხს ხმა არ მიუცია ამ ძირითადი გზის შეცვლისკენ“,** — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

საპარლამენტო უმრავლესობა ევროსაბჭოში პრეზიდენტის გამოსვლას კომიკურს უწოდებს

სტრასბურგში ვიზიტით მყოფი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას კომიკურს უწოდებენ.

როგორც ეკა ბესელია აცხადებს, მიხეილ სააკაშვილი გამოსვლისას ქვეყნის იმიჯს უხეშად ეპყრობოდა. **„მან გადაწყვიტა, შეეჯიბროს პრემიერს და თქვა, რომ თითქოს, თავად უკეთ ლაპარაკობს რუსულად, ვიდრე პრემიერ-მინისტრი. ძალიან ურცხვად საუბრობდა დეპუტატებზე ზეწოლაზე. მას დაავიწყდა, რომ ქვეყანას წარმოადგენს ევროსაბჭოში და არა ერთ ვიწრო დამარცხებულ პოლიტიკურ გუნდს“,** — განაცხადა ეკა ბესელიამ.

ირაკლი ჩიქოვანი კი პრეზიდენტს „არაერთი ტყუილის“ თქმაში ადანაშაულებს. მისი თქმით, დასანანია, რომ ამ ფორმით სააკაშვილი იმის გამართლებას ცდილობდა, რასაც ბოლო წლების განმავლობაში მისი ხელისუფლება აკეთებდა. **„რაც შეეხება იმის დეკლარირებას, თითქოს საფრთხის ქვეშ დგას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ეს არის მორიგი სიცრუე, რომელიც არაერთი იყო ამ გამოსვლაში. იგი ამით ცდილობს, გარკვეული ლეგიტიმაცია მოიპოვოს და მისი პოლიტიკური დასასრული უფრო ლამაზი და ნათელი გახადოს“,** — აღნიშნა ჩიქოვანმა.

„ინტერპრესნიუსი“

„ალიტალია“ ქართული ბაზრის დატოვებას უარყოფს

კომპანია „ალიტალია“ ქართული ბაზრის დატოვებას გეგმას არ ადასტურებს. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ იტალიური ავიაგიგანტი საქართველოს ტოვებს, თუმცა როგორც **commersant.ge**-ს კომპანიის ქართულ წარმომადგენლობაში განუცხადეს, ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება და კომპანიამ მხოლოდ თებერვალში გააუქმა რამდენიმე რეისი, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ავიარეისებზე დატვირთვა თებერვალში, როგორც წესი, მცირდება.

ანალოგიურ განცხადებას აკეთებენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორ კომპანიაში. მათი განმარტებით, „ალიტალიას“ საქართველოს ბაზრის დატოვების შესახებ „ტავ ჯორჯიასთვის“ არ მიუმართავს და გავრცელებული ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება.

„ტავის“ ინფორმაციით, ავიაკომპანიამ მხოლოდ თებერვალში შეამცირა რეისები გამომდინარე იქიდან, რომ ეს თვე ზაფხულის პერიოდთან შედარებით ნაკლებად დატვირთულია.

კომპანია „ალიტალია“ საქართველოში შარშან, ივლისში შემოვიდა და ის რეისებს იტალიის მიმართულებით კვირაში ორჯერ ასრულებდა.

commersant.ge

სამართალი

ნოდარ ჯავახიშვილი:

„თქვენი გაზეთის საშუალებით, მივმართავ ყველა იმ ბანკს, სადაც ჩვენი თანამშრომლების ქონება ჯერ კიდევ დაყადაღებულია — დროულად შეასრულეთ დაკისრებული ვალდებულება!“



რუსუდან შელია
პოლიტიკა

ფონდი „ქართუ“ კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემას იწყებს. დაახლოებით, ასი მილიონი ლარი კახეთის ხუთ რაიონში 28 500 ოჯახზე გადანაწილდება. რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრომ უკვე გამოაცხადა პირველი ეტაპი თანხების გაცემისა, თუმცა საინტერესოა, რა მდგომარეობაა „ქართუ ბანკში“, რომელმაც 2012 წელი 75,3-მილიონიანი ზარალით დაასრულა და, ფაქტობრივად, ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. დეტალების დაზუსტება „ვერსიამ“ ბანკ „ქართუს“ პრეზიდენტს, ნოდარ ჯავახიშვილს სთხოვა.

— ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ არჩევნებამდე დაპირდა სტიქიის შედეგად დაზარალებულ კახელებს, რომ მიყენებულ ზიანს სრულად აუნაზღაურებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემის აგორება „ნაციონალებმა“ რამდენჯერმე სცადეს, როგორც ყოველთვის, არაფერი გამოუვიდათ. ბუნებრივია, ზარალის დათვლასა და შესწავლას გარკვეული დრო სჭირდებოდა. დღეისთვის, სამუშაოების დიდი ნაწილი დასრულებულია. დადგინდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული რეალური ზარალიც, რამაც, საბოლოოდ, 98 მილიონი ლარზე მეტი შეადგინა. თანხის გაცემის ოპერაციას „ქართუ ბანკი“ შეასრულებს და თანაც ისე, რომ გაჭირვებულ ადამიანებს საკომისიო თანხას არ დაუქვითავს. მართალია, მცირე პრობლემა შეგვექმნება იმ მიზეზით, რომ „ქართუ ბანკს“ ფილიალების დიდი ქსელი არ აქვს, მაგრამ თელავისა და თბილისის ოფისების საშუალებით, შეფერხების აღმოფხვრას შევეცდებით. ამასთან, უკვე გადაწყვეტილია, რომ თანხის გაცემის პერიოდში, ბანკში თანამშრომლების რაოდენობას დროებით გავზრდით, რაც საშუალებას მოგვცემს, რიგები თავიდან ავიცილოთ. ვფიქრობ, რთული მისია დაგვეკისრა, მაგრამ თავს აუცილებლად გავართმევთ, რათა თითოეული ოჯახის მინიმალური პრობლემები მოვაგვაროთ.

— კონკრეტულად, როდიდან იწყებს ბანკი დაზარალებული მოსახლეობის მიღებას და, საშუალოდ, რა თანხას მიიღებს თითოეული ოჯახი?

— ამ ეტაპზე, მხოლოდ სიებს ველოდებით, რომელიც, ჯერჯერობით, არ გვაქვს. სიაში დაზარალებულების საკმაოდ დიდი სპექტრია წარმოდგენილი. იქიდან გამომდინარე, რომ სეტყვა ყველა ოჯახის მოსავალსა თუ ქონებას ერთნაირად არ ანადგურებს, არიან ადამიანები, რომელთა სახლებმა თუ საკარმიდამო ნაკვეთმა მცირე დაზიანება მიიღო. ვიცი, სიის მიხედვით, ზოგი 500 ლარს მიიღებს, ზოგიც 5000 ლარს და უფრო მეტსაც. კახელებს საკმაოდ მომზადებულები დავხვდებით. როგორც კი სიების პირველად დამუშავებას დავასრულებთ, ანგარიშებს გავხსნით და განცხადებებსაც თავად მოვამზადებთ ისე, რომ მხოლოდ მოქალაქეების ხელმოწერა აკლდეს. ამით დიდ დროს დავზოგავთ.

— რაც შეეხება ბანკ „ქართუს“, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფინანსური პრობლემების გამო, ფიზიკური პირების მომსახურებაზე უარი განაცხადეთ. კონკრეტულად, რა პრობლემები შეგექმნათ და რა ბედი ელის ბანკის საცალო კლიენტებს?

— არასწორი ინტერპრეტაციაა, თითქოს, ბანკი „ქართუ“ ფიზიკურ პირებს აღარ მოემსახურება. მოგეხსენებათ, შარშან, ჩვენი მსხვილი კორპორატიული კლიენტები ნაციონალურმა მოძრაობამ ჩვენ წინააღმდეგ მომართა, რამაც სერიოზული დარტყმა მოგვაყენა და ამ ბაზარზე შევფერხდით. ბანკის თანამშრომლების დასასაქმებლად კი საცალო პროდუქტების დანერგვა დავიწყეთ. შესაბამისად, შარშან, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გავეცით იპოთეკური, სამომხმარებლო და ავტოსესხებიც, თუმცა როცა ბანკის მდგომარეობა გამოსწორებისკენ წავიდა და ჩვენი კორპორატიული კლიენტებიც ნელ-ნელა გვიბრუნდებიან, გადავწყვიტეთ, კვლავ მათი მომსახურეობის მიმართულებით გაგვეგრძელებინა მუშაობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ფიზიკურ პირებს არ მოვემსახურებით. ბანკი ბანკია, ამიტომ ყველა მსურველს, რომელიც ბანკის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ჩვეულებრივად მივიღებთ, უბრალოდ, მცირედი სესხები ჩვენთვის პრიორიტეტული არ იქნება. ნამდვილად არ ვაპირებთ, ამ სფეროში კონკურენცია სხვა ბანკებს გავუწიოთ. პირიქით, ჩვენ დავუბრუნდებით იმ ნიშას, რომელიც „ქართუ ბანკს“ წლების განმავლობაში ჰქონდა.

— შარშან ბანკს სერიოზული პრობლემები შეექმნა, რის გამოც, 2012 წლის 75,3-მილიონიანი ზარალით დაასრულეთ. დღეს რა მდგომარეობაა „ქართუში“?

— შარშანდლისგან განსხვავებით, 2013 წელს ხელოვნურ კატაკლიზმებს ნამდვილად არ ველოდებით. პირიქით, ვფიქრობთ, სამართლიანობის აღდგენის კვალობაზე, მნიშვნელოვან მოგებაზეც გავალთ, რომელმაც შარშანდელი ზარალი მთლიანად უნდა გადაფაროს. სამწუხაროდ, ბევრი მოარული ჭორი დადის, თითქოს, ჩვენ კლიენტებს გაცემული თანხები შერჩებათ. სხვათა შორის, მსგავსმა აბსურდულმა ინფორმაციამ კლიენტურის აქტივობა შეასუსტა — ისინი აღარ აქტიურობენ ბანკის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების მიმართულებით, თუმცა დარწმუნებული ვარ, სამართალდამცავების აქტიური მუშაობის ფონზე, ყველა მიხვდება, რომ დანაშაულის შენდობა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკთან ყველა ვალდებულებას სრულად გაასწორებს.

— „ქართუს“ თანამშრომლების ანგარიშებსა და ქონებას ყადაღა მოეხსნა?

— მოგეხსენებათ, ბანკის ცხრა თანამშრომელს უძრავი თუ მოძრავი ქონება დაყადაღებული ჰქონდა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ბუნებრივია, „ქართუში“ ყადაღა მოეხსნათ, თუმცა სხვა ბანკებში მათი ანგარიშები ჯერ კიდევ დაყადაღებულია. ცოტა ხნის წინ, ნათია მოგელაძესაც ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, ბანკების მთავარმა იურისტებმა განაცხადეს, პირადად თქვენ უნდა მიბრძანდეთ აღნიშნული ყადაღების მოსახსნელადო. როცა ანგარიშებს ყადაღას ადებდნენ, ბანკში პირადად მისვლა არავის მოუთხოვია, ამიტომ გაუგებარია, ახლა რატომ უნდა დავიარო ყველა ბანკი და მოვთხოვო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება?! ეს ნამდვილად გაუგონარი თავხედობაა. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა ყველა ბანკს მივმართო, სადაც ჩვენი თანამშრომლების ქონება ჯერ კიდევ დაყადაღებულია — დროულად შეასრულეთ დაკისრებული ვალდებულება.

— ცნობილია, რომ დიდი ხანია, გიორგი ქადაგიძესთან შეხვედრას ითხოვთ. შედგა თქვენ შორის კომუნიკაცია?

— ჩვენ ტელევიზიაში ერთხელ შევხვდით ერთმანეთს და მაშინ დამპირდა, რომ უახლოეს მომავალში შემხვდებოდა, თუმცა შემდეგ, ამის სურვილი არ გამოუთქვამს. ჩემი მხრიდან, რამდენიმეთვიანი მცდელობის მიუხედავად, მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე, ახლა კი, სიმართლე გითხრათ, აღარც ვცდილობ. საერთოდ, სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ეროვნული ბანკი „ქართუს“ ბანკად არ მიიჩნევს. მოგეხსენებათ, შარშან, ეროვნული ბანკის მუშაკები ჩვენთან ჩასახლებული გვყავდა, თუმცა ისინი 2 ოქტომბერს ისე წავიდნენ, დოკუმენტურადაც კი არ დაუდასტურებიათ, დაასრულეს შემოწმება თუ მომავალშიც უნდა ველოდეთ მათ დაბრუნებას. არც შემოწმების აქტი მოუცია ვინმეს, რაც დანაშაულებრივი ქმედებაა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეალურად, ისინი არც არაფერს ამოწმებდნენ, უბრალოდ, ჩვენთან ინსპექტორებად ისხდნენ. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უკვე წარსულია, ამ ეტაპზე, მხოლოდ ის საქმეები მაინტერესებს, რომელიც ჩვენი ინიციატივით აღიძრა. მნიშვნელოვანია, აღნიშნული საქმეები სწრაფად წარიმართოს და ყოფილი ხელისუფლების ის დიდი წრე გამოვლინდეს, რომელიც „ქართუ“ ბანკის წინააღმდეგ აღვირახსნილ უკანონობას ახორციელებდა. იმედი მაქვს, ყველა თავისას მიიღებს.

„დედ ჰასანის“ მკვლელობის მთავარი ვერსიები

დავით დევიძე

ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ასლან უსოიანის, იგივე „დედ ჰასანის“ მკვლელობის შემდეგ, რუსეთის კრიმინალურ წრეებში ძალთა გადანაწილების პროცესი იწყება. ალბათ, ვერავინ ვერასოდეს შეიტყობს, ვინ დაუკვეთა თბილისელი კანონიერი ქურდის მოკვლა, მაგრამ შესაძლო ვერსიათა სიუხვეში, სწორედ ძალთა გადანაწილების აუცილებლობას ანიჭებენ პრიორიტეტს. დასკვნა ასეთია: კრიმინალურ წრეებში კომერციით დაკავებული ავტორიტეტების თავიდან მოცილება გადაწყვიტეს. ასე რომ, იანვარში, მოსკოვში ყველაზე წონიანი კანონიერი ქურდის მოკვლა კრიმინალური ძალაუფლებისათვის ატეხილი ომის დასაწყისი შეიძლება აღმოჩნდეს.

ადგილი, სადაც „დედ ჰასანი“ მოკლეს

„დედ ჰასანი“

დედ ჰასანი საქართველოდან რუსეთში 90-იან წლებში გადაბარგდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კრიმინალებისთვის რუსეთის თვალუწვდენელი ტერიტორია გაცილებით მომხიბვლელი საასპარეზო იყო, ვიდრე პატარა საქართველო. მოსკოვში ჩასულმა ჰასანმა, ცნობილი რუსი ქურდის, „იაპონჩიკის“ მეგობრობის წყალობით, ქურდულ წრეებში მალე მოიპოვა ავტორიტეტი, თუმცა თავიდანვე დალხინებული ცხოვრება არ ჰქონია. საქმე ისაა, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მას კონკურენტები ჰყავდა, რომლებიც ასევე აცხადებდნენ პრეტენზიას პირველობაზე.

მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ „სხადნიაკზე“ ბაქოელმა კანონიერმა ქურდმა რუდოლფ აგანოვმა, მეტსახელად „რუდოლფ ბაკინსკიმ“ „დედ ჰასანი“ „ობშჩიაკის“ გაფლანგვაში დაადანაშაულა. ქურდული საზომით, ეს მიუტევებელი დანაშაულია და „დედ ჰასანი“ იმავე „სხადნიაკზე“ დააქვეითეს: არაქურდად შერაცხეს, თუმცა თბილისელი ქურდი ბედს არ შეურიგდა, „სხადნიაკს“ „სხადნიაკზე“ აწყობდა და დაკარგული ტიტულის აღდგენას ცდილობდა. მაშინ საქმე იქამდეც მივიდა, რომ კრიმინალური სამყარო ლამის ორ ნაწილად გაიყო. ნაწილი რუდოლფ ბაკინსკის უჭერდა მხარს, ნაწილი — დედ ჰასანს. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ რუდოლფ ბაკინსკი ვიღაცამ მოკლა და „დედ ჰასანსაც“ აღარაფერი უშლიდა ხელს ქურდის სახელის აღდგენის საქმეში. ამის შემდეგ იწყება ლოტკინელი ქურდის აღმავლობა.

მან ასევე თბილისელი ქურდის — შაქრო კალაშოვისა და „იაპონჩიკის“ დახმარებით მოახერხა კრიმინალურ წრეებში კონტროლის დამყარება, თუმცა ასეთი სტაბილური მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კრიმინალური წრე ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია თუ დაჯგუფება, ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივ განახლებას საჭიროებს. ამდენად, როცა ასპარეზზე დამნაშავეთა ახალი თაობა გამოჩნდა, აღმოჩნდა, რომ „კრიმინალური ტორტი“ კარგა ხნის დაჭრილი იყო. ახალ თაობას კი ნაჭრები არ ერგო. სწორედ ამ დროიდან იწყება რყევები დამნაშავეთა წრეებში, რისი ერთ-ერთი ლოგიკური გამოვლინება იანვრის გასროლაცაა.

ახლა კი უფრო კონკრეტულად — ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, „დედ ჰასანის“ მკვლელობა ასევე ცნობილი კანონიერი ქურდის — ტარიელ ონიანის მიერაა დაკვეთილი. მაინც რამ გამოიწვია ონიანსა და უსოიანს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება?

ტარიელ ონიანი ბოლოს მოსკოვში 2005 წელს ჩავიდა. მანამდე ესპანეთში ცხოვრობდა, სადაც სამშენებლო ბიზნესს აკონტროლებდა. 2005 წელს ესპანელმა სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია „კრაზანა“ წამოიწყეს რუსული მაფიის წინააღმდეგ და არაერთი კრიმინალური ავტორიტეტი დააპატიმრეს. ონიანი მათ სიაში არ მოხვდა. როგორც ჩანს, ქართველმა ქურდმა წინასწარ მიიღო გაფრთხილება შესაძლო დაკავებასთან დაკავშირებით და სპეცოპერაციის წინა დღეს მოსკოვში გაიქცა.

რუსეთის დედაქალაქში ჩასული ავტორიტეტი ვერ შეეგუებოდა რიგითი ქურდის როლში ყოფნას და ამიტომაც, „დედ ჰასანს“ გავლენის სფეროების დათმობა მოსთხოვა. რა თქმა უნდა, მტკიცე უარი მიიღო და ასე დაიწყო დაპირისპირება. ამ დავაში №1-მა ავტორიტეტმა „იაპონჩიკმა“ დედ ჰასანის მხარე დაიჭირა და ონიანი, თავისი ქუთაისური დაჯგუფებით, მარტო აღმოჩნდა დამნაშავეთა მეფეების პირისპირ. „იაპონჩიკმა“ ონიანს ბრალად წაუყენა, რომ მან თავისი დაჯგუფების გაზრდა „აპელსინების“ დახმარებით შეძლო. „აპელსინებს“ დამნაშავეთა წრეებში იმ ქურდებს ეძახიან, რომლებმაც თავიანთი ტიტული ფულით იყიდეს. ამ ბრალდებამ კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა დაპირისპირებულთა შორის.

ბოლოს გადაწყდა „სხოდკის“ მოწვევა, რომელსაც დაპირისპირებულები უნდა მოერიგებინა და 2008 წელს ეს „სხადნიაკი“ პიროგოვის წყალსაცავში, იახტაზე მოიწვიეს, თუმცა „თათბირზე“ „დედ ჰასანი“ და „იაპონჩიკი“ არ გამოცხადდნენ. იახტაზე მყოფი 39 ქურდი კი მილიციამ დააკავა. მართალია, დაკავებულები მალევე გამოუშვეს, მაგრამ ამ დაპატიმრებამ მტრობა უფრო გაზარდა. საქმე ისაა, რომ „სხადნიაკი“ ტარიელ ონიანის მიერ იყო მოწვეული. ქურდული ტრადიციებით კი, მომწვევი საკუთარი თავით აგებს პასუხს უსაფრთხოებაზე. იახტაზე შეკრებილ ქურდებს კი საუბარიც არ ჰქონდათ დაწყებული, ისე დააპატიმრეს. ასე წამოვიდა ახალი ბრალდება ონიანის წინააღმდეგ, რომ მან ქურდები ჩაუშვა და „იაპონჩიკისა“ და „დედ ჰასანის“ მილიციისთვის გადაცემა ჰქონდა განზრახული.

ასე რომ, „სხადნიაკზე“ სამომავლოდ, ვერაფერს გაარკვევდნენ, რადგან ერთმანეთს უკვე აღარ ენდობოდნენ და გადაწყვიტეს, დახმარებისთვის ვინმე ავტორიტეტული ქურდი ენახათ. ბევრი იფიქრეს, ვინ იყო ისეთი, ვინც უშუალოდ არ იყო ჩარეული დაპირისპირებაში და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებდა. არჩევანი თბილისში მცხოვრებ გოგი ჩიქოვანზე შეჩერდა. თავისთავად, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

გოგი ჩიქოვანი, მართლაც, ძალიან დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს, მაგრამ მოლაპარაკება არ შედგა: ასაკოვანმა ქურდმა ჯერ დიპლომატური უარი შეუთვალა მოსკოვში: იმ ასაკში აღარ ვარ, ასეთი მგზავრობა ავიტანოო, თუმცა მერე, მკაცრი ტონიც მიაყოლა: ქურდები კი არა, ბიზნესმენები ხართ, თქვენი საქციელი გულს მირევს, რა ვერ გაიყავით. გაჩერდით, თორემ როცა იფიქრებთ, რომ გაიმარჯვეთ და ზეიმს დაიწყებთ, პრობლემებიც მაშინ დაგეწყებათო.

გოგი ჩიქოვანის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: მალე ტარიელ ონიანი დაიჭირეს და ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. „დედ ჰასანის“ დაჯგუფებამ ზეიმი დაიწყო: ციხეში მყოფი ონიანი ნაკლებად საშიში იყო, თუმცა ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა: 2009 წელს „იაპონჩიკი“ მოკლეს. „დედ ჰასანმა“ მაშინვე ციხეში მყოფი ონიანი დაადანაშაულა, რომელმაც ეს ბრალდება უარყო. მისმა ადვოკატმა

ტარიელ ონიანი

ნიკოლოზ მდინარაძემაც საჯაროდ განაცხადა — ონიანს არანაირი საშუალება არ აქვს გარე სამყაროსთან დაკავშირებისო, მაგრამ ონიანის წინააღმდეგ აგორებულ ტალღას ეს განცხადება ვეღარ შეაჩერებდა. ციხეში, სადაც ონიანი ზის, შევიდა ქურდული „მალიავა“ — წერილი, რომელიც იწყება ასე:

„სიცოცხლე ქურდებს. ყველა პატიოსან ადამიანს ვატყობინებთ, რომ თქვენთან ზის ასეთი პირი: ტარო. ეს არის ცოფიანი ძაღლი, რომლის მოკვლა ყველას ვალია...“ წერილს ხელს აწერდა რამდენიმე „კანონიერი ქურდი“ და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მათ შორის იყო თვით „იაპონჩიკი“, რომელიც რეანიმაციაში იწვა უგონოდ და სწორედ ხელწერილის დაწერის დღეს გარდაიცვალა; ასევე შაქრო კალაშოვი, რომელიც ამ დროს, ესპანეთის ციხეში იჯდა და წერილს ხელს ვერანაირად ვერ მოაწერდა, ამიტომ „მალიავა“ ბევრმა ქურდმა არ სცნო და ონიანი გადარჩა.

ქურდების მოტივი ასეთი იყო: ამ „მალიავით“ ონიანის გასამართლება არ შეიძლება, რადგან საუბარია „კანონიერ ქურდზე“ და პრეტენზია პირისპირ უნდა წაუყენო და არა წერილობითო. ვიდრე ქურდები წერილის კანონიერებაზე თათბირობდნენ, მოსკოვში მორიგი თავდასხმა მოხდა. ქილერის სამიზნე ამჯერად, „დედ ჰასანი“ აღმოჩნდა. 2010 წლის 16 სექტემბერს მას მაშინ ესროლეს, როცა ტვერის ქუჩაზე შვილის ბინაში ადიოდა. „დედ ჰასანი“ გადარჩა და ისევ ტარიელ ონიანს დასდო ბრალი, რასაც ონიანის დაჯგუფების რამდენიმე ქურდის მოკვლა მოჰყვა, თუმცა ვარაუდობენ, რომ ჰასანის მხრიდან ეს მოწინააღმდეგე დაჯგუფებისთვის ანგარიშსწორების საშუალება უფრო იყო, თორემ მან კარგად იცოდა, რომ ციხეში გამოკეტილი, საკუთარი პრობლემებით სავსე ონიანი ამ თავდასხმის ორგანიზებას ვერ შეძლებდა. სხვათა შორის, „დედ ჰასანზე“ პირველი თავდასხმის დროს გაჩნდა ვერსია, რომ ქილერს მისი მოკვლა კი არა, დაშინება სურდა. ამ ვერსიაში მაშინ ეჭვი შეიტანეს, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. მკვლელმა რამდენიმე დღის წინ დაასრულა ის, რისი გაკეთებაც 2010 წლის სექტემბერში ვერ შეძლო.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც შეუძლებელია უპასუხო კითხვას:

რა როლი აქვს ტარიელ ონიანს ამ მკვლელობაში? ამ კითხვას შეიძლება მეორე ვერსიამ გასცეს პასუხი: არანაირი. უბრალოდ სპეცსამსახურებს აწყობდათ, დაპირისპირებულ ძალებს ერთმანეთი გაენადგურებინათ და ხელი შეუწყვეს ამ საქმეში. არც ისაა გამორიცხული, რომ ჯერ „იაპონჩიკის“, მერე კი „დედ ჰასანის“ ლიკვიდაციის გადაწყვეტილება „ფეესბეს“ კედლებში იყოს მიღებული.

ლოგიკასმოკლებული გადაწყვეტილება არ არის, თუმცა რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ არსებობს ასევე ლოგიკური ვერსიაც, რომ მძიმეწონიანი კრიმინალები, მომავალმა თაობამ ჩამოიშორა. წერილის დასაწყისში ვთქვით, რომ „დედ ჰასანს“ დაპირისპირება ჰქონდა აზერბაიჯანელ ქურდ ბაკინსკისთან. როცა ეს უკანასკნელი მოკლეს, აზერბაიჯანელი ქურდები მტრულად იყვნენ განწყობილნი „დედ ჰასანის“ მიმართ.

ბოლო წლებში კი, აზერბაიჯანელმა ქურდებმა რუსეთში თავიანთი პოზიციების გაძლიერება მოახერხეს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა ქურდს რავშან ჯანიევს. იგივე რავშან ლენქორანსკის, რომელიც აზერბაიჯანულ კრიმინალურ წრეებში №1 ავტორიტეტად ითვლება. დამნაშავეთა სამყაროში ამბობენ, რომ იგი, მართლაც, ლეგენდარული პიროვნებაა. მას 16 წლის ასაკში მოუკლეს მამა. საიდანღაც იშოვა იარაღი, შეიტანა სასამართლოში და მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამი კაცი სასამართლოს დარბაზში მოკლა. ასე დაიწყო მისი კრიმინალური კარიერა. მოკლედ, რავშან ლევქორანსკიმ გადაწყვიტა, მოსკოვში, განცხრომაში მყოფი კრიმინალურ ელიტაში შესვლა. როგორც უკვე ვთქვით, ადგილიც დაკავებული დახვდა და ტორტიც — დაჭრილი, ამიტომ ახალმა ნაკადმა მიიღო გადაწყვეტილება ძველების „დასვენების“ თაობაზე.

ესეც ვერსიაა და ვერსიათა მთელ ჩამონათვალში, რომელია ყველაზე ახლოს სიმართლესთან, ალბათ, არც არასოდეს გახდება ცნობილი.

რავშან ლენქორანსკი

დავით დევიძე
5(93) 219 042

„ვერსია“ გაგაცნობთ სქემას, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერიაში ყოველთვიურად ათობით მილიონი ლარი შედის. საქმე ეხება ე.წ. შავ ფულს, რომელიც არც ერთ დოკუმენტში არ არის აღრიცხული. შესაბამისად, არანაირი შეხება არ აქვს ქალაქის ბიუჯეტთან და მხოლოდ ამ ქალაქის რამდენიმე წარჩინებულის პირად შემოსავალს წარმოადგენს. როგორც ირკვევა, ფულის ასეთი წყარო საკმაოდ ბევრია. ამჯერად, მხოლოდ ერთ მათგანზე გიამბობთ.

სქემა, რომლითაც ყვითელი „მარშრუტკებიდან“ მერიაში შავი ფული მიედინება

რატომ არ გაიაფდება მგზავრობის ღირებულება

ორი წლის წინ, თბილისის მერიაში გამოცხადებულ ტენდერში, დედაქალაქში ახალი სამარშრუტო ტაქსების შემოყვანის თაობაზე, გაიმარჯვა ოთხმა კომპანიამ. ესენია: „თბილ-ლაინი“, „კაპიტალგრუპი“, „თბილქარი“ და „ფაბლიქქარი“. მაშინ ამ ტენდერს ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და გამოითქვა ეჭვი, რომ ამ კომპანიების უკან ერთი ძალა იდგა, რომელიც ძალიან ახლო კავშირში იმყოფებოდა თბილისის მერ გიგი უგულავასთან. ეჭვი მალე დადასტურდა, ოთხივე კომპანია სწრაფადვე გაერთიანდა და „თბილისის მიკროავტობუსი“ დაირქვა. რაც შეეხება უგულავასთან კავშირს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ კავშირის არსებობის შემთხვევაში, მონოპოლისტურ მონსტრად ჩამოყალიბებული კომპანია ვერ ჩაიდენდა ყველა იმ უკანონობას, რაც დღემდე დაუსჯელი რჩება. პირველი უკანონობა ის იყო, რომ როგორც კი ყვითელი მიკროავტობუსები შემოიყვანეს თბილისში, მაშინვე ხელოვნურად გაზარდეს მგზავრობის გადასახადი. რაც ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას, კიდევ უფრო მძიმედ დააწვა. არადა, ბევრს იძახდა გიგი უგულავა, ყვითელი ავტობუსების შემოყვანით მგზავრობის ფასი არ გაიზრდებაო, მაგრამ ეს უგულავას მორიგი ტყუილი აღმოჩნდა. მგზავრობის ფასიც გაიზარდა და მერიის შემოსავლებიც. ამ საკითხზე „ვერსიას“ რამდენიმე ჟურნალისტური გამოძიება აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ საინტერესო ის არის, რაც ბევრმა არ იცის: ჰგონიათ, რომ სწორედ ეს გაზრდილი ფასები წარმოადგენს მერიის მაღალჩინოსნების სიმდიდრის წყაროს. სინამდვილეში, არსებობს სხვა ფარული მექანიზმი, რომლის ანატომიასაც ახლა გაგაცნობთ — რამდენიმე დღის წინ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მძღოლი, გზა, სამართლის“ ხელმძღვანელს რობერტ იანტბელიძეს ვესტუმრე. მინდოდა გამერკვია, ახალი ხელისუფლების პირობებში, რამდენად არის შესაძლებელი, სამგზავრო ტარიფების ძველ ნიშნულამდე ანუ 50 თეთრამდე დაყვანა. ბატონმა რობერტმა საინტერესო რამ მიამბო.

— თბილისის მერიას, ჯერ კიდევ ჭიაბერაშვილის დროს, ჰქონდა სამარშრუტო ხაზების სრული გაკონტროლების სურვილი. სხვათა შორის, თავიდან, ამის გაკეთება კეთილშობილური სურვილებით უნდოდათ: კეთდებოდა ფული, რომელსაც ესენი შავ ფულს ეძახდნენ და მოინდომეს, როგორც ეროვნულმა და ხალხისგან არჩეულმა ხელისუფლებამ, ეს სამარშრუტო სამსახური ჩაეყენებინათ ხალხის სამსახურში. სამარშრუტო ხაზებზე იმ დროს მოძრაობდა შეუხედავი და ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი. ეს საკმარისი მოტივი იყო და დაიწყო საუბარი უკეთესი მანქანების შემოყვანაზე, რაც გაზრდიდა მომსახურების ხარისხს, მაგრამ მერე ცხოვრებამ აჩვენა, რომ აქ დიდი ფული ტრიალებს თურმე და ხალხი სულ დაავიწყდათ. ეს არის პერიოდი, როდესაც ტრანსპორტის უფროსი გახლავთ ჩიკვილაძე, მაია ნადირაძის ქმარი. სწორედ მის დროს დაიწყეს ახალ-ახალი ტენდერების ჩატარება, რაც ნიშნავდა იმას, რომ ვისაც ჰქონდა მანამდე სამარშრუტო ხაზი, უნდა გაეგდოთ და მოეყვანათ მეორე, თავისი კაცი, რადგან ძველებისგან ფულს ვერ აიღებდნენ. ჩაატარეს ტენდერი, შემოიღეს ახალი ხაზები და უცებ აღმოაჩინეს, რომ გამარჯვებულმა კომპანიებმა არ იცოდნენ ფულის შოვნის მეთოდები. ეს უკვე ზარალი იყო, ამიტომ შევიდნენ გარიგებაში ისევ ძველი ხაზების მფლობელებთან. მათ გადაახდევინეს ფული და ხაზებზე დატოვეს. ასე გრძელდებოდა 2011 წლამდე, ვიდრე ის ცნობილი ტენდერი არ ჩაატარეს, რითაც კიდევ უფრო გაზარდეს შემოსავალი. ჩიკვილაძის შემდეგ, ამ სამსახურში დაინიშნა აკაკი ჯოხაძე. ესეც დილეტანტი იყო ამ საქმეში, მაგრამ მალე აუღო ალღო ყველა იმ მექანიზმს, რომლის მიხედვითაც, დიდი ფულის კონტროლი იყო შესაძლებელი.

— ეს თავისთავად ცხადია: მონოპოლისტმა კომპანიამ გაზარდა ფასები, შესაბამისად, გაიზრდებოდა გადასახადებიც.

— ამაზე არ არის საუბარი. ცხადია, შემოსავლები გაიზარდა, მაგრამ ეს ქაღალდზეა აღრიცხული ანუ კერძო ინტერესებისთვის ვერ გამოიყენებ. ძაღლის თავი სრულიად სხვაგანაა დამარხული, რაზეც წარმოდგენა არავის აქვს. საქმე ისაა, რომ ოფიციალური მონაცემებით, თბილისში მოძრაობს 2 500 სამარშრუტო ავტობუსი. სინამდვილეში კი, სულ მოძრაობს 5 ათასამდე მიკროავტობუსი. ე.ი. ოფიციალური მონაცემებით, 2 500 მიკროავტობუსიდან შემოსული შემოსავალი მიდის ოფიციალურ ბიუჯეტში, დანარჩენი 2 500-დან შემოსული ფული მიდის უგულავასა და მისი გარემოცვის ჯიბეში.

— ვინ დაითვალა 2 500 არაოფიციალური „მარშრუტკა“?

— მონაცემების დათვლა არც გინდა, საკმარისია, ჩაატარო მონიტორინგი და კარგად დააკვირდე. ამას რომ გააკეთებ, აღმოაჩენ, ამა თუ იმ ხაზს თუ ემსახურებოდა 8 მანქანა, ამათ გაზარდეს 15 მანქანამდე. ხომ გახსოვთ, რა მიზნით შემოიყვანეს ყვითელი ავტობუსები, ვითომდა, მგზავრების უკეთ მომსახურების გამო, მაგრამ მოუვიდათ მაგარი იაღლიში: სოციალურად დაუცველი ფენა მთლიანად ამ ავტობუსებში ავიდა და მიკროავტობუსებს მგზავრები მოაკლდა. ამიტომ „თბილისის მიკროავტობუსებისთვის“ პირობები რომ შეექმნათ, ავტობუსების რაოდენობა შეამცირეს და თანაც გრძელი მარშრუტები საერთოდ მოხსნეს. ასე შეუწყო მერიამ ხელი კლასიკური მონოპოლიის ჩამოყალიბებას. ვერავინ გიპასუხებთ, მაგალითად, რატომ დაუშვა მერიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საწინააღმდეგო ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ფეხზე მდგომი 5 მგზავრის გადაყვანას მიკროავტობუსით, როცა არსებობს 117-ე მუხლი, რომელიც გვეუბნება ფეხზე მდგომი მგზავრის გადაყვანა ჯარიმდებაო. ანუ თბილისის მერიამ ოფიციალური კანონიც კი დაარღვია შემოსავლების გაზრდის მიზნით. მეტიც, თბილისის საპატრულო პოლიციას სააკაშვილის დროს მითითება ჰქონდა, მიკროავტობუსები დარღვევაზე არ გაეჩერებინა, რათა მეტი წრებრუნვა გაეკეთებინა და მეტი ფული შემოსვლოდა, რომელიც უგულავამდე მიდის ჯოხაძის გავლით. სხვათა შორის, 2010 წელს ამ სისტემაში არსებულ ჩახლართულ სტრუქტურებზე ვესაუბრე ჯოხაძეს, შევთავაზე გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება საზოგადოებრივი კომისიებისა და ჟურნალისტების საქმეში ჩართვით, რაც სასაცილოდ არ ეყო. იმდენად არიან ჩაფლულები ფულის კეთებაში, რომ რა ჟურნალისტი, რის არასამთავრობო და გამჭვირვალობა. იმდენად გაღორებული სისტემაა, ველარ ძღებიან.

— თანაც ვერც შეედავები. 2 500 აღურიცხავი მანქანა თუ არსებობს, გადასახადსაც ვერ მოსთხოვ.

— ასეა. აჩვენებენ 8 მანქანას, დანარჩენი დაფარულია. ამის გამოაშკარავება ძნელი არ არის. უბრალოდ, ეტყობა, ჯერ არ სცალიათ ამ საკითხისთვის. უფრო წონიანი საქმეები აქვთ, თუმცა ეს ისეთი საქმეა, მის უკან მდგომ ხალხს ციხე არ ასცდება.

რობერტ იანტბელიძის ინფორმაცია სამარშრუტო ტაქსების მძღოლებთან გადავამოწმე, რათა გამერკვია, რამდენს იხდიდნენ ყოველდღიური გადასახადების სახით. როგორც ირკვევა, ყველა სამარშრუტო ხაზს ინდივიდუალური ბეგარა აქვს, რაც დამოკიდებულია სამგზავრო ხაზის სიგრძესა და მგზავრების რაოდენობაზე. გადასახადები 40-დან 60 ლარამდე მერყეობს, რასაც ემატება ყოველდღიური საგზურის ფული — 10 ლარი. ჩავთვალოთ, რომ ყველა „მარშრუტკა“ ყოველდღიურად იხდის 50 ლარს. გამოდის, აღურიცხავი 2 500 მანქანიდან ყოველდღიურად უგულავას „შავ კასაში“ შედის 125 ათასი ლარი. ამას დავუმატოთ 25 ათასი საგზურის ფულიც და მივიღებთ პასუხად, რომ „ნაცმოძრაობა“ მარტო „მარშრუტკებიდან“ ყოველდღიურად 150 ათასი ლარით მდიდრდება. ამ საქმეში სპეციალისტები თბილისის მერისა და ქვეყნის პრეზიდენტის კერძო ინტერესებსაც ხედავენ. სწორედ ფასების დაკლების შესაძლებლობაზე ვკითხეთ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ჯაბა სამუშიას, რომელიც ასევე ადანაშაულებს მერიას მონოპოლისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში.

— ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ კონკურენცია კი არა, მონოპოლიაა. წინათ არ იყო ფასების მომატების მცდელობა? იყო, მაგრამ მაშინ თითოეული ხაზი კონკურენციაში იყო ერთმანეთთან. თუკი ერთ ხაზზე მომუშავე „მარშრუტკები“ ფასს მოუმატებდნენ, მგზავრების ნაკადი მყისიერად გადაინაცვლებდა სხვა ხაზზე, ამიტომაც, ყველა იძულებული იყო, ბალანსი დაეცვა და წლების განმავლობაში ფასი — 50 თეთრი იქნა შენარჩუნებული. დღეს კი ჩვენ უკვე გვყავს მონოპოლისტი. ვითომ ოთხმა კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერში და მივიღეთ ერთი კომპანია ერთი მენეჯმენტით და ერთი მფლობელით. ასე აღმოჩნდა ფასი ერთი ადამიანის ხელში. ერთადერთი, რასაც მაშინ მივაღწიეთ ის იყო, რომ ეს ორგანიზაციები დავაჯარიმეთ, რადგან კანონი დაარღვიეს ფასების მომატებასთან დაკავშირებით.

— არადა, უგულავა პირობას იძლეოდა, ფასები არ მოიმატებსო.

— უგულავაც, მერიის ჩინოვნიკებიცა და კომპანიის წარმომადგენლებიც ამბობდნენ, ფასს არ მოვუმატებთო. არავის აქვს დაანგარიშებული, რატომაა მგზავრობის ფასი 80 და არა 60 თეთრი. ასე ხომ შეიძლება 2 ლარიც დაადონ? მაშინ მერიამ სხვა კომპანიებსაც უნდა მისცეს შემოსვლის საშუალება, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ და ფასებსაც დაარეგულირებენ.

— მერიას ისეთი შემოსავლები ჰქონია, ამის ნებას არავის მისცემს.

— ცხადია, არ მისცემს. ქალაქის მერმა გასცა ლიცენზია და ეს იყო კლასიკური ელიტური კორუფცია. მერიამ გაყიდა ხაზები და მიჰყიდა ვისაც არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. ჰაერი გაყიდეს.

— რამდენიმე დღის წინ აკაკი ჯოხაძე ამიტომ ხომ არ დაიბარეს ფინანსურში?

— აკაკის, ფაქტობრივად, უმნიშვნელო როლი აქვს. იგი გადაწყვეტილებებს არ იღებდა. ტექნიკური სამსახურის უფროსია და რა თქმა უნდა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, აქედან გამომდინარე, ვინმეს თუ უნდა, სამსახურის უფროსის დონეზე დაიყვანოს პასუხისმგებლობა, შეცდომა იქნება. საქმე გვაქვს იმ დონის ფინანსურ შეთანხმებასთან, ეჭვი არ მეპარება, ამაში თვითონ პრეზიდენტი იყოს ჩართული.

— ექსპერტები საუბრობენ აღურიცხავი „მარშრუტკების“ არსებობაზე.

— აღურიცხავ „მარშრუტკებზე“ მე ინფორმაცია არ მაქვს და ვერ დაგიდასტურებთ. ის ვიცი, რომ პირიქითი პროცესი იყო. რა რაოდენობის ტაქსები უნდა შემოეყვანათ, იმდენი ვერ მოახერხეს. ჩემი მონაცემებით, უნდა შემოსულიყო 3 ათასი, შემოიყვანეს 2 300-მდე. ბოლო ნახევარი წლის მანძილზე რა დაემატა ამ რაოდენობას, ამას ვერ მოგახსენებთ.

— და მაინც, მოსახლეობას ყველაზე მეტად აინტერესებს, გაიაფდება თუ არა მგზავრობა. ამისთვის რა არის საჭირო?

— თბილისში უნდა გამოცხადდეს ტენდერი. შეიქმნას ნორმალური საკანონმდებლო ბაზა ახალი კონკურსის ჩასატარებლად და კომპანიებს მიეცეს კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების საშუალება.

ერთი სიტყვით, დედაქალაქში არც ისე დალაგებულადაა საქმე, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილსა და გიგი უგულავას უნდა. მართალია, ჩემი რესპონდენტები ელიტურ კორუფციაზე საუბრობენ, მაგრამ კარგად თუ დავუკვირდებით, ეს კორუფციაც აღარ არის, უფრო ყაჩაღობას ჰგავს. ხალხსაც აყაჩაღებენ და ბიუჯეტსაც. ამ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ვცადეთ აკაკი ჯოხაძისგანაც მიგვეღო კომენტარი, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. თუმცა რომც ეპასუხა, ალბათ, არაოფიციალურ მიკროავტობუსების არსებობასაც უარყოფდა და ამ სფეროდან შემოსულ შავ ფულსაც. ასეა, როცა დამალულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, უარყოფაც იოლია, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რაც ზედაპირზე დევს, მონოპოლისტ „თბილისის მიკროავტობუსს“ ვგულისხმობ. ხომ ფაქტია, რომ მერიის ხელშეწყობით ამ ორგანიზაციას კონკურენტი არ ჰყავს? ასეთ პირობებში კი მგზავრობის საფასურის გაიაფებაზე საუბარიც ზედმეტია.

ვერსიანიუსი

თურქეთში ქართული თაფლის გაჭანამ ადგილობრივი პროდუქცია გააძვირა

თაფლის კომპანია, რომელიც „მაჭახელას დათუნიას'' აწარმოებს, თაფლის ექსპორტირების პრობლემებზე საუბრობს. როგორც commersant.ge-ს კომპანიის დირექტორმა, თამაზ კახიძემ განუცხადა, საქართველოში წარმოებული მეფუტკრეობის პროდუქტები ევროპის ბაზარზე გასასვლელად მზად არ არის, რადგან საქართველოში არ არსებობს სპეციალური ლაბორატორია, რომელიც ევროპულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს და ქართველ მეფუტკრეებს საექსპორტო ბაზრებზე გასვლის საშუალებას მისცემს. კახაძის განცხადებითვე, მეორე პრობლემა თაფლის მაღალი ფასია, რადგან თურქებმა ქართული ბაზრიდან, გარკვეული რაოდენობის თაფლი წაიღეს და თანხა ჯერ არ გადაუხდიათ, რამაც ქართველი მეფუტკრეები იძულებული გახადა, თაფლის ფასი გაეზარდათ. **„თაფლის ფასი მაღალია, თურქები შემოვიდნენ და ბაზრებიდან თაფლი წაიღეს, ამან კი პროდუქცია გააძვირა, რადგან წაღებული პროდუქციის თანხა ჯერ არ გადაუხდიათ, ახლა მეფუტკრეებს თაფლის რეალიზაცია უჭირთ“,** – აცხადებს კახიძე.

მისივე თქმით, დღეს მათი კომპანიის თაფლი მხოლოდ თურქულ ბაზარზე გადის და ისიც, არაოფიციალურად, ვინაიდან გადამყიდველებს გააქვთ, ხოლო ევროპულ ბაზარზე გასვლა ლაბორატორიის გარეშე შეუძლებელია. კომპანიის დირექტორის განცხადებით, ისინი მომავალში გაფართოებასა და უცხოეთის ბაზრებზე შესვლასაც გეგმავენ. ქართული თაფლის კომპანია ქართულ ბაზარზე 2010 წლიდან ოპერირებს. რაც შეეხება „მაჭახელას დათუნიას“, ის საქართველოს სხვადასხვა ქალაქში იყიდება. მათ შორის თბილისისა და ბათუმის „გუდვილში“. თბილისში მისი გაყიდვებს „გაყიდვების მართვის კომპანია“ ახორციელებს, რომელიც ფლობს ნიშანს „აირჩიე ქართული“. კომპანიის პორტფელში ამჟამად ადგილობრივი წარმოების პროდუქტები: თაფლი, ჩაი, ნატურალური წვენები და უალკოჰოლო სასმელები შედის.

commersant.ge



„აუქციონზე გაუყიდიათ ქარხანაში ყველაფერი ისე, რომ მე, მის მეპატრონეს, არაფერი გამაგებინეს, „წარმოგიდგენიათ ასეთი რამ?“

ღვინის ქარხნის მეპატრონე ქონების დაბრუნებისთვის ბრძოლას იწყებს

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

საფრანგეთში გადახვეწილი სოფელ ქვემო ქედის ღვინის ქარხნის მეპატრონე ილო თუშიშვილი გაზეთ „ვერსიასთან“ სკანდალურ განცხადებებს სტრასბურგიდან აკეთებს და ექსკლუზიურად გვიმხელს, რომ ორი წლის წინ, მისი ქონება აუქციონზე ისე გაყიდეს, მისთვის არაფერი უცნობებიათ. ილო თუშიშვილი თავს დაზარალებულად მიიჩნევს, ამბობს, რომ იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა, ქართულ ძალოვან უწყებებს უმოქმედობაშიც ადანაშაულებს და საქმის გასაჩივრებასაც აპირებს. დედოფლისწყაროში მდებარე ღვინის ქარხნის მეპატრონეს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ქონების დაბრუნების იმედი გაუჩნდა.

საპარლამენტო არჩევნებისა და ქვეყანაში განხორციელებული ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოში ქონების დაბრუნების თაობაზე ბრძოლის დაწყების მოტივაცია არაერთ ადამიანს გაუჩნდა. ისინი ამაზე ღიად საუბრობენ და ბრძოლის დაწყებას გეგმავენ. მათი განმარტებით, ამ დრომდე სამართლებრივ ბრძოლასა და ხმის ამოღებას აზრი არ ჰქონდა, თუმცა ბიძინა ივანიშვილის მიერ მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტების შემდეგ, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის განცდამ დაისადგურა. მედიასაშუალებებით ყოველდღიურად ვრცელდება საჯარო განცხადებები ამა თუ იმ ადამიანის მიერ ქონების დაბრუნების თაობაზე. მათ შორისაა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის ღვინის ქარხნის მეპატრონე ილია თუშიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ ქვეყნის დატოვება იძულებით მოუხდა და წინა ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის მსხვერპლია.

სოფელ ქვემო ქედის ღვინის ქარხანა, მისი დემონტაჟის, მოსახლეობისთვის აუნაზღაურებელი ყურძნის საფასურისა და სკანდალური განცხადებების წყალობით, ქართულ ტელე თუ ბეჭდვურ სივრცეში აჟიოტაჟის საბაბი დიდხანს იყო. თავის მხრივ სამართლიანობის აღდგენასა და კუთვნილი თანხების ანაზღაურებას მერამდენე წელია უშედეგოდ ელიან დედოფლისწყაროელი მევენახეები. რამდენიმე ადგილობრივ მევენახეს თუშიშვილის ქარხანაში ჩაბარებული ყურძნის საფასური ათიათასობით ლარის ოდენობით, ამ დრომდე, მისაღები აქვს. ვითარება რუსული ემბარგოს დაწესების შემდეგ გართულდა.

ქარხანამ მოსახლეობის ყურძენი მიიღო, მისი რეალიზება და ხარჯების დაფარვა კი ვერ შეძლო. პროცესი უსაშველოდ გაიწელა, ხელისუფლებაც განზე გადგა, შედეგად, სოფელიც დაზარალდა და იქ მოქმედი ქარხანაც განადგურდა. სოფელ სამთაწყაროსა და ფიროსმანში მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობა ერთმანეთს და ღვინის ქარხნის მეპატრონეს დაუპირისპირდა.

ილო თუშიშვილი: — ამჟამად, საფრანგეთში ვარ, სტრასბურგში ვიმყოფები... ნაციონალურმა მოძრაობამ და სააკაშვილის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, იძულებული გამხადა, ქვეყნიდან წამოვსულიყავი. მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროში, ქვემო ქედის ღვინის ქარხნის მეპატრონე გახლდით, საკმაოდ წარმატებულად ვმუშაობდით, მაგრამ რამდენიმე წლის წინ, სააკაშვილის მთავრობამ და ბანკმა მწარედ მომატყუეს, რის გამოც სხვა გზა არ დამრჩა და აქ გადმოვიხვეწე. დღესაც ანგრევენ და ანადგურებენ ჩემს ქარხანას. კატეგორიულად ვითხოვდი, აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე, რადგან მე არანაირი ვალი არ მქონდა!საქმე წინ არ წასულა.

— საქმის აღძვრისა და გამოძიების დაწყების მოთხოვნით, წერილობით მიმართეთ სამართალდამცავ ორგანოებს?

— ცხადია, მივმართე. განცხადებები შევიტანე დედოფლისწყაროს პოლიციასა და პროკურატურაში. ამის მოწმეა სამთაწყაროს, ფიროსმანისა და ქედის მოსახლეობა. საქმეს კი მაინც არავინ იძიებდა. საპარლამენტო არჩევნებამდე და ნაციონალური მოძრაობის დამარცხებამდე შემომითვალეს და ახლობლებმა გამაფრთხილეს კიდეც, რომ თუ საქართველოში ჩამოვიდოდი, დაპატიმრებას მიპირებდნენ.

— ბატონო ილია, არაერთი ვერსია ვრცელდებოდა და რამდენჯერმე გაჟღერდა, რომ საქართველო დატოვეთ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ისევ საქართველოში იმყოფებოდით, სინამდვილეში, როდის დატოვეთ ქვეყანა?

— საქართველოდან 2011 წლის იანვარში გამოვაღწიე. შემდეგ კი გავიგე, რომ აუქციონზე გაუყიდიათ ქარხანაში ყველაფერი ისე, რომ მის მეპატრონეს (ანუ მე) არაფერი გამაგებინეს. წარმოგიდგენიათ ასეთი მიდგომა? არანაირი გაფრთხილება ან რაიმე ამდაგვარი არ ყოფილა. ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ქარხნის გაყიდვა.

რაც ყველაზე მთავარია, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას დიდხანს ვითხოვდი, როგორც დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში, ისე კახეთის სამხარეო სამმართველოში. ბოლოს რომ ვერაფერი გავაწყვე, საფინანსო პოლიციასაც მივმართე. თავდაპირველად, დიდი იმედი მომცეს, დეტალები რომ გავაცანი, გამომძიებელი სულ გადაირია, ასეთი უსამართლობა როგორ შეიძლებოდაო. მაგრამ ორი დღის შემდეგ, ბოდიშის მოხდით, პირდაპირ გამომიცხადა, ველარ დაგეხმარები და რატომ, ვერა, ამას ვერ გეტყვიო! არ დააკონკრეტა, თუმცა აშკარა იყო, რომ ვიღაცას არ აწყობდა.

აუცილებლად ვიბრძოლებ სიმართლის საპოვნელად და სამართლიანობის აღსასრულებლად. ამ საქმეს არავის ვაპატიებ და ალბათ, საფრანგეთშიც შევიტან საჩივარს სასამართლოში.

მოკითხვა მინდა შემოვუთვალო საქართველოსა და ჩემს რაიონს, გაძლება გისურვოთ. დადექით ერთმანეთის გვერდით, ღმერთივით კაცი გამოჩნდა ქართველებისთვის – ბიძინა ივანიშვილის სახით და ნუღარაფრის შეგეშინდებათ. დამიჯერეთ, მე სულითა და გულით თქვენთან ვარ.

— საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რა გეგმები გაქვთ და როდის აპირებთ დაბრუნებას?

— ორ კვირაში ჩემი შვილი საფრანგეთიდან დედოფლისწყაროში ჩამოვა, მეც მალე ვაპირებ დაბრუნებას, თუმცა მინდა, ისე ჩამოვიდე, სტრასბურგიდან ამ საქმეზე გარკვეული მხარდაჭერა მქონდეს. სავარაუდოდ, თებერვლის ბოლომდე საქართველოში ვიქნები.

— ამბობთ, რომ ბანკმა თქვენგან მილიონნახევარი ლარი ზედმეტად წაიღო?

— პროკურატურის გამოძიებული საქმე და დადგენილება ახლაც ხელთ მაქვს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ბანკის ვალი, თავისი პროცენტებისა და ჯარიმების ჩათვლით, უკვე გადახდილი მაქვს. გამოდის, ბანკს 1 500 000 ლარით მეტი თანხა აქვს წაღებული. რატომ და რისთვის, ეს გაუგებარი რჩება.

— როგორც მახსოვს, სამართლიანობისთვის საბრძოლველად და თუნდაც ღვინის ქარხნის გადასარჩენად, ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომა ვერ იგრძენით... რატომ ვერ დაარწმუნეთ ადგილობრივები თქვენს სიმართლეში, გვერდით რომ დაგდგომოდნენ და ერთად გებრძოლათ?

— გეთანხმებით, თავის დროზე, სამთაწყაროსა და ფიროსმანის მევენახეებს არაერთხელ ვთხოვე, თქვენი ღვინო ბანკს გააქვს, მხარში დამიდექითმეთქი, ასე მპასუხობდნენ — გვეშინია, დაგვიჭერენ, ხმას ვერ ამოვიღებთო. შიშის სინდრომმა და გაჩუმებამ ამ შედეგამდე მიგვიყვანა.

ამდენი წლის განმავლობაში, ერთადერთმა შევინარჩუნე ქარხანა და რუსული ემბარგოს შემდეგ, როცა ჩემს ხალხს ყურძენი ვერსად გაჰქონდა და ვერ აბარებდა, მათ ანგარიში გავუწიე.ასევე ანგარიში გავუწიე მთავრობას და ამიტომაც ჩავიბარე იმაზე მეტი ყურძენი, ვიდრე შემეძლო. ხალხს ყურძენი ულპებოდა, ნაციონალური მოძრაობა კი ყველანაირ გარანტიას მაძლევდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბოლოო ჯამში, ყველაზე დაზარალებული მე აღმოვჩნდი. მთელი ჩემი ნამუშევარი და 45 წლის მონაგარი წამებში, ხელის ერთი მოსმით წამართვეს და სრულიად უკანონოდ. ყველაფერი გაცამტვერდა, ამხელა საქმე გაჩერდა".

გაზეთი „ვერსია“ ამ საკითხის მონიტორინგს კვლავაც გააგრძელებს, იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ინფორმაციას მკითხველს ეტაპობრივად მიაწვდის.

„თქვა ტყუილი და თავად გჯეროდეს ამის, მხოლოდ აბაშაში ხდება!“

ქეთი მიქაძე,
„გურია ნიუსი“

აბაშაში, თამარ მეფის ქუჩის N 11-ში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს უამრავ სხვა პრობლემასთან ერთად, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ანტისანიტარია აწუხებთ. დევნილების განცხადებით, მათ არაერთხელ მიმართეს შესაბამის ორგანოებს და მიმდინარე წლის თებერვალში საკრებულოს თავმჯდომარის, დავით თოფურიას მიერ ხელმოწერილი პასუხიც მიიღეს. თოფურია დევნილებს დაჰპირდა, რომ საკითხი შესწავლილია და უახლოეს დღეებში, შესაბამისი ორგანოები ტერიტორიიდან ნაგავს გაიტანდნენ, თუმცა მას შემდეგ 9 თვე გავიდა და დაპირება დაპირებად დარჩა.

მედეა გინდელია: „ყველამ იცის, დევნილებს რა პირობებში გვიწევს ცხოვრება, განსაკუთრებით, მძიმე მდგომარეობაა ჩვენთან — წვიმის დროს წყალი ჩამოდის, სახურავზე ასასვლელი ლუქიც კი არ გვაქვს, ხანძრის დროს სახურავზე ასვლა შევძლოთ. წყლის მოტორი დაგვიდგეს, მაგრამ ავზი არ არის დადგმული და საიდან წამოვა ეს წყალი, არავინ ფიქრობს. წყალი მეორე სართულზე საერთოდ არ ადის, კანალიზაცია დაუმთავრებელია. ამ პრობლემებს ემატება ის ანტისანიტარია, რომელიც კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზეა გამეფებული. რაც შევძელით, ჩვენი სახსრებით, გავასუფთავეთ და იმ მინაზე პატარ-პატარა საბოსტნე ადგილებიც შემოვღობეთ, მაგრამ დიდ ნაგავს ვერ მოვერიეთ. საშინელი მდგომარეობაა, ეზოდან სახლებში შედიან მორიელები, ხვლიკები, ზაფხულში გველები იყვნენ მომრავლებული და ბავშვებს ვერ ვუშვებდით გარეთ. ზამთარში ხომ თაგვებმა შეგვჭამეს. მივმართეთ თხოვნით საკრებულოს, დადებითი პასუხიც მოვიდა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ჩვენც ადამიანები ვართ და გვინდა, ნორმალურ პირობებში ვიცხოვროთ“.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მივმართეთ **აბაშის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს, ბაჩუკი ნადარაიას:** „როგორც ვიცი, მთავრობის დადგენილებით მათ გადაეცათ ეს ბინები და პრივატიზებულია, ამიტომ ეზოდან ნაგვისა და სამშენებლო მასალების გატანა თავად უნდა მოახერხონ. კიდეც რომ მინდოდეს, ვერ შევძლებ დახმარებას, რადგან ბეტონის იმხელა ნატეხებია იქ, ჩვენი ძალებით ვერ გავიტანთ, ამისთვის არც ტექნიკა გვყავს შესაბამისი და არც სახსრები გაგვაჩნია“.

ნადარაიასთან საუბრის შემდეგ, ისევ ვესაუბრეთ ე.წ. აბანოს შენობაში ჩასახლებულ დევნილებს — დავინტერესდით, მართლა იყო ეს ბინები პრივატიზებული თუ არა.

ლიანა ბიგვავა: „ტყუილია, უკვე რამდენი ხანია, ბინების დაკანონებას ვითხოვთ და ვერ მივაღწიეთ ამას. აბა, ახლა როგორღა გახდა ჩვენი საკუთრება? იმიტომ, რომ ასე სჭირდებათ, რათა დაპირება არ შეასრულონ და ტერიტორია არ დაასუფთავონ?!"

მედეა გინდელია: „ძალიან ცუდია, როცა ასეთ უსამართლობას ვაწყდებით. ნეტავ, მართლა დაგვიკანონდეს ეს ფართები და მის დასუფთავებას, როგორმე, ჩვენი სახსრებით მოვახერხებთ, მაგრამ ამ ეტაპზე, კეთილი ინებონ და, შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. ქალაქი ვერ დაუსუფთავებიათ და ჩვენ დაგვეხმარებიან? თქვენ შეგიძლიათ, გადაამოწმოთ ჩვენი სიტყვები და გაიგოთ, არის თუ არა პრივატიზებული ფართები. მარტო ჩვენი კი არა, არსადაა დაკანონებული. თქვა ტყუილი და თავად გჯეროდეს ამის, მხოლოდ აბაშაში ხდება“.

ამის შემდეგ, ვესაუბრეთ **დევნილთა რეგიონული სამმართველოს მთავარ სპეციალისტს, სლავა ჯონჯუას**: „ფართები პრივატიზებული ნამდვილად არ არის. დევნილთა სამინისტროს განსახლების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხზე, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, მიმდინარეობს ოჯახების საბოლოო შესწავლა და როგორც კი დამთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები, მოხდება ამ ფართების დაკანონება“.

მიუხედავად იმისა, რომ ფართები ნამდვილად არ არის დაკანონებული, დევნილებს მაინც საკუთარი სახსრებით მოუწევთ ნაგვის გატანა, რადგან დაპირების ასრულების მოლოდინში თვეები გადის.

ვერსიანიუსი

მამია სანადირაძე — პრეზიდენტის ინიციატივა ნაძარცვი ქონების ლეგალიზაციას ემსახურება

საზოგადოებრივი მოძრაობა „მართალი სამართალი ღირსებისათვის“ ფინანსური ამნისტიის ინიციატივის წინააღმდეგ გამოდის.

მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, „კავკაზუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელის, მამია სანადირაძის განცხადებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა მიმართულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ემსახურება ნაძარცვი ქონების ლეგალიზაციასა და დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერებას. მისივე თქმით, დღემდე ბიუჯეტთან დავალიანება მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს გააჩნიათ და მათი პატიება დაუშვებელია. სანადირაძემ აღნიშნა, რომ უნდობლობას უცხადებენ არსებულ სასამართლო სისტემას და წართმეული ქონების უკან დაბრუნების მექანიზმის შემუშავების ინიციატივით გამოდის. მისი თქმით, უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც პარლამენტის, ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული და შეისწავლის ნაციონალური მოძრაობის მაღალი რანგის საჯარო მოხელეების ქონების წარმომავლობის კანონიერებას ბოლო 9 წლის განმავლობაში. სანადირაძის ინფორმაციით, გარკვეული პირები ახალ ხელისუფლებასთან გარიგებასა და მიტაცებული ქონების ამ გზით შენარჩუნებას ცდილობენ.

„ჩვენმა ორგანიზაციამ მრავალ ბიზნესმენს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, მაგრამ საქმემ წინ მაინცდამაინც ვერ წაინია. დრო კი გაიწელა. ბევრი ჩივის მისი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით. მაქვს ინფორმაცია, რომ ქონების გამტაცებლები, ზოგადად, ცდილობენ გარიგებაში შესვლას ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მაგრამ იმედი მაქვს, ბიძინა ივანიშვილი ამას არ დაუშვებს და სამართალი პურს ჭამს“, — განაცხადა მამია სანადირაძემ.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

„ერთი საინტერესო ამბავი მინდა მოგიყვეთ... არის ასეთი პიროვნება, დავით ჩხატარაშვილი. ალბათ, მას სკოლაში, როგორც ხდება ხოლმე, „ჩხატარას“ ეძახდნენ. ჰოდა, ბევრი დღესაც ასე მოიხსენიებს. ბატონი ჩხატარაშვილი, ჩვენი ხელისუფლების დროს, მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. მე მას არც პირადად და არც სახეზე ვიცნობდი, თუმცა ხშირად გამიგია, რომ ზურა ადეიშვილის, „მარჯვენა ხელად“ მოიხსენიებდნენ. დღეს, ზურა ადეიშვილზე აღძრული საქმე, სწორედ „მარჯვენა ხელის“ ჩვენების საფუძველზეა და ეს ჩვენება ერთადერთია, ჩემი ინფორმაციით. ამჯერად კი, „ჩხატარა“ სხვაგან მუშაობს. შეიძლება ითქვას, დააწინაურეს და დღევანდელ რეალობაში, ერთ-ერთ „დიდ კაცთან“ გადაიყვანეს. აი, ბატონი გია ხუხაშვილი ხომ არის რაღაცის უფროსი, თუმცა რაღა რაღაცის, რაااااღაცის! ჰოდა, მაგ რაااااღაცაში, „ჩხატარა“ არის ხუხაშვილის მოადგილე“, — საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, გოგა ხაჩიძემ ეს სტატუსი რამდენიმე დღის წინ, „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განათავსა. სტატუსის შინაარსი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელ გია ხუხაშვილთან ინტერვიუ ამ თემით დავიწყეთ.



„დეპუტატია და თავი კაცი ჰგონია გოგა ხაჩიძეს, მაგრამ აბსურდს წერს, მოადგილე საერთოდ არ მყავს!“

იცნობს თუ არა „ჩხატარას“, რატომ ხვდება ბიზნესმენებს და, სინამდვილეში, რა ფაქტობრივ მასალებს აგროვებს გია ხუხაშვილი?

— ბატონო გია, იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის „მარჯვენა ხელი“ დავით ჩხატარაშვილი, იგივე „ჩხატარა“, თქვენი მოადგილეა?

— ველოსიპედზე სეირნობის დროს მოსდის გოგა ხაჩიძეს ასეთი გიჟური აზრები, თუ საიდან მოაქვს, არ ვიცი! როგორ დავიწყო, თავისმართლება ასეთ აბსურდზე? კი, ბატონო, ჩხატარაშვილს ვიცნობ, მაგრამ ჩემი კი არა, ხაჩიძისა და მისი პოლიტიკური გუნდის მეგობარია, რადგან წლების განმავლობაში, მათთან მუშაობდა. არ მესმის, ხუხაშვილთან მისი რამდენიმე შეხვედრა, ამ ტიპის განხილვის საგანი რატომ გახდა?

„ჩემი შენ გითხარი“-ს პრინციპით, ჩხატარაშვილთან ნაცნობობის ბრალდების ჩემზე გადმომისამართება, უტიფრობა და თავხედობაა! იმ დანაშაულებრივი რეჟიმის მსახური იყო ჩხატარაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში, ხაჩიძემ და მისმა მეგობრებმა შექმნეს. ჩხატარაშვილს რამდენჯერმე შევხვდი, ეს ადამიანი საკმაოდ მაღალი ინტელექტით გამოირჩევა, რომელსაც ბევრი კარგი რამის გაკეთება შეეძლო ამ ქვეყნისთვის, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ხაჩიძე და მისნაირები, მის ინტელექტს ყველაზე ცუდი საქმეებისთვის იყენებდნენ, შესაბამისად, ჩხატარაშვილი ჩემთვის რეჟიმის მსხვერპლია.

მუშაობს თუ არა ჩემთან, ეს აბსურდი და ღრმად არასერიოზული თემაა! ბოლოს, დაახლოებით, თვენახევრის წინ შევხვდი და მას შემდეგ, თვალით არ მინახავს. სხვათა შორის, დავით ჩხატარაშვილს ძალიან ცუდ საქმეებზე ამუშავებდნენ და მხოლოდ ხელფასს უხდიდნენ, მაგრამ ახლა, ჩემკენ იშვერენ ხელს, ხუხაშვილთან მუშაობსო.

— გოგა ხაჩიძე ამბობს, რომ გამოძიება ზურაბ ადეიშვილზე, სწორედ ჩხატარაშვილის ჩვენების საფუძველზე გავიდა, ეს ადამიანი „პიქსელის“ შენობაში დაკითხეს და, საბოლოოდ, თქვენ სამსახური შესთავაზეთ.

— ვინც ამას წერს, ავადმყოფია, წავიდეს და იმკურნალოს ხაჩიძემ, თორემ ეს უკვე აბსურდია. დეპუტატია და თავი კაცი ჰგონია გოგა ხაჩიძეს, მაგრამ აბსურდს წერს, ის მაინც ეთქვა, ჩხატარაშვილი უბრალოდ, მუშაობს ხუხაშვილთანო, მოადგილე საერთოდ არ მყავს! შევიდეს ჩვენს საიტზე და ნახოს ინსტიტუტის სტრუქტურა, ეს ყველაფერი სრული აბსურდია და თავს რატომ მამართლებინებთ? გიმეორებთ, ჩხატარაშვილი არ მუშაობს და ვერც იმუშავებდა ჩემთან! როცა მოიცლით, მობრძანდით ჩემს ოფისში, გნებავთ, ნუ გამაფრთხილებთ და, თავად დარწმუნდებით, რომ ჩხატარაშვილი კი არა, რამაზ საყვარელიძე ან ზაზა შათირიშვილი დაგხვდებათ.

სხვათა შორის, რატომ უკვირს გოგა ხაჩიძეს, ჩხატარაშვილმა ჩვენება რომ მისცა, უკაცრავად, ადეიშვილის წინააღმდეგ ჩვენება არ უნდა მიეცა? ადეიშვილი ამ დანაშაულებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია, ჩხატარაშვილს კი წლების განმავლობაში იყენებდნენ, ამიტომ, თუ რამე დააშავა, პოლიტიკური დამკვეთი გოგა ხაჩიძე იყო. ჩხატარაშვილი იმ სისტემის მსახური გახლდათ, რომლის იდეოლოგიის ქადაგებასაც გოგა ხაჩიძე დღემდე ცდილობს, თუმცა ხაჩიძემ მხოლოდ დოლი და ველოსიპედი იცის, მეტი არაფერი, წიგნი მას არ წაუკითხავს და არაფერი გაუკეთებია ცხოვრებაში, მაგრამ გაუნათლებელ ადამიანს, მინისტრის პორტფელი კი ჰქონდა ჩახუტებული.

— რა იცით, ჩეხეთში მცხოვრები ბიზნესმენის, მინდია ქაშიბაძის შესახებ, რომელმაც 2012 წლის ნოემბერში, პროკურატურაში სარჩელი შეიტანა საკმაოდ მძიმე ბრალდებებით...

— არაფერი მსმენია... არ ვიცი, რა საქმეს გულისხმობთ.

— მინდია ქაშიბაძე აცხადებდა, რომ კომპიუტერული ტექნიკის კომპანია „მაქსტოპი“ მისმა პარტნიორმა, ბიზნესმენმა ავთო წერეთელმა წაართვა და სწორედ მის კაბინეტში აწამეს უცნობმა პირებმა. ამ საქმით დაინტერესებულები იყვნენ ავთო წერეთელი და მისი ნათესავი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, სოდ-ის მაღალჩინოსანი და ერეკლე კოდუას მეგობარი გია დგებუაძე, იგივე „მასტერა“ და ქვემო ქართლის გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ძმა ირაკლი კირკიტაძე, რომელიც ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო. საკმაოდ გახმაურებული და სკანდალური საქმეა, მაგრამ რატომღაც რეზონანსი არ მიეცა, კონკრეტული დეტალებით არ დაინტერესებულხართ?

— ეს საქმე ახლა ბუნდოვნად გამახსენდა, ოღონდ სადღაც წამიკითხავს და სიუჟეტები მინახავს... თუ იმას გულისხმობთ, რომ ბიზნესმენებთან შეხება მაქვს და ვესაუბრები, პირდაპირ გეტყვით, ასეთ საკითხებთან შეხება არ მაქვს. ჩემი საუბრის ერთადერთი მიზანი და ამოცანაა, გარკვეული შთაბეჭდილება შემექნას სისტემური დანაშაულის ანატომიაზე, რადგან რეჟიმის გასამართლება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. საგამოძიებო ორგანო ხომ არ ვარ?

ჩემი შეხვედრები ბიზნესმენებთან იმით ამოიწურება, რომ ზოგად თემებზე მესაუბრებიან, როგორი აღებ-მიცემობა იყო, სად და ვისთან მიჰქონდათ ქრთამი. საკუთარი სურვილით, კონკრეტულ დეტალებზეც კი საუბრობენ, მაგრამ რეაგირება ჩემი საქმე არ არის. ფაქტებსა და დოკუმენტურ მასალებს კი იმის გამო ვაგროვებ, რომ საბოლოო ჯამში, საკმარის ფაქტობრივ მასალას მოვუყაროთ თავი, რათა რეჟიმი გასამართლდეს, ხაზგასმით ვამბობ, რეჟიმი და არა კონკრეტული ადამიანები!

კონკრეტული ადამიანების გასამართლება ან მათი უფლებების აღდგენა, ჩემს კომპეტენციას სცილდება და ეს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციაა.

ჩვენი ინსტიტუტის ამოცანა, კვლევითი მიმართულება და ზოგადი ტენდენციების ფაქტობრივი მასალებით დადასტურებაა, ამის იქით, ჩემი ფუნქცია იწურება. ეს კონკრეტული ქეისი, რომელზეც საუბრობთ, ჩემამდე არ მოსულა, კონკრეტული დეტალებიც არავის მოუყოლია, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, რეაგირება ჩემი საქმე მაინც არ არის, სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა.

— რატომ ვერ ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი?

— სიმართლე გითხრათ, ვანო ჩხარტიშვილს ორი თვის წინ ვესაუბრე და, როგორც ვიცი, ჩამოსვლას აპირებდა. რატომ ვერ ჩამოვიდა, არ ვიცი, მაგრამ მიზეზი შეიძლება წმინდა ტექნიკური პრობლემები იყოს, ალბათ სტატუსს ელოდებოდა. ორი თვის წინ, თვითონ დამიკავშირდა, მაგრამ მას შემდეგ პირდაპირი კონტაქტი აღარ მქონია. მართალია, დეტალური ინფორმაცია არ მაქვს, არა მგონია, სერიოზული პრობლემა არსებობდეს. კარგია, ვანო ჩხარტიშვილი რომ გამახსენეთ, დავიწყებული მყავდა. საინტერესოა, რატომ არ ჩამოდის... იმედია, მალე ჩამოვა, ყოველ შემთხვევაში, თუ სერიოზული დანაშაული არ აქვს ჩადენილი, მის მიმართ პოლიტიკური დევნა არ იქნება და ეს დღევანდელი ხელისუფლების მთავარი პრინციპია. როდესაც ადამიანს კონკრეტული დანაშაული აქვს ჩადენილი და ის უმტკიცდება, ბუნებრივია, პასუხისმგებლობისგან ვერ გათავისუფლდება. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური დევნის არავის უნდა ეშინოდეს, მათ შორის, არც ჩხარტიშვილს.

— ბატონო გია, ბევრს საუბრობენ საგადასახადო ან ფინანსურ ამნისტიაზე, მაგრამ ჩამოყალიბებული პოზიცია არ არსებობს, როგორ უნდა განხორციელდეს ამნისტია?

— უპირობო ამნისტიის წინააღმდეგი ვარ, რასაც ჩვენი სასიქადულო პრეზიდენტი, რომელმაც მახინჯი და მაფიოზური სისტემა შექმნა, გვთავაზობს.

ვფიქრობ, ამნისტია გენერალური კი არა, ინდივიდუალური უნდა იყოს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი — ზარალი მთლიანად ანაზღაურდება, დაზარალებულს კი მეორე მხარესთან პრეტენზია აღარ ექნება და მეორე — თუ ამ პროცესში სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული არ არის ჩადენილი. ისეთი შემთხვევები და ფაქტებიც არსებობს, როდესაც ზარალის ანაზღაურება საკმარისი არ არის, რათა სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს. ხშირად, ქონების წართმევისა თუ გადაფორმების პროცესში, ისეთი მეთოდებს იყენებდნენ, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. ბუნებრივია, ამის პატიება არ შეიძლება, რადგან მძიმე დანაშაულია, თუმცა ისეთი ტიპის ეკონომიკური დანაშაულიც არსებობს, რომლის პატიება შესაძლებელია.

მიუხედავად ამისა, ამნისტია უპირობო არ უნდა იყოს, რადგან ორი, დაპირისპირებული მხარის შესარიგებლად, ჯერ ბოდიშის მოხდაა აუცილებელი. ეკლესიაში რომ მიდიხართ და აღსარებას ამბობთ, თუ ბოდიში არ მოიხადეთ, აღსარება არ თქვით, შენდობას ხომ ვერ მიიღებთ? თუმცა როგორ გადავიტანთ ამ ყველაფერს სამართლის ენაზე, რა ტიპის ამნისტია გვინდა ან სად გავავლებთ წითელ ხაზს, ვფიქრობ, ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

— ისე არ მოხდეს, ამნისტიის შედეგად, პრივილეგირებულ ბიზნესმენთა ახალი კასტა მივიღოთ, ეს ეტაპი ხომ უკვე გავიარეთ?

— სხვათა შორის, ნაციონალური მოძრაობა ბევრს საუბრობს, 2003 წელს, ჩვენც ამნისტიით დავიწყეთო, მაგრამ რეალურად, ეს ცინიზმია. მართალია, ამნისტია ფორმალურად გამოაცხადეს, მაგრამ კარგად გვახსოვს, რას აკეთებდნენ: იყო გაუთავებელი საპროცესო შეთანხმებები, წილების გადანაწილება, რეკეტი, ბიზნესზე ზეწოლა, კაბინეტებში დაბარება. „ნაციონალები“ მართლა იბარებდნენ ბიზნესმენებს კაბინეტებში, ოღონდ ისე კი არა, როგორც ახლა მაბრალებენ, რეალურად და მუქარის შედეგად, ამ ბიზნესმენების ქონებას სხვა ადამიანებზე აფორმებდნენ. საბედნიეროდ, დღეს ასე არ ხდება, მაშინ ხელოვნური ამნისტია იყო, მაგრამ ჩვენ რეალური ამნისტია გვინდა. ამისთვის, უპირობოდ უნდა გავასამართლოთ რეჟიმი ისევე, როგორც ნიურნბერგის პროცესზე, სადაც მხოლოდ რეჟიმი გაასამართლეს, მაგრამ ჯარისკაცები არავის დაუსჯია. მთლიანობაში, რეჟიმის იდეოლოგები საკმაოდ მკაცრად უნდა გასამართლდნენ, მაგრამ ამას დიდი მასალის შეგროვება სჭირდება, რითაც დღეს ვარ დაკავებული. ამიტომ, ბიზნესმენებს თუ ვხვდები, ჩემი ამოცანა მხოლოდ ის არის, რაც შეიძლება მეტი ფაქტობრივი მასალა შევაგროვო რეჟიმის კრიმინალური ვერტიკალის შესახებ.

ვერსიანიუსი

ონიშჩენკო მზად არის, ქართულ პროდუქციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები იანვრის ბოლოს დაიწყოს

რუსეთის მთავარი სანიტარი, გენადი ონიშჩენკო მზად არის, ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები იანვრის ბოლოდან გამართოს. ონიშჩენკოს თქმით, პრივატული არხებით მოიპოვა იმ ქართული დელეგაციის სია, რომლებიც მოსკოვში მოლაპარაკებებზე უნდა გაემგზავრონ.

მისი განცხადებით, საქართველოს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლების სურვილი, მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებებში, საქართველოს მთავრობის მხრიდან, საკითხის მიმართ სერიოზულად მიდგომაზე მიუთითებს. ონიშჩენკოს ინფორმაციით, მზად არის, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები გამართოს 28 იანვარს ან 4 თებერვალს.

„ჩვენი შეხვედრა აუცილებლად უნდა შედგეს. უნდა გავუგოთ ერთმანეთს და ამ მიმართულებით უნდა ვიმოქმედოთ“, — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარმა.

commersant.ge

აზერბაიჯანულმა „პაშა ბანკმა“ საქართველოს ეროვნული ბანკისგან ლიცენზია მიიღო

როგორც ეროვნული ბანკიდან გვაცნობეს, აღნიშნულ ბანკზე საქმიანობის ლიცენზია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2013 წლის 17 იანვარს გასცა.

„პაშა ბანკი“ აზერბაიჯანში ერთ-ერთ უდიდეს კერძო ბანკს წარმოადგენს და იგი, ძირითადად, კორპორატიულ კლიენტებზეა ორიენტირებული. მისი აქტივები 2012 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, 810 მილიონ დოლარს, ხოლო ბანკის განაღდებული კაპიტალი იმავე პერიოდისთვის, 200 მლნ დოლარს შეადგენდა და აღნიშნული მაჩვენებლით აზერბაიჯანის საბანკო სისტემაში მეორე ადგილს იკავებდა.

ცნობისთვის: ამჟამად, საქართველოს საბანკო ბაზარი 20 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, მათ შორის უკვე სამი აზერბაიჯანული ბანკი ფუნქციონირებს — „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი — საქართველო“, „კავკასიის განვითარების ბანკის“ თბილისის ფილიალი და „პაშა ბანკი საქართველო“.

commersant.ge

ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი

„საბედნიეროდ, წარუმატებლობებიც მქონდა. ეს გაძლევს საშუალებას, საკუთარ თავს ჩაუღრმავდე, გადააფასო შესაძლებლობები. ეს იმასაც გახსენებს, რომ პუბლიკა ბრმად არავის ენდობა, საყვარელ მსახიობსაც კი“, — ამ სიტყვების ავტორი, საფრანგეთის სიმბოლო ჟერარ დეპარდიეა. შარშან, მსოფლიო ვარსკვლავი, „საკუთარ თავში ჩაღრმავების“ შემდეგ დარწმუნდა, რომ საფრანგეთის კი არა, მსოფლიოს მოქალაქეა, მოგვიანებით, რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ასე გაექცა სამშობლოში დაწესებულ მაღალ გადასახადებს, რითაც, ფრანგების ერთ ნაწილს იმედი გაუცრუა.

„ახალი რუსი“ ჟერარ დედევიჩ დეპარდიე



რა კანონდარღვევით გადასცა პუტინმა რუსული პასპორტი მსოფლიო ვარსკვლავს

რატომ ზრდიდნენ ბოშად, მიიღო თუ არა მონაწილეობა ჯგუფურ გაუპატიურებაში და რა ნახა კომაში ფრანგმა მსახიობმა

თაღლითი დეპარდიეს ბოშური ბავშვობა და მოულოდნელი გარდასახვა

„მამამ წერა-კითხვა არ იცოდა. ის თავს ბოშად მიიჩნევდა და ჩვენც ბოშებად გვზრდიდა. ოჯახში ყველას თავისი ცხოვრება ჰქონდა. არ მახსოვს, ერთად მივსხდომოდით სუფრას. მამა სვამდა და დიდ დროს ბარებში ატარებდა. დედას უჭირდა ჩვენი გამოკვება, ამიტომ მივატოვე სკოლა და ქურდობა დავიწყე, ფულს დედას ვაძლევდი. ისეთი ფეთქებადი ხასიათი მქონდა, ჯარიდანაც დამითხოვეს“, — ეს ჟერარ დეპარდიეს ადრეული ცხოვრებაა, რომლის გახსენებაც სიამოვნებას ნამდვილად არ ანიჭებს.

ჟერარ ჰავიერ მარსელ დეპარდიე 1948 წლის 27 დეკემბერს, ქალაქ შატორში დაიბადა. ოჯახში, ალენისა და ელენას შემდეგ, მესამე შვილი იყო. მამას, რენე დეპარდიეს, ყველა „დედეს“ ეძახდა. მეტსახელი ჰქონდა ჟერარის დედას, ალია მარიეს, რომელსაც „ლილეტათი“ იცნობდნენ. დედე კარგი მეთუნუქე იყო, მაგრამ მუდმივი სამსახური არასოდეს ჰქონია, ძირითადად, სოციალურ დახმარებებზე ცხოვრობდნენ. ჟერარი პატარა იყო, როცა დედემ სმა დაიწყო. ზოგჯერ რამდენიმე დღე ისე იკარგებოდა, მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. მიუხედავად ამისა, ლილეტამ, ჟერარის დაბადებიდან 7 წლის შემდეგ, მიყოლებით, კიდევ 3 შვილი გააჩინა — კატრინი, ფრანკი და ერიკი.

ბავშვებს მშობლების სითბო მუდმივად აკლდათ. ჟერარი, ძალიან განიცდიდა ამას, რის გამოც, მეტყველებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემა შეექმნა და ბავშვობაში ჟესტების საშუალებით ამყარებდა ადამიანებთან ურთიერთობას. ამან პრობლემა შექმნა დაწყებით სკოლაშიც. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილ დეპარდიეს ერთადერთი რამ ახალისებდა — ქალაქში შექმნილი ამერიკული ავიაბაზა. ჟერარმა სამხედროები გაიცნო, რომლებიც ამერიკული კულტურის, ცხოვრებისა თუ „ოცნების“ შესახებ უამბობდნენ და მალე იქაურობა მეორე სახლად ექცა. ძირითად დროს იქ ატარებდა, სკოლას აცდენდა და ამის გამო, კლასში ჩატოვეს. 12 წლიდან, საერთოდ მიატოვა სკოლა, 1962 წელს არასრული მოსწრების ატესტატი აიღო და მუშაობა გამომცემლობაში, ასოთამწყობად დაიწყო.

ერთი პერიოდი კრივითაც დაინტერესდა. ერთ-ერთი შეჯიბრის დროს ცხვირი გაუტეხეს და „ახალი“ დეპარდიე მალე გახდა პოპულარული, უფროსი ასაკის მეგობრებიც გაიჩინა და მათთან ერთად ქურდობაც დაიწყო. ასე შოულობდა ფულს, „მშობლიური“ ამერიკული ბაზაც გაძარცვა, რის გამოც, ისე სცემეს, საავადმყოფოში მოხვდა... არც ნარკოტიკზე ამბობდა უარს და ცხადია, პოლი-

ციასთან პრობლემები შეექმნა — კონტროლზე აიყვანეს, ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვე განყოფილებაში გამოცხადებას აიძულებდნენ.

ამის მერე დაიწყო მოგზაურობა — პერიოდულად, ბარგს ჩაალაგებდა და ოჯახის წევრების გაუფრთხილებლად მიდიოდა შატორიდან შორს. მერე, ბრუნდებოდა... 1965 წელს, ერთმა ნაცნობმა პარიზში გაყოლა სთხოვა. ჯერ უარით გაისტუმრა, მაგრამ 3 დღეში ბარგი შეკრა და დედაქალაქში მარტო ჩავიდა.

მეგობარი, რომელთანაც ჩასახლდა, სამსახიობო სკოლაში სწავლობდა. რამდენიმე დღეში პარიზის თითქმის ყველა ბარი, რესტორანი, მისთვის საინტერესო ადგილი მოინახულა, პარიზული ბოჰემის ყველა ნიუანსს გაუსინჯა გემო და.. ისევ მოწყენილობამ შეიპყრო. იფიქრა, შინ დავბრუნდებიო და წასვლამდე, ინტერესის გამო, მეგობარს სკოლაში შეუარა. ერთ ექსცენტრულ პედაგოგს მისი გარეგნობა მოეწონა. მოულოდნელად სთხოვა სტუმარს, სცენაზე ასულიყო და პანტომიმის ერთ-ერთი ნომერი გაემეორებინა. განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მეგობრის კლასელებმა ისე იხალისეს, ფეხზე წამოუდგნენ და ტაში დასცხეს. ოვაციების იმ ერთმა წუთმა ჟერარ დეპარდიე სრულიად შეცვალა — მას უცებ მოუნდა, გაეტეხა ფიცი, აღარასოდეს აღარცერთ სასწავლებელში აღარ ვისწავლიო. საოცარი სურვილი დაეუფლა, ტაში არ შეწყვეტილიყო და მაყურებლისთვის ყოველთვის მოეტანა ასეთი სიხარული. იმ ერთ წუთში გადაწყვიტა, სამსახიობო ხელოვნებას დაუფლებოდა და თეატრალური ხელოვნების ცნობილი პედაგოგის, ჟან-ლორენ კოშეს კურსებზე ჩაეწერა. კოშემ მასში დიდი მსახიობი აღმოაჩინა და სწავლის საფასურისგან გაათავისუფლა. მანვე გაუშვა ლოგოპედთან და მკურნალობის კურსიც დაუფინანსა.

კლასში საუკეთესო იყო და ბევრს მეცადინეობდა. თითქოს სულიერადაც გარდაისახა. მარიხუანაზე, ბოჰემაზე, ქალებზე შეყვარებული ქუჩის თაღლითი კარგ მსახიობად იქცა, მაგრამ მაშინ, მაინც ვერ წარმოიდგენდა, რომ მალე, მის სახელს მთელი მსოფლიო გაიგებდა.

„ჟან გაბენის ნამდვილი მემკვიდრე“

კოშეს სკოლის დამთავრების შემდეგ, დიულენის დრამატურგიის ხელოვნების კურსებზე ჩაეწერა. 60-იან წლებში მას უკვე იღებენ ეპიზოდურ როლებში, მაგრამ რეალური კინოკარიერა 1971 წლიდან იწყება, როცა გამოჩნდა ფილმში „სულ ცოტა მზე ციოვ წყალში“. ეს საოცარი სტარტი იყო, რის შემდეგაც, ფილმებში ერთმანეთის მიყოლებით იღებენ. მან 200-მდე როლი შეასრულა და დღეს ვერც ერთ ცნობილ ფრანგ კინემატოგრაფს ვერ ნახავთ, მასთან რომ არ ეთანამშრომლა. სხვათა შორის, ვერც ფრანგ ლამაზმანს გაიხსენებთ, მისი პარტნიორი არ ყოფილიყო: კატრინ დენევი, მარუშკა დეტმერსი, მონიკა ბელუჩი, იზაბელ აჯანი... სია საკმაოდ ვრცელია. გადასაღებ მოედანზე დეპარდიესთან ყოფნის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, საფრანგეთში ხუმრობდნენ კიდეც — „ყველა ქალს სურს დეპარდიე!“. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ფერერისა და ბერტოლუჩის ფილმებში, პორნოსცენებიც გადაიღო. **„ძლიერი მხრები, მხარს ქვევით ტატუ — ვარსკვლავი, დიდი ცხვირი, თითქოს დაბნეული, მაგრამ ამავდროულად, მიზანმიმართული მზერა... დიახ, ის არ არის ლამაზი, მაგრამ მასში იგრძნობა ნამდვილი მამაკაცური ძალა და ვნება“,** — ასე ახასიათებდა მას კატრინ დენევი, სწორედ იმ პერიოდში, როცა ფრანგ მაყურებელს მობეზრდა ალენ დელონის სილამაზე.

დეპარდიეს ვარსკვლავი აკაშკაშდა პროვოკაციული შედევრის, ბერტრან ბლიეს ფილმის, „ვალსის მოცეკვავეების“ გამოსვლის შემდეგ. ფილმს სკანდალი მოყვა, რადგან მასში, ძირითადად, ძალადობრივი, ამორალური, სექსუალური სცენებია ასახული. მიუხედავად ამისა, 1974 წელს ფილმი საფრანგეთში 5 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა. დეპარდიეს ყველაზე ცნობილ ფილმთა შორისაა „მწვანე ბარათი“ და „1492: სამოთხის ოკუპაცია“, კომედია — „მამა — ჩემი საყვარელი“, მელოდრამა — „მთვარე საკანალიზაციო თხრილში“, კოსტუმირებული ისტორიული ფილმები: „დანტონი“, „ვატელი“, „ვიდოკი“, კლასიკური დრამატული რეპერტუარი: „სირანო დე ბერჟერაკი“, აბსურდული ექსპერიმენტები: „ცივი საუზმე“. მაყურებელი მას იცნობს ასევე ფილმებიდან: „საღამოს კაბა“, „ძალიან ლამაზია შენთვის“, „მადლობა, ცხოვრება“, „მსახიობები“ „უბედონი“, „მამიკოები“, „გაქცეულები“, „პოლიცია“...

ამბობენ, რომ მასთან მუშაობა ძალიან რთულია — აქვს ფეთქებადი ხასიათი, ხშირად გამოცხადებულა გადასაღებ მოედანზე მთვრალი და სცენაზეც არაერთხელ ჩასძინებია. **„ლოთობს, ხანდახან ტექსტიც ავიწყდება, მასთან მუშაობა ჯოჯოხეთია, მაგრამ... ის ქმნის შედევრებს!“** — ასე ახასიათებენ დეპარდიეს რეჟისორები.

„ახალი რუსი“ ჟერარ დედევიჩი

„ღვინო სიყვარულის ისტორიას ჰგავს. ქალი — ღვინოს, მაგრამ ქალი უფრო ძლიერი და ღრმაა, უფრო ამოუცნობიც. მამაკაცსა და ქალს განსხვავებული გემოვნება აქვთ. ღვინის დაყენებისას ქალის გემოვნებას ვითვალისწინებ“, — ეს უკვე ბიზნესმენი დეპარდიეა, რომელსაც პარიზიდან 20 კილომეტრის მოშორებით, ლუარას დაბლობზე, XII საუკუნის ციხესიმაგრე და 27 ჰექტარზე გაშენებული ვენახი აქვს. წელიწადში 60 ათას ბოთლ სუფთა ბურგუნდიულ ღვინოს აწარმოებს და სხვადასხვა ქვეყანაში გააქვს. აქვს ასევე მაღაზიები და რესტორნები — ერთ-ერთი, პარიზის ოპერის გვერდით. რამდენიმე წლის წინ დეპარდიეს საპატიო ლეგიონერის ორდენი მისცეს, რადგან ერთ-ერთ ლონდონურ მაღაზიას მისი საფირმო ღვინის შეძენის ნება დართო და სამაგიეროდ, 50 ათასი დოლარი, პარიზის ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრში გადაარიცხვინა.

როგორც ბევრ სხვა ფრანგ ბიზნესმენს, მასაც თავზარი დასცა ახალმა კანონმა, რომლის თანახმად, მათ, ვისაც წელიწადში მილიონი ან მეტი ევრო აქვს შემოსავალი, საშემოსავლოს სახით, 75% უნდა გადაიხადონ. ამ კანონზე საუბარი დაიწყო თუ არა, 2012 წელს, დეპარდიემ ბელგიაში შეიძინა სახლი და განაცხადა, რომ საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარს იტყოდა. პრემიერ ჟან-მარკ ერომ მის საქციელს, გადასახადებისგან გაქცევის უბადრუკი მცდელობა უწოდა. რამდენიმე დღეში დეპარდიემ მას წერილი გაუგზავნა: **„ვინ ხართ ასეთი, რომ განმიკითხოთ, გეკითხებით, პრემიერ-მინისტრო, ვინ ხართ თქვენ? მე არავინ მომიკლავს. მგონია, უღირსი საქციელიც არ ჩამიდენია. 45 წლის განმავლობაში 145 მილიონი ევრო გადავიხადე გადასახადების სახით. ნურც შემაქებთ და ნურც შემიცოდებთ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, მე არ ვიმსახურებ სიტყვას „უბადრუკი“.** იმავე წერილში, მსახიობმა უარი თქვა საფრანგეთის მოქალაქეობაზე, რადგან „პატრიოტიზმი მოძველდა“ და ის „მსოფლიოს მოქალაქეა“.

საფრანგეთში ამ განცხადებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. საზოგადოების ნაწილმა, დეპარდიეს გადაწყვეტილება ღალატად შეაფასა. უმრავლესობამ კი, პირიქით, ასეთი განცხადებები გააკეთა — მიგვიფურთხებია იმ საფრანგეთისთვის, რომელიც თავისი წიაღიდან დევნის დეპარდიეს.

სამაგიეროდ, „თავის წიაღში“ საპატიო ადგილს დამკვიდრება მსახიობს ვლადიმერ პუტინმა შესთავაზა. თანხმობის მერე, 2013 წელს 1 იანვარს, კრემლის საიტზე დაიდო რუსეთის პრეზიდენტის ბრძანება, რომლის საფუძველზეც, მსოფლიო ვარსკვლავი რუსეთის მოქალაქე გახდა. სარანსკში ჩასულ დეპარდიეს კულტურის მინისტრობა შესთავაზეს, საცხოვრებელს კი ჩეჩნეთში რამზან კადიროვი ჰპირდებოდა. მოგვიანებით, დეპარდიეს პასპორტი თავად პუტინმა გადასცა. რუსული მედია ალაპარაკდა იმაზე, რომ მოქალაქეობის ასეთი ჰიპერდაჩქარებული წესით მინიჭება და თანაც, პასპორტის პრეზიდენტის ხელით გადაცემა, არც მეტი, არც ნაკლები, კანონდარღვევაა, როგორც ის, რომ პასპორტში ერთ-ერთ ღონისძიებაზე გადაღებული ფოტოა ჩაკრული. პუტინმა ბრალდებებს წაუყრუა და სრულიად რუსეთი „აიძულა“, დეპარდიეს „გარუსება“ ეზეიმათ.

„მე ვეთაყვანები თქვენს ქვეყანას, ხალხს, ისტორიას, მწერლებს... მომწონს აქ ფილმების კეთება. ვაღმერთებ თქვენ კულტურას, აზროვნებას. ძალიან მიყვარს თქვენი პრეზიდენტი პუტინი. რუსეთი დიდი დემოკრატიის ქვეყანაა, სადაც პრემიერმა გაბედა, მოქალაქეობა მიენიჭებინა „უბადრუკი“ დეპარდიესთვის. ვამაყობ, რომ გავხდი რუსეთის მოქალაქე. ეს არ იყო სპონტანური ნაბიჯი“, — ასე ახსნა დეპარდიემ იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, სადაც საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ 13%-ია.

„მე არ ვიყავი კარგი მამა და... ვნანობ“

„აქამდე წარმოდგენაც არ მქონდა, რას ნიშნავს იყო შეყვარებული. ვერ დავიჯერებდი, რომ შეიძლება, ასე გააღმერთო ქალი. იგი ერთი ნახვით შემიყვარდა. ჰაერივით მჭირდებოდა და მის გარეშე ვერ ვძლებდი. მის გვერდით კომპლექსები სადღაც ქრებოდა და მე მოკრძალებული სოფლელი ბიჭი კი არა, ნამდვილი მამაკაცი ვიყავი“, — დეპარდიეს ამ სიტყვების ადრესატი, მასზე 6 წლით უფროსი, სოციოლოგი, მსახიობი, ელიზაბეტ გუინოტია. 1970 წელს დაქორწინდნენ. ორი შვილი შეეძინათ. უფროსი, გიიომი, ცნობილი მსახიობი გახდა. ქალიშვილი ჟული კი, ფილოსოფიას დაეუფლა.

„საქართველოში მუსიკას არ ყიდულობენ, ყველაფერი მოპარულია და იგივე ითქმის კინოზე!“

თამარ ლომსაძე

იყო დრო, როდესაც ქართული კინო ხელოვნების მწვერვალებს ეპოტინებოდა და ღირსეული ადგილიც ეკავა საუკეთესოთა შორის, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, გაჩნდა რეჟისორებისა და მსახიობების დეფიციტი და, რაც მთავარია, ფინანსების სიმწირე, რამაც ხელოვნების ეს დარგი, ფაქტობრივად, გაანადგურა. მართალია, ქართული კინოპროდუქცია, ავად თუ კარგად, მაინც იდება კინობაზარზე, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათია, იგივე ითქმის ქართულ შოუბიზნესზეც და ქართულ რეალობაში გაჩენილი ლაივშოუები, მიცვალებულზე გვირგვინის როლს თუ ასრულებს მხოლოდ. ამა თუ იმ პროექტში გამარჯვებული ადამიანები ისევე ქრებიან, როგორც წინა ტურებში გავარდნილი სხვა კონკურსანტები. სწორედ ამ თემებზე ესაუბრება „ვერსიას“ რეჟისორი და პროდიუსერი დათო იმედაშვილი, რომელსაც ქართული კინოსა და შოუბიზნესის გადარჩენის გზად, უცხოურ ბაზრებზე გასვლა ესახება.

— ეს საკითხი უფრო გეოპოლიტიკური მნიშვნელობისაა და ყველა მცირე ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს. კი, ბატონო, გამოჩნდა ნიჭიერი მომღერალი, რომელმაც გაიმარჯვა კონკურსში... თუ იგი ქართულ ბაზარზე დარჩება, მისი შესაძლებლობები უდავოდ მწირი იქნება იმიტომ, რომ რეალურად, ქართული ბაზარი...

— არ არსებობს...

— ქართული ბაზარი არ არის მსყიდველუნარიანი და, რაც მთავარია, აქ საავტორო უფლებები აბსოლუტურად იგნორირებულია. თანამედროვე მუსიკის მსოფლიო ჰიტები საქართველოში მოიპოვება უფასოდ, ყველაფერი მოპარულია და, შესაბამისად, ქართველი მომღერალი, უსახსრობის გამო, ვერ გაუწევს კონკურენციას მეგავარსკვლავებს! ესაა ძირითადი პრობლემა და არა ის, რომ იმ კონკურსის გამარჯვებულს არავინ არაფერს უკეთებს. ძალიანაც უნდა ბევრ პროდიუსერს, რაღაც გააკეთოს, მაგრამ სად გაყიდოს?

— საქართველოში!

— საქართველოში მყიდველი არ არის, ყველა იპარავს. თქვენ ბოლოს როდის იყიდეთ მუსიკა?

— არ მიყიდია, და თქვენ?

— გილოცავთ, არც მე მიყიდია და საქმეც სწორედ ეგაა. აქ მუსიკას არ ყიდულობენ, ყველაფერი მოპარულია და იგივე ითქმის კინოზე.

საკუთარ მაგალითზე გეტყვით: ქართველი კინომწარმოებელი დაუცველია. მისი პროდუქტი ეჯახება სამასმილიონიან კინოს, რომელიც მოპარულია და უფასო, ამ დროს ქართულ ფილმებში მომხმარებელმა თანხა უნდა გადაიხადოს. ეს ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული. თუ ქართველ შემსრულებელს არ გააჩნია თანხა, ბუნებრივია, ის ვერ დადებს ახალ პროდუქტს, საბოლოოდ, იღლებიან და მერე მიდიან რესტორნებში იმიტომ, რომ არაფერი ეყიდებათ.

— გამოდის, ქართული ხელოვნება და ბიზნესი ერთმანეთის დანამატი ვერასოდეს გახდება, მით უმეტეს, ხარისხიანი პროდუქტი ნაკლებად გამოდის და ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.

— ეს იმ ადამიანების საზრუნავია, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან და მიდიან, განაგებენ კულტურას... მათ უნდა გაუჩნდეთ სურვილი, კულტურა გახდეს თვითმყოფადი.

მართალია, არის სფეროები, რომელიც ასეთი ვერასოდეს გახდება და სახელმწიფოს დახმარების გარეშე, უბრალოდ, ვერ იარსებებს, მაგრამ მუსიკას შეუძლია თავი დამოუკიდებლად ირჩინოს. ამისთვის კი აუცილებელია, შეიქმნას გარემო და ეს, პირველ რიგში, საავტორო უფლებების დაცვით უნდა დაიწყოს. როგორც კი საქართველოში აღარ იქნება მოპარული მუსიკა, მოპარული კინო, ამ ხალხს შემოსავალი გაუჩნდება.

— საქმე ისაა, ქართული საზოგადოება თუ მოისურვებს იყიდოს ის, რაც აქამდე უფასოდ ჰქონდა?

— აუცილებლად იყიდის, როგორც კი აღარ იქნება ასეთი თავისუფლება. მით უმეტეს, მუსიკა უყვარს ქართველ ხალხს, ესემესს თუ გზავნის, დადის რესტორანში და ამაში იხდის ფულს, დისკშიც გადაიხდის.

— ფიქრობთ, საავტორო უფლებების დაცვა გადაარჩენს ქართულ კინოს, რომელსაც სული ძლივს უდგას?

— არა, ქართულ კინოს პულსიც კი არ ესინჯება! საერთოდ, ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, კინო არ არსებობს. მიზეზი მარტივია, პატარა ქვეყანა კინოს ვერ გადაიღებს იმიტომ, რომ ფული და გასაღების ბაზარი არ აქვს...

— კი, მაგრამ, ქართული კინოშედევრები საქართველოში არ შეიქმნა?

— მოგეხსენებათ, ქართული კინოს დიდება საბჭოთა კავშირის ისტორიას უკავშირდება და მასთან სინქრონში მოდის. არსებობდა დიდი ქვეყანა, რომელსაც გასაღების ბაზარი ჰქონდა. იმ სისტემაში ქართული კინო აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და შეძლო, ამ ბაზრისთვის მისაღები პროდუქტის შექმნა. მაშინ წელიწადში ას ფილმს იღებდნენ, რაც იმ პერიოდის საქართველოსთვის კი არა, ჰოლივუდისთვისაც რთულად მისაღწევია. ფაქტია, ქართული კინო ამას ახერხებდა, კი, ასევე შედევრი ვერ იქნებოდა, მაგრამ ეს უდავოდ დიდი წარმატება იყო. მერე საბჭოთა კავშირი დაიშალა და სისტემაც დაინგრა. ახლა სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ

— ქართულად დედამიწაზე ლაპარაკობს ძალიან ცოტა ადამიანი და როდესაც ქართულ ენაზე იქმნება ფილმი, ის ქართულენოვან საზოგადოებაზეა გათვლილი. შესაბამისად, გასაღების ბაზარიც მწირია. ამას გარდა, საქართველოში მომუშავე კინოთეატრი სულ ორი-სამია... ამის გათვალისწინებით, წარმოუდგენელია, როგორ უნდა გადაიღო ფილმი ისე, რომ მან ხარჯები დაფაროს, თუმცა ქართველები ვახერხებთ და სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვიღებთ ფილმებს, მაქსიმალურად იაფად, რაც, რა თქმა უნდა, ხარისხზეც აისახება, მერე კი ამას კინოთეატრებში ვუშვებთ და მცირე მოგებასაც ვნახულობთ.

ასეთი რამ პატარა ქვეყნებში, რომელიც არც ინგლისურ ან ფრანგულენოვან ქვეყნებზე მიბმული არ არის, ფაქტობრივად, არ ხდება. ქართული კინო, დღემდე, თუნდაც ექსპერიმენტების დონეზე რომ არსებობს, ეს თითოეული ქართველი რეჟისორის, პროდიუსერის დიდი თავდადებისა და ქართველების ამბიციურობის შედეგია — ჩვენი კინო უნდა გვქონდეს, რაც ფანტასტიკის ტოლფასია, რადგან არც ერთ პატარა ქვეყანაში კინო არ არსებობს.

— მერე რითაა ცუდი ეს ამბიცია?

— არაფრით, ძალიან მაგარია, კარგია... ერთადერთი, როგორმე უნდა მივაბათ ჩვენი კინო დიდ ბაზრებს, მნიშვნელობა არ აქვს, ის ინგლისურენოვანი იქნება, გერმანული, რუსული თუ ფრანგულენოვანი.

— ამის გაკეთება ადვილი არ არის.

— მთავარია, ისეთი პროდუქტი შეიქმნას, რომელიც მხოლოდ ქართულს კი არა, მსოფლიო ბაზარსაც დაინტერესებს, ამიტომ შესაძლოა, მოგვიწიოს ფილმების გადაღება ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ენებზე...

— ეს უკვე ქართული კინო აღარ იქნება.

— რატომ? შეიძლება ფილმი ორენოვანი იყოს... მხოლოდ ქართულ ენაზე გადაღებულ ფილმებს მსოფლიო ბაზარზე ვერ გავყიდით.

— რასაც ახლა ამბობთ, ამის განხორციელებას დიდი თანხა სჭირდება. ქართველები კი სათანადო ხარისხს ვერ ვდებთ.

— თემა ასეთია — კინოს როცა იღებ, უნდა განსაზღვრო, რომელი ბაზრისთვის აკეთებ ამას. თუ იცი, შენი ფილმი ქვეყნის ფარგლებს არ გასცდება, ცდილობ, დანახარჯი მიზერული იყოს, მაგრამ როდესაც პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანას აპირებ, მეტი რესურსი უნდა მოიზიდო, თანხაც დიდი დახარჯო, თუმცა წარმატების შემთხვევაში, შედეგიც უკეთესი გექნება. წარმოიდგინეთ, ამერიკის კინოთეატრებში რომ გავიდეს ქართული კინო ან თუნდაც რუსეთის... ეს ჩვენთვის კოსმოსში გაფრენის ტოლფასი იქნება. თანაც ამერიკული ბაზარი ღიაა ყველა კარგი პროექტისთვის.

— იქ პატრონი არ გჭირდება?

— რას გულისხმობთ?

— მე რომ გადავიღო ფილმი და მისი გატანა მოვისურვო ამერიკულ ბაზარზე, ამას თავისუფლად გავაკეთებ?

— თუ ძალიან მაგარ ფილმს გადაიღებთ, ის გახდება თქვენი პატრონი, რომელზეც გარწმუნებთ, ტაციობა იქნება...

— სამსახიობო რესურსი თუა საკმარისი მსგავსი მასშტაბური პროექტების განსახორციელებლად?

— ახალგაზრდებიც მოდიან, შუახნის თაობაცაა და ძველიც... ასე რომ, მსახიობების დეფიციტს არ განვიცდით. ქართველი მსახიობების ერთადერთი პრობლემა ცნობადობაა. ასეთ საერთაშორისო პროექტს სჭირდება „სთარ“, ქართველი მსახიობი კი იქ ცნობადი არ არის, რის გამოც, მოგიწევს იქაური მსახიობების დაკავება, ქართველი მსახიობებით კი ერთგვარ ბეგრაუნდს შექმნი.

— რომელი ქართველი მსახიობი დაგთანხმდებათ, ითამაშოს უცხოელის ჩრდილქვეშ?

— მე ვარ რეჟისორი, პროდიუსერი და მე ვწყვეტ, რომელ მსახიობს რა როლი მივცე. თუ უარს მეტყვის, კარგად იყოს, მაგრამ გარწმუნებთ, ასეთ რამეს პროფესიონალი არ იტყვის... მსახიობი იმისაა, როლში შევიდეს და დიდი სიბრიყვე იქნება ამაზე უარის თქმა. ქართველი მსახიობები კი ასეთი სულელები ნამდვილად არ არიან.

„ახალი რუსი“ ჟერარ დედევიჩ დეპარდიე

26 წლის განმავლობაში, სამაგალითო წყვილად ითვლებოდნენ, სანამ დეპარდიე ცოლს არ გამოუტყდა, რომ შავკანიანმა ტოპ-მოდელმა კარილ სილამ ქალიშვილი როქსანა გაუჩინა. ლიზამ მაშინვე მიიღო განქორწინების გადაწყვეტილება და გადაცხოვრდა სახლში, რომლის წინაც, მოგვიანებით, პარიზის მერიამ, მოქანდაკე ბერნარ დე სუზის ნამუშევარი — შიშველი დეპარდიეს ბრინჯაოს ქანდაკება დადგა.

2006 წელს, დეპარდიეს კიდევ ერთი უკანონო შვილი აჩუქა ცნობილი ბუდისტისა და პროფესორის შვილმა ელენ ბიზომ. ვაჟს ჟანი დაარქვეს. ჟერარი ხშირად აცხადებს, რომ სულ 20 შვილი ჰყავს, 10 ქალისგან, თუმცა ვინაობას არ ამხელს.

2008 წელი მსახიობისთვის ტრაგიკული იყო. მისი უფროსი ვაჟი, გიიომი გარდაიცვალა. **„მე არ ვიყავი კარგი მამა. სკანდალები გვქონდა. ერთხელ ისე ვიჩხუბეთ, რამდენიმე წელი არც კი ვესალმებოდით ერთმანეთს. ასე შეიძლება მოხდეს, როცა სულ გადასაღებ მოედანზე ხარ და შვილს ხედავ თვეში ერთხელ“,** — უთხრა ერთხელ დეპარდიემ ჟურნალისტს, რომელიც ამტკიცებდა, მის მზერაში აშკარა სინანული იგრძნობოდაო. შეიძლება, გიიომის გარდაცვალებამ კიდევ ერთი გარდატეხა მოახდინა ვარსკვლავში და ამიტომაც დღეს შვილებთან კარგი ურთიერთობა აქვს ისევე, როგორც ყოფილ პარტნიორებთან. მათ შორის, კაროლ ბუკესთან, რომელიც მის სასახლეში 9 წელი ცხოვრობდა. დღეს კი, გვერდს კლიმენტინ იგუ უმშვენებს.

სკანდალებს ზოგჯერ თავად ქმნის. ერთხელ ჟურნალისტს უთხრა, ახალგაზრდობაში ჯგუფურ გაუპატიურებაში ვმონაწილეობდიო. მოგვიანებით კი, განაცხადა: **„აღარასოდეს ვიქნები გულახდილი. საჯარო აღსარება დიდი სისულელეა. ცდილობ, ადამიანებს აუხსნა ის, რაც მთელი ცხოვრება გაწუხებს, ისინი კი იცინიან და ამბობენ, რომ ამას პოპულარობისთვის აკეთებ. თითქოს მაკლდეს პოპულარობა. ყველას ჰყავს კარადაში თითო ჩონჩხი, მაგრამ ყველას არ ჰყოფნის გამბედაობა, ეს აღიაროს!“**

სირთულეების პარალელურად, ცხოვრება საოცრად უყვარს. ამბობს, რომ ასაკისა და ჭარბი წონის მიუხედავად, თავს შესანიშნავად გრძნობს. იტალიელებმა, არც ისე დიდი ხნის წინ, ვენეციის კინოფესტივალზე, სექსსიმბოლოს ტიტული მიანიჭეს, — **„რაღა დროს ჩემი სექსსიმბოლოობაა, მალე კლიმაქსი შემაწუხებს“,** — წამოიყვირა დეპარდიემ.

ძალიან უყვარს მოტოციკლით „ქროლა“. მისი რეკორდი, 330 კმ/საათშია. სწორედ სიჩქარის დამსახურებაა, 20-ჯერ ავარიაში რომ მოყვა და უკვირს, დღემდე როგორაა ცოცხალი. 4 ოპერაცია გაიკეთა გულზე. ექიმებმა გასუქება, მოწევა და დალევა აუკრძალეს, მაგრამ მითითებებს არ ასრულებს და ამბობს, რომ სიკვდილის შიში ცხოვრებაზე უარს ვერაფერზე ათქმევინებს: **„დიახ, გულიც მაწუხებს, ღვიძლიც. ხელებიც მიკანკალებს ხოლმე, მაგრამ... რა შეედრება იმ სიამოვნებას, კარგი კერძის დაგემოვნებისა და ღვინის დაჭაშნიკებისას რომ განვიცდი. ამაზე უარს ვერასოდეს ვიტყვი ისევე, როგორც კინოსა და ჩემ საქმეზე.სიკვდილის არ მეშინია, რამდენჯერმე გადავურჩი მას. კომაშიც ვიყავი და საოცრებაც ვნახე: კაშკაშა შუქი, სასიამოვნო სიმსუბუქეს ვგრძნობდი... იქ, არაჩვეულებრივი იყო“.**

Global Ear
თბილისი

მეთიუ კოლინი

WIRE
www.thewire.co.uk

ამ მგოსნებისა და მომღერლების ქალაქში, სადაც ფოლკლორული მუსიკა მთავარ კულტურულ ძალად რჩება, დეკემბრის ქარის ზუზუნში მდინარის სანაპიროდან ელექტრონული მუსიკის ხმა ისმის, რაც იმის ნიშანია, რომ ამ კავკასიური მთების სიღრმეში რაღაც უჩვეულო ხდება. უკვე არარსებული კომუნისტური ეპოქის რესტორანთან, რომელიც მდინარე მტკვარზეა გადაკიდული **Unsound Tbilisi**-მ (პოლონური ფესტივალის პირველი ქართული ვერსია) ელექტრონული მუსიკის მოყვარულთა პატარა, მაგრამ მზარდი საზოგადოება ერთად შეკრიბა მსგავსი მასშტაბის პირველ საერთაშორისო ღონისძიებაზე საქართველოში.

რუსეთის სამხრეთით და თურქეთის აღმოსავლეთით მდებარე ეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზეა, დიდი ხანია, განთქმულია თავისი პოლიფონიური ვოკალური მუსიკითა და ფოლკლორული ტრადიციებით, რაც დღემდე ძალიან აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში, რომელიც მრავალწლიანი კომუნისტური მმართველობის გამო, იზოლირებული იყო, აქტიურად შეიჭრა თანამედროვეობა. მაგრამ ადგილობრივი ელექტრონული მუსიკის წარმოდგენამ ფესტივალზე **Unsound Tbilisi,** რომელზეც წელს ევროპული ტექნოს დედაქალაქებიდან სპეციალურად გადმოფრინდნენ თომას ფილმანი **Heatsick da Pole**, იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ საქართველომ შექმნა საკუთარი, ახალი, თანამედროვე ხმოვანება, ისეთი არტისტების სახით, როგორებიც არიან ნატალი **TBA** ბერიძე და ნიკა მაჩაიძე (**aka Nikakoi**).

ელექტრონული მუსიკა საქართველოში იმ დროს შეიქმნა, როდესაც ამისთვის საკმარისი ელექტროენერგიაც კი არ არსებობდა. მის სათავეებთან ის არტისტები იდგნენ, რომლებიც ნებაყოფლობით ემიგრაციაში იმყოფებოდნენ დასავლეთ ევროპაში, სადაც ისინი პოლიტიკურ არეულობასა და ეკონომიკურ კოლაფსს გაექცნენ, რომელმაც მათი ქვეყანა მიწიდან აღგავა 1991 წელს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. ეს იყო დრო, როდესაც შეიარაღებული ადამიანები დედაქალაქის ქუჩებში ერთმანეთს ებრძოდნენ, კრიმინალი გაბატონებული იყო და მოსახლეობას ელექტროენერგიას რეგულარულად არ აწვდიდნენ, რის გამოც, ქალაქი სრულ სიბნელეში იყო.

„აქ იმ დროს საერთოდ არაფერი იყო. იმისთვის, რომ გადარჩენილიყავი, სინამდვილეს უნდა გაქცეოდი“, — იხსენებს ბერიძე, რომელიც თბილისში ახლახან დაბრუნდა მას შემდეგ, რაც გასული ათწლეულის დიდი ნაწილი კიოლნსა და ბერლინში გაატარა. **„საბჭოთა პერიოდის იზოლაციას უდიდესი გავლენა ჰქონდა, რადგან არ არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, რა ხდებოდა მუსიკაში, კინოში, ხელოვნებაში,** — ამბობს მაჩაიძე, — **ამიტომ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, ჩვენ ერთად მივიღეთ მთელი ეს ახალი მუსიკა, რომლისაც არ გვესმოდა, რადგან განვითარების 70 წელი გამოვტოვეთ“.**

სერგი გვარჯალაძე, რომელმაც გადაიღო „ელექტრონავტები“, არაჩვეულებრივი დოკუმენტური ფილმი ქართული ელექტრონული სცენის ისტორიაზე და დააფუძნა მუსიკალური დაჯილდოების ყოველწლიური ცერემონიალი „ელექტრონავტები“, ფიქრობს, რომ პირველი პროდიუსერები, ქვეცნობიერად, იმ დროის სასტიკ რეალობაზე რეაგირებდნენ.

„ეს იყო პანკური მიდგომა, დინების წინააღმდეგ სვლა, — ამტკიცებს იგი, — **კარგი, ხალხი ქუჩებში ერთმანეთს კლავს, არ გვაქვს შუქი, არა უშავს, მე კიდევ ავდგები და გავაკეთებ ელექტრონულ მუსიკას“.**

ქვეყნის მდიდარი ტრადიცია სიმღერაში საამაყოა და გამოირჩევა მთელი რიგი სპეციფიკური „დიალექტებით“, ასე, მაგალითად, ალპურ იოდელინგს მიმსგავსებული გურული კრიმანჭული ან უაღრესად კომპლექსური პოლიფონიური ნაწარმოებები (ამას ყველაფერს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ კომპილაციაში **The Soul Jazz/World Audio Foundation compilation Polyphonic Voices Of Georgia**).

„ქართული ტრადიციული მუსიკა შესანიშნავია, ამიტომ არ ვეხები მას“, — ამბობს ბერიძე, რომლის მუსიკაც, დიდწილად, ინგლისურ ენაზეა დაწერილი და გამოცემულია ისეთ გერმანულ ლეიბლებზე, როგორიცაა ტომას ბრინკმანის **Max.Ernst da gudran gutis Monika.**

მაჩაიძესთან ერთად, ბერიძე, რომელიც საქართველოში დაბრუნებამდე რამდენიმე წელი გერმანიაში ცხოვრობდა, „გოსლაბის“ (**Goslab**) წევრი იყო, არტისტების, მუსიკოსებისა და რეჟისორების მულტიმედიური კოლექტივისა, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს და რომელმაც პირველმა მიიპყრო ქვეყნის ელექტრონული მუსიკისადმი საერთაშორისო ყურადღება გასულ ათწლეულში. მართალია, მან შექმნა თავისი გამორჩეული ელექტროაკუსტიკური სტილი ფაქიზი, ელეგიური, თუმცაღა ზოგჯერ, მაინც დაძაბული მელოდიებით, რომელშიც მისივე დახვეწილი, მსუბუქი ვოკალი გაისმის, **„ვფიქრობ, მინდოდა, გავმიჯვნოდი კულტურულ საზღვრებს, ინგლისური კი ამისთვის საუკეთესო გზაა“,** — უთხრა მან სემ დევისს, 2011 წელს (**The Wire 325**).

ზოგიერთი ქართული ელექტრონული ნაწარმოები, ამბობს გვარჯალაძე, თავდაპირველად გია ყანჩელის, ქვეყნის ყველაზე ცნობილი ცოცხალი კომპოზიტორის ემოციური ნამუშევრების გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ ახლა ნაკლებად აქვს ნაციონალური მახასიათებელი.

„ეს საერთაშორისო მუსიკაა, რომელიც საქართველოში კეთდება“, — განმარტავს ის. ასახელებს **Stia**-ს (ნათია სართანია-ქიტუაშვილის ფსევდონიმი), რომლის მუსიკაც მოიცავს ფორტეპიანოს დახვეწილ მოტივებს, ციფრულ ფაქტურასა და აკუსტიკურ ბგერებს ისეთი ინტროსპექტული მუსიკალური ესკიზების შესაქმნელად, როგორიცაა მელანქოლიური **Somewhere Between Me And You** და **Yet To Be Named**, თუმცა თავის „ტრეკებში“ მას რამდენჯერმე გამოყენებული აქვს ქართული იავნანას მოტივები და სხვა ფოლკლორული ელემენტები.

2012 წლის „ელექტრონავტებზე“ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ყველა ორიგინალური არ იყო, თუმცა ნამდვილად გამოჩნდა მრავალფეროვნება, დაწყებული აბსტრაქტული **drum 'n' bass**-ით და **Trance**-ით, დამთავრებული აგრესიული ჰიპ-ჰოპ-ით და წელს გამარჯვებული გაჩას ნარკოტიკულ სიზმარში მემოგზაურე **Remember**-ით, რომელიც **R&S Records**-ის ამბიენტურმა ქვედანაყოფმა **Apollo**-მ გამოსცა. თბილისი ახლა მუდმივად მარაგდება ელექტროენერგიით და სამოქალაქო ომი ცუდ მოგონებებადღა დარჩა, მაგრამ საქართველო მაინც ძალიან ღარიბი ქვეყანაა, რომელიც პოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონში მდებარეობს. მიუხედავად ამისა, თომა ჩალაძე, **Unsound Tbilisi**-ის ადგილობრივი თანაკოორდინატორი, რომელიც 2012 წლის „ელექტრონავტების“ დაჯილდოებაზე წლის ქართველ **DJ**-იდ დასახელდა, ოპტიმისტურადაა განწყობილი. **„აქ ცოტა ადგილია, სადაც წახვალ და გაერთობი, მაგრამ მათი რიცხვი იზრდება“,** — ამბობს ის და სჯერა, რომ ფესტივალის მოწყობა, რომელსაც ასეთი თამამი პროგრამა აქვს, **„გავლენას მოახდენს კულტურაზე, არტისტებსა და საცეკვაო სივრცეზე“**. იმას, რომ ამ მუსიკის მიმართ თბილისში მართლაც, დიდი ენთუზიაზმია, ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელმა სტუმრებმა ფესტივალი არ დატოვეს მანამ, სანამ ჩალაძემ ბოლოს ხმა არ გამორთო დილის 11 საათზე, როდესაც მზე დიდი ხნის ამოსული იყო და კავკასიის საოცარ თოვლიან მწვერვალებს ზემოდან დაჰყურებდა.

oreignpress.ge



კავკასია და ცენტრალური აზია: ანგარიში დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებებსა და წარუმატებლობებს გვაცნობს

EURASIANET.org

როდესაც საქმე დემოკრატიზაციაზე მიდგება, კავკასია და ცენტრალური აზია სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. ქვეყნებმა და ტერიტორიებმა კავკასიაში გასული წლის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების კონტექსტში, უკეთესი შეფასება მიიღეს, ხოლო ცენტრალურმა აზიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული ადგილია. ასეთია „ფრიდომ ჰაუსის“ ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები.

რაპორტში „თავისუფლება მსოფლიოში 2013 წელს“, რომელიც 16 იანვარს გამოქვეყნდა, „ფრიდომ ჰაუსი“ აღნიშნავს, რომ პოლიტიკური უფლებების დაცვის საკითხი გაუმჯობესდა სომხეთში, საქართველოში, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში. საქართველომ თავისი სტატუსი „ელექტორალურ დემოკრატიამდე“ აიყვანა, რაც შედეგად მოჰყვა „ოპოზიციისთვის ძალაუფლების პირველ მშვიდობიან გადაცემას იმ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ შეფასებული იყო, როგორც სამართლიანი, მშვიდობიანი და რომელიც უფრო პლურალისტურად შუქდებოდა მედიაში“, მაგრამ ანგარიშის ავტორები საქართველოს აკრიტიკებენ ყოფილი მთავრობის ოფიციალურ პირთა დაპატიმრებათა ტალღის გამო. **„საქართველომაც კი, სადაც ოპოზიციას პირველად გადაეცა ძალაუფლება დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით, წელი არცთუ დამაკმაყოფილებლად დასრულა, რადგან ახალმა მთავრობამ მალევე დააპატიმრა წინა მთავრობის 30-მდე წევრი, რამაც გააჩინა შეშფოთება პოლიტიკურად მოტივირებული დევნის შესახებ“.**

ანგარიშში ქვეყნებს მთელ მსოფლიოში პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების ნიშნით ანიჭებენ ქულებს 1-დან 7-მდე (1 ყველაზე მაღალი შეფასებაა). წლევანდელ ანგარიშში საქართველო, პოლიტიკური თავისუფლებების ნიშნით, წინ წავიდა და შარშანდელი 4 ქულის მაგივრად, 3 ქულით შეფასდა, თუმცა სამოქალაქო თავისუფლებების ნიშნით, მას ისევ 3 ქულა მიენიჭა. სომხეთმა, პოლიტიკური თავისუფლებების თვალსაზრისით, 6-ის მაგივრად, 5 ქულა მიიღო იმიტომ, რომ **„მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არ ჰქონდა ადგილი ძალადობას, ხოლო ნამდვილად ოპოზიციური პარტია პარლამენტში შევიდა“.**

ორმა სეპარატისტულმა ტერიტორიამაც გააუმჯობესა პოლიტიკურ თავისუფლებათა მაჩვენებელი: მთიანმა ყარაბაღმა 6-ის შემდეგ, 5 ქულა მიიღო „ივლისის საპრეზიდენტო არჩევნებში ნამდვილი ოპოზიციის მონაწილეობის გამო“, ხოლო აფხაზეთმა 5-ის მაგივრად, 4 ქულა დაიმსახურა **„ნამდვილად კონკურენტული საპარლამენტო არჩევნების გამო, რომელშიც აქცენტი გადატანილი იქნა დამოუკიდებელ კანდიდატებზე, ნაცვლად იმისა, რომ მონაწილეობა მიეღოთ მხოლოდ სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების კანდიდატებს“.**

მიუხედავად ამ პროგრესისა, დემოკრატიზაციის პროცესს რეგიონში მაინც ბევრი ხარვეზი აქვს, — ამბობს კორი ველტი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი და კავკასიის ექსპერტი. აზერბაიჯანი დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, პრობლემატურ ქვეყნად რჩება. „ფრიდომ ჰაუსმა“ ბაქო „არათავისუფალი“ ქვეყნების რიგს მიაკუთვნა და მას პოლიტიკური თავისუფლებებისთვის 6 ქულა მიანიჭა, ხოლო სამოქალაქო თავისუფლებებისთვის – 5. გარდა ამისა, სეპარატისტულმა ტერიტორიამ, სამხრეთ ოსეთმა პოლიტიკურ თავისუფლებებში 7 ქულა მიიღო, ხოლო სამოქალაქო თავისუფლებებში – 6.

ველტმა აღნიშნა, რომ „სიტუაცია ადგილზე“, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში, ნამდვილად გამოსწორდა იქაური მოსახლეობისთვის, მაგრამ **„მთიანი ყარაბაღისა და განსაკუთრებით, აფხაზეთის რეიტინგი მუდმივად ბადებს კითხვას – როგორ უნდა გაიზომოს პოლიტიკური უფლებები იმ წარმონაქმნებში, რომლებმაც საკუთარი მოსახლეობის დიდ პროცენტს ეთნიკური წმენდა მოუწყვეს“.**

ზაურ შირიევი, ანალიტიკოსი ბაქოდან, ჟურნალ „კავკაზუს ინტერნეიშენელის“ რედაქტორი ამბობს, რომ ცვლილებები კავკასიაში ნელა, მაგრამ მაინც ხდება, ნაწილობრივ, ევროკავშირის ზეწოლის გამოც. **„შარშანდელ წელს რომ გადავხედოთ, ცვლილებები შედგა ძალადობის გარეშე“,** — **ამბობს შირიევი. „მთავარი მაგალითი საქართველოა, სადაც მმართველმა პარტიამ წააგო არჩევნები და პოლიტიკური ძალაუფლება მშვიდობიანად შეიცვალა. ეს უპრეცედენტო ამბავია კავკასიისთვის. რაც შეეხება სომხეთს, მაისის საპარლამენტო არჩევნები ასეთი საეტაპო მოვლენა არ იყო, მაგრამ ამ არჩევნებმა შედეგად ის გამოიღო, რომ განმტკიცდა ევროკავშირის მონაწილეობა ევროპაში სომხეთის „პირობებით დადგენილი ინტეგრაციისთვის“. რადგან ევროკავშირმა გაზარდა თავისი როლი სომხეთში, ერევანი ცოტ-ცოტა მიიწევს წინ დემოკრატიული განვითარებისკენ“.**

ცენტრალურ აზიაში სვლა ლიბერალიზაციისკენ არ შეინიშნება – ყაზახეთმა და ტაჯიკეთმა უფრო დაბალი ქულები მიიღეს, ხოლო უზბეკეთი და თურქმენეთი იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის რჩება, რომელთაც ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამოქალაქო თავისუფლებათა კონტექსტში. ტაჯიკეთმა სამოქალაქო თავისუფლებებში, 5-ის ნაცვლად 6 ქულა მიიღო იმ სამხედრო ოპერაციის გამო, რომელიც მთიან ბადახშანში ჩაატარა და სადაც დაიღუპა ბევრი ადამიანი, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დაისაჯა ბევრი და მედია დაარბიეს. მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთი წელს ისევე შეფასდა, როგორც შარშან, მან 6 ქულა მიიღო პოლიტიკური თავისუფლებებისთვის, ხოლო სამოქალაქო თავისუფლებებისთვის – 5 (შესაბამისად, ისევ მიეკუთვნა „არათავისუფალი“ ქვეყნების რიცხვს), „ფრიდომ ჰაუსის“ თქმით, გამოიკვეთა რეგრესის ტენდენცია, რადგან ქვეყნის მედიაგარემო „გაუარესდა 2011 წლის სოციალური არეულობების დროს, ხელისუფლების მიერ ოპოზიციური გაზეთების გაუქმების, ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების დაბლოკვის გამო“. ყირგიზეთს ასევე ცუდი რეიტინგი აქვს, პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებებში 5-5 ქულა მიიღო. რაც შეეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, მაგალითად, თურქეთის რეიტინგი სამოქალაქო უფლებების თვალსაზრისით, 3-დან 4-მდე შემცირდა **„იმის გამო, რომ ათასობით ადამიანი, მათ შორის – ქურთები, ჟურნალისტები, პროფკავშირის ლიდერები, სტუდენტები და სამხედრო ოფიცრები სასამართლომდე დააპატიმრეს. ბევრის აზრით, ეს კამპანია პოლიტიკურად იყო მოტივირებული“.**

foreignpress.ge

ვინ არის ქსენოფობიის მსხვერპლი — ქართველი თუ „ზენიტი“

გიორგი მაისურაძე

ლევან ყენიას კარიერა ტრავმებმა საკმაოდ შეაფერხა: ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა გერმანის ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, გელზენკირხენის „შალკე 1904“-ის ფორმა 18 წლის ასაკში მოირგო და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ კოჭის ტრავმამ ისე გაანვალა, რომ მისი მოშუშებისთვის სამი ოპერაცია და ორი სარეაბილიტაციო წელი დასჭირდა. საბოლოოდ, გელზენკირხენის „შალკე 1904“-ის დატოვება მოუხდა.

ლევან ყენია არაფერს ნანობს — ლვოვის „კარპატის“ ღიდერზე დიდი მოთხოვნაა

ლვოველთა ქართველი მარგალიტი

დავიწყებულ-ჩამოწერილი ლევან ყენია ლვოვის „კარპატში“ 2012 წლის აგვისტოს ბოლოს გადავიდა და კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „კარპატი“ უკრაინაში ძლიერ გუნდად არ ითვლება, თუმცა ერთხანობას, ლიდერებს დაუახლოვდა და რამდენიმე ეფექტური მატჩი ჩაატარა. ყველა აღნიშნავდა, რომ ოდესღაც, უფერული გუნდი წლეულს გამორჩეულ ფეხბურთს აჩვენებდა. ეს ყველაფერი კი ქართველი გამთამაშებლის დამსახურებად მიიჩნიეს. თავიდან ლევანს შეცვლაზე თუ ათამაშებდნენ, მაგრამ მალე, გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ გადაიქცა. „კარპატის“ შემადგენლობაში სადებიუტო გოლი „მეტალისტის“ კარში გაიტანა და გასული სეზონის ბრინჯაოს პრიზიორი უკრაინის თასის გათამაშებიდან გამოთიშა. ლვოველთა ბულგარელი მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი კოსტოვი მაშინ მიხვდა, რომ ქართველი ძირითადში ბევრად მეტ სარგებლობას მოუტანდა.

ლევან ყენიამ 10 შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა და სხვადასხვა საინფორმაციო გამოცემამ რამდენჯერმე დაასახელა ტურის სიმბოლურ ნაკრებში, ხოლო პირველი წრის დასრულების შემდეგ, უკრაინულმა „სპორტ-ექსპრესმა“ 22 წლის ფეხბურთელი უკრაინის პრემიერლიგის აღმოჩენათა ათეულში შეიყვანა.

„ძნელი სათქმელია, ლევან ყენია „კარპატში“ გაიბრწყინებს თუ არა, მაგრამ ყველაფერი საუცხოოდ აეწყო: ლვოვური გუნდის ბულგარელი მთავარი მწვრთნელი ნიკოლა კოსტოვი ლევანს ხელს არ უშლის, იყოს ის, რაც არის, ხოლო მისი ამპლუის მოთამაშეების დეფიციტიდან გამომდინარე, უკრაინულ პრემიერლიგაში ქართველი ნახევარმცველი ისე გამოიყურება, როგორც ბრილიანტი — თივის ზვინში“, — წერს გამოცემა ყენიას შესახებ, რომელმაც ამ მცირე პერიოდში შეძლო ის, რაც ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი ჩანდა: „კარპატის“ ქართველ ფეხბურთელს შეთავაზება ამ ქვეყნის წამყვანი კლუბებისგან აქვს, თუმცა ლვოვის გუნდის ხელმძღვანელობა ქართველის გაშვებას არ გეგმავს.

არ გვინდა ქართველი!

მოკლედ, ლევან ყენია ისევ აქტუალური ფეხბურთელი გახდა. ახლა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ მესვეურები უნდა განიცდიდნენ, ნიჭიერ მოთამაშეს თავის გამოჩენის შანსი რომ არ მისცეს. თუ არ განიცდიან, ეს მათი პრობლემაა.

ქვემოთ მოთხრობილი ისტორია არახალია: გერმანული „შალკეს“ დატოვების შემდეგ, ქართველი ფლეიმეიკერი რუსულ კლუბში ისინჯებოდა, თუმცა დაიწუნეს და ლვოვის „კარპატშიც“ მას შემდეგ აღმოჩნდა. ლევანს სანკტ-პეტერბურგში სხვა პრობლემებიც შეექმნა. ლვოვის „კარპატის“ ახალგამოჩეკილმა ლიდერმა სანკტ-პეტერბურგის დატოვებისთანავე აღნიშნა, რომ „ზენიტში“ ვარჯიშის დროს გუნდის ლიდერებმა აითვალწუნეს.

„ორი წელიწადი სათამაშო პრაქტიკის გარეშე დავრჩი, შეკრებაც არ გამივლია. ფორმის აღსადგენად კიდევ ბევრი მუშაობა მომიწევს. ახლა, ალბათ, 50 პროცენტით ვარ მზად... 2 წელიწადი ფეხბურთსმიღმა ვიყავი და სულით რომ არ დავეცი, ამაში ფლეისთეიშენის თამაში მეხმარებოდა, მაგრამ არანაკლებ მტკივნეული გამოდგა ისტორია, რომლის გამოც „ზენიტში“ გადასვლა ჩამეშალა. რაც პრესაში იწერებოდა, სიმართლეა. როგორც მივხვდი, ლუჩანო სპალეტისა და ხუთ წამყვან მოთამაშეს გუნდში ჩემი ყოფნა არ სურდა. ამის გამო, „ზენიტში“ თავს ცუდად ვგრძნობდი. არაკეთილმოსურნეების გვარებს არ დავასახელებ, რადგან ეს უკვე წარსულია. წარმოდგენა არ მაქვს, რა იყო მათი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი“, – განაცხადა ლევან ყენიამ.

... და არა მარტო ყენია

ამ კომენტარის შემდეგ, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ პოპულარულ რუსულ კლუბში არსებულ „დედოვშჩინაზე“ გავრცელებული ხმები სიმართლეს შეეფერებოდა. „ზენიტის“ პრესსამსახური კომენტარმა გააღიზიანა, მაგრამ ყენია რომ არაფერს იგონებდა, შემდგომში რუსულ მედიაში გამოქვეყნებული წერილებით დადასტურდა. კლუბის ხუთი ადგილობრივი ლიდერი არა მხოლოდ ყენიას, არამედ სხვა არარუსის გამოჩენასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ეს თემა „ზენიტში“ „პორტუდან“ გადასული ბრაზილიელი თავდამსხმელის, ჰალკის ტრანსფერის შემდეგ, კიდევ ერთხელ ამოტივტივდა. მას რუსეთის ნაკრების წევრები, ვლადიმერ ბისტროვი, ალექსანდრე კერჟაკოვი და მათი სამი ძმობილი ყველანაირად ცდილობდა, ახალწვეულისთვის ხელი შეეშალა. მაშინ გაიხსენეს ყენიას პრობლემები, რაც რუსეთში ქსენოფობიური გამოხტომის მაგალითად დასახელდა.

მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ დალექილა, 2011 წლის 22 ივნისს, სამარაში მომხდარი ფაქტი, როცა „კრილია სოვეტოვისა“ და მახაჩყალას „ანჟის“ შეხვედრისას, კავკასიური კლუბის ბრაზილიელ ვარსკვლავს, რობერტო კარლოსს ტრიბუნიდან ბანანი ესროლეს. ისტორია ამით არ დასრულებულა. ახლახან, „ზენიტის“ ფანების გამოქვეყნებული წერილი ქსენოფობიური დამოკიდებულების ნათელ ნიმუშად გამოდგება. უცხოელებისადმი ფანატების აგრესიული დამოკიდებულების არაერთი მაგალითის გახსენება შეიძლება და არა მხოლოდ ინგლისში, მაგრამ „მაინ კამფის“ დონეზე ჩამოყალიბებულ სამოქმედო პროგრამას პირველად წავაწყდით. როგორც ჩანს, ეს უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ ბოლო სეზონში, პეტერბურგელებმა შემადგენლობაში აიყვანეს ბრუნო ალვეში (პორტუგალიელი მეტისი), იგორ ჩემინავა (ქართველი), აქსელ ვიტსელი (ბელგიელი მეტისი), დანი (პორტუგალიელი), ბრაზილიელი ჰალკი (მეტისი).

ფანების ფაშისტური მანიფესტი

„ზენიტის“ გულშემატკივრებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი „სელექცია-12“, სადაც საყვარელი კლუბის საკადრო საკითხებზე საკუთარი პრინციპები ჩამოაყალიბეს.

„იუნიორთა ასაკიდან დაწყებული, ჩვენი კლუბის ნებისმიერი მოთამაშისგან მოვითხოვთ მაქსიმალურ თავდადებას, მებრძოლ თვისებებს, პროფესიონალიზმისკენ მუდმივ ლტოლვას.
მოედნის მიღმა მოვითხოვთ: ქვეყნისა და ქალაქის ისტორიისადმი ინტერესს და ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენი ფასეულობებისა და ქალაქის მაცხოვრებელთა ადამიანებისადმი პატივისცემას.
ჩვენ მოწინააღმდეგენი ვართ: რომ „ზენიტის“ მოთამაშემ საჯაროდ ალკოჰოლისა და სიგარეტისადმი მიდრეკილება გამოავლინოს;
რომ გუნდის შემადგენლობაში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი თამაშობდეს.
ნებისმიერი მოთამაშის, რომელიც შანტაჟის ან სხვა არაეთიკური გზით ცდილობს უკეთესი კონტრაქტის გაფორმებას. ასეთი ტრანსფერზე უნდა დავაყენოთ და მის პრინციპულ კონკურენტში გაშვებასაც დავთანხმდეთ.
მოთამაშეების აღმოსაჩენად სელექციონერებმა ოთხი პრიორიტეტული მიმართულებით უნდა იმუშაონ: სანკტ-პეტერბურგსა და ლენინგრადის ოლქში, რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ, ცენტრალურ და სხვა რეგიონებში, უკრაინაში, ბელორუსსა და სლავურ ქვეყნებში, ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნებში, აგრეთვე, ევროპის დანარჩენ ნაწილებში. არც ერთი სხვა კონტინენტი პრიორიტეტული არ უნდა იყოს. ეს არ არის რასიზმი ან ნაციონალიზმი. უბრალოდ, კლუბს ეკარგება რეგიონული იდენტურობა, ხოლო ჩვენ ვეღარ ვახერხებთ კლუბთან ასოცირებას. ჩვენთვის „ზენიტის“ შემადგენლობაში შავკანიანი მოთამაშეების არყოფნა მნიშვნელოვანი ტრადიციაა და მეტი არაფერი ისევე, როგორც ჩრდილოეთის ერთეული კლუბები, ამის წყალობით ინარჩუნებს „ზენიტი“ საკუთარ სახეს. ჩვენ მენტალურად არასოდეს ვყოფილვართ დაკავშირებული აფრიკასა და სამხრეთ ამერიკასთან, ავსტრალიასა თუ ოკეანეთთან. გამოვდივართ იქიდან, რომ „ზენიტი“ ჩვენი ქალაქის სიმბოლოა, რაც მის არსზე უნდა აისახოს და გუნდი სანკტ-პეტერბურგის სახეს წარმოადგენდეს. პრინციპული საკითხია, „ზენიტმა“ საკუთარი იდენტურობა შეინარჩუნოს და საშუალოსტატისტიკურ ევროპულ კლუბს არ დაემსგავსოს, რომელთაც ლეგიონერთა სტანდარტული კრებული ჰყავთ.

შიშველი დის სურათი

დამეთანხმებით, „ზენტის“ ფანების მანიფესტი მძიმე განცდებს ბადებს და უცებ გვახსენებს ფაშისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიებს, რომლებიც საზოგადოებასა და პლანეტას კლასებად და ფენებად ყოფდნენ. ამ ყოვლისმცოდნე დერეფაველებს რომ ჰკითხო, შემდეგს მივიღებთ: წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი, ლიონელ მესიმ, კრიშტიანუ რონალდომ და სხვა სამხრეთამერიკელმა, აფრიკელმა თუ აზიელმა ვარსკვლავებმა, „ზენიტში“ თამაში მოინდომეს, მაგრამ ნურას უკაცრავად! მათზე „ზენიტმა“ უარი მხოლოდ იმიტომ უნდა თქვას, რომ რუსი ფანების მოხაზულ მენტალურ ჩარჩოში ვერ ექცევიან. ამას კაცობრიობამ სახელი უკვე შეარქვა – რასიზმი და ქსენოფობია. ხოლო ქართველი გლეხი ჩვენთვის ნაცნობ ფრაზას იტყვის – ვაი, თქვენს პატრონს! თუმცა „გაზპრომისა“ და ვლადიმერ პუტინის სახით, ფაშისტური გამოხტომით ცნობილ „ზენიტს“ ისეთი პატრონები ჰყავს, უეფა და ფიფაც ვერაფერს ჰკადრებს. რა თქმა უნდა, არსებობს მენტალური განსხვავება, რაც მოთამაშეთა გუნდში ჩარიცხვისას გასათვალისწინებელია, ადგილობრივებთან ურთიერთგაგებასა და თანაცხოვრებას ხელს უწყობს. არც ისე შორეულ წარსულში, თბილისის „დინამოში“ ჩამოიყვანეს ბრაზილიელი მოთამაშე, რომლის ისტორიასაც დღემდე იხსენებენ. მან თანაგუნდელს ლამის შიშველი გოგოს სურათი აჩვენა და ჰკითხა, ამ გოგონასთან სექსი თუ სურდა, მერე დაამატა, რომ გოგონა მისი და იყო.

ქართველისა და ასეთი „ძმების“ ურთიერთობა პრობლემური იქნება. ასეც მოხდა, ბრაზილიელი გუნდს ვერ შეეგუა და საქართველო მალე დატოვა. იყო სხვა სახის პრობლემებიც: მაგალითად, გაბონის ნაკრების კაპიტანი პოლ კესანი „ზესტაფონში“ ჩინებულად თამაშობდა, მაგრამ რასისტული გამოხტომის მომიზეზებით წავიდა. კონფლიქტი, მართლაც, ჰქონდა და კესანი სცემეს, მაგრამ სულ სხვა ნიადაგზე: ქართულად დედის უაზროდ და წამდაუწუმ გინებას ვერ გადააჩვიეს და ერთხელაც, გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ვეღარ მოითმინა და წაიგდო, თუმცა საქართველოში რასიზმისა და ქსენოფობიის პრობლემა ისე მწვავედ ნამდვილად არ დგას, როგორც რუსეთსა და ბევრ ევროპულ ქვეყანაში. საქართველოში ხეირიან მოთამაშეზე უარი ამის გამო არავის უთქვამს. ნეტავ, ვინმე ჩამოვიდეს და გვარიშვილობას ვინ ჩივის?!

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲪᲕᲘᲠᲘ — სრ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად მიგიჩნიოთ. არადა, სწორედ დღეს მოგცემთ შესაძლებლობა, პარტნიორებთან შეთანხმებას მიაღწიოთ და სულიერი სიმშვიდეც მოიპოვოთ.

ᲙᲣᲠᲝ — დღეს აუცილებელია მოთმინებითა და გამძლეობით აღიჭურვოთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტებს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. შეეცადეთ, მეტი იფიქროთ და ამას არ ინანებთ. არის ალბათობა, დღეს პრემია ან სხვა დაუგეგმავი შემოსავალი მიიღოთ.

ᲪᲣᲪᲘᲜᲘ — თქვენთვის დღე მთლიანობაში სასიკეთოა — თუ იშრომებთ, მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. შესაძლოა, გაუცნობიერებლად აღმოაჩინოთ უკვე მივიწყებული პრობლემების მოგვარების საინტერესო და ოპტიმალური გზები. სასარგებლო იქნება იმ მეგობრების რჩევები და რეკომენდაციები, ვისთანაც დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებთ, თუმცა ნუ მოდუნდებით — დღეს გამჭრიახი გონება და თავისუფალი აზროვნება აუცილებლად დაგჭირდებათ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღე წარმატებებს ჭიერდება სიყვარულში, ასევე სასიამოვნო პაემანს, წვეულებებს, შესაძლოა, მოულოდნელად, ჭონორარი მიიღოთ. დღეს რომანტიკული განწყობა არ მოგცემთ საშუალებას, მოსაწყენი საქმით დაკავდეთ. სავარაუდოა ასევე, ახალი რომანტიკული ნაცნობობა შორიდან ჩამოსულ ადამიანთან.

ᲚᲝᲛᲘ — ლომებს დღე უფროსებთან კამათს უქადის, თუმცა მთლიანობაში, ის საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი საკუთარ პოტენციალს საქმეების მოგვარებაზე დახარჯავთ, რაც ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. მიმდინარე საქმეები არც ისე რთული აღმოჩნდება, სამაგიეროდ, მოგებას მოგიტანთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ დღეს განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ საყოფაცხოვრებო ქიმიასთან.

ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ — ქალწულებს დღეს ფინანსური დანაკარგები ელით — ეს ეველაფერი კი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. არ არის გამორიცხული, საღამოს სასიხარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები გახსენებენ, დრო და ყურადღება ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ. დღის მეორე ნახევარში კი სტუმრებს უნდა ელოდეთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — დღეს სამსახურში განსაკუთრებით ფრთხილად და ყურადღებით უნდა იყოთ. ასევე — ძალიან თავაზიანი და მოძრაბეჯელი. აუცილებელია მთელი დღის განმავლობაში საკუთარ რაციონში შეამციროთ მარილიანი, ცხიმიანი და მწარე საკვები. დღის პირველ ნახევარში შესაძლოა ვერ შეძლოთ იმ საქმეების შესრულება, რაც დაგეგმილი გქონდათ.

ᲚᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — დღეს ძალიან მშვიდად იქნებით. დიდია საკვებით მოწამვლის ალბათობა, ამიტომ ყურადღებით იყავით. სასარგებლო და სასიხარულო აღმოჩნდება ურთიერთობა უფროსი ასაკის ადამიანებთან. ფინანსურ ოპერაციებში, სჯობს, მეტი გამბედაობა გამოავლინოთ და ყურადღება მხოლოდ საქმეზე გადაიტანოთ.

ᲛᲨᲕᲘᲦᲝᲡᲜᲘ — მშვიდდასნებს დღეს ვარსკვლავები ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ. დიდი ხნის წინ დაგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, ობიექტური მიზეზების გამო გადადიოს, თუმცა მხოლოდ ცოტა ხნით. მთელი დღის განძავლობაში მღელვარებით დაკავირდებით უმცროსი ასაკის ახლობლის ქცევებს.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — დღეს დრო არ გეყოფათ ურთიერთობებისთვის. ნიშნის წარმომადგენელი მამაკაცები საქმეში ორიგინალურობასა და ნოვატორობას გამოავლენენ. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები კი გრეგნობით გაიბრწყინებენ. წარმატება მათი თანმდევი იქნება, ვინც სამგურნალო კოსმეტოლოგიით არის დაკავებული. ფინანსურ სფეროში დღე ასევე საკმაოდ წარმატებით ჩაივლის.

ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘ — მერწყულებისთვის საუკეთესო დღეა შეხვედრებისა და პაემნისთვის. სახლის საქმეებსაც მშვენივრად უძღვებით. გაატარეთ დღეკანდელი დღე საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად ან მეგობრებს მიაკითხეთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲖᲝᲜᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს საპირისპირო სქესთან განსაკუთრებული წარმატებით ისარგებლებენ. საღამოსკენ შეგიძლიათ სალონში, პარიკმახერთან ვიზიტი დაგეგმოთ. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ ავტორიტარულობის გამოვლენისგან და გარშემომყოფების ნაკლზე ზედმეტ ყურადღებას ნუ გაამახვილებთ, სხვა შემთხვევაში, დღის ბოლოს შესაძლოა მარტო აღმოჩნდეთ.

ᲐᲥᲘᲜᲓᲘᲡ ᲐᲰᲠᲝᲤᲜᲝᲮᲘ

	ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ	ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	+15	+14
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	+15	+11
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ	+17	+14
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ	+13	+12

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ ᲐᲰᲠᲝᲤᲜᲝᲮᲘ

	ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ	ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ	+13	+11
ᲒᲣᲚᲓᲐᲕᲘ	0	-1
ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ	0	-1
ᲛᲔᲡᲢᲘᲐ	+5	+2

შენდამა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲒᲘᲬᲘᲠᲝᲗ. ᲞᲐᲜᲢᲐᲜᲐᲡᲐᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

8	2	3	7	1	6	9	5	4
4	1	9	5	3	8	7	2	6
7	6	5	4	9	2	1	3	8
6	5	1	2	7	9	8	4	3
3	4	8	1	6	5	2	9	7
2	9	7	3	8	4	6	1	5
1	3	6	9	5	7	4	8	2
9	8	4	6	2	3	5	7	1
5	7	2	8	4	1	3	6	9

რთული

3	4	9	2	8	6	7	5	1
2	1	8	7	5	9	6	4	3
7	6	5	3	4	1	2	9	8
1	9	3	8	7	5	4	6	2
8	5	2	4	6	3	1	7	9
6	7	4	1	9	2	8	3	5
4	3	7	5	1	8	9	2	6
9	2	1	6	3	7	5	8	4
5	8	6	9	2	4	3	1	7

საშუალო

7	2	3	6	1	9	5	4	8
5	6	8	4	2	7	3	1	9
4	1	9	8	5	3	2	6	7
3	9	2	1	8	6	7	5	4
1	5	6	9	7	4	8	3	2
8	4	7	2	3	5	1	9	6
6	3	5	7	9	2	4	8	1
2	8	4	5	6	1	9	7	3
9	7	1	3	4	8	6	2	5

ეჭვიანი

7	4	3	2	8	9	6	1	5
5	6	2	7	1	4	3	9	8
1	9	8	6	5	3	4	7	2
4	8	1	5	7	2	9	6	3
3	2	9	4	6	1	8	5	7
6	7	5	3	9	8	2	4	1
9	5	7	8	3	6	1	2	4
2	3	6	1	4	7	5	8	9
8	1	4	9	2	5	7	3	6

ჰოროსკოპი
24 იანვარი

ვერძი — დღეს სასიცოცხლო ძალების დაქვეითება გელით. ჰარმონიული სიტუაცია ხელს შეუწყობს თქვენს ფინანსურ კეთილდღეობას. საშუალება მოგეცემათ, რამდენიმე საქმეს ერთდროულად შეეჭიდოთ და ყოველი მათგანი ბოლომდე მიიყვანოთ.

კურო — თქვენთვის დღეს დიდი მნიშვნელობა ექნება წერილებსა და ოფიციალურ კითხვებს. არ არის გამორიცხული, ინსტანციიდან ინსტანციაში იაროთ საჭირო დოკუმენტების მისაღებად. დღე რთულია რაიმე საქმის მოსაგვარებლად ან თავის დასანებებლად. უცვლელია სიტუაცია პირად ცხოვრებაშიც, თუმცა პარტნიორის მიმართ მოთხოვნებს, შესაძლოა, დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდეს. დღეს ზედმეტად დამოუკიდებელი და აქტიური ხართ.

ტყუპები — დღეს ტუუპებმა, სჯობს, დაისვენონ — საქმეში წარმატებას ნუ დაელოდებით. არ არის გამორიცხული, ახლობელი ადამიანების საქციელმა გული გატკინოთ, ამიტომ უკეთესი იქნება, თუ საღამოს შინ, ოჯახში გაატარებთ. დიდია ალბათობა, სტუმრების მიღებისა. დღეისთვის დაგეგმილი ეველა საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, მოაგვარეთ საკამათო საკითხები მეზობლებთან და სტუმრების მოსვლამდე, მათ დასასვენებლად მომზადებასაც მოასწრებთ.

კირჩხიბი — კარგი დღეა კოლეგებთან, ნათესავებსა და ბავშვებთან ნაყოფიერი ურთიერთობისთვის, მაგრამ არ დარს, რომანტიკულ გრძნობებს აუვეთ, რადგან ამან, შესაძლოა, თქვენს კარიერას ხელი შეუშალოს. დღეს სჯობს, გადადოთ ნებისმიერი ფინანსური პრობლემის მოგვარება, ნუ მოაწერთ ხელს დოკუმენტებს.

ლომი — დღეს თავს კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პრობლემა, რომელიც დიდი ხანია გაღელვებთ. ლომი–მამაკაცები რაინდული საქციელისთვის მზადეოფნას გამოავლენენ, თუმცა თავი უნდა შეიკავოთ ზედმეტი ავტორიტარიზმის გამოვლენისგან, თუ გსურთ, რომ საბოლოოდ მარტო არ დარჩეთ. დღის მეორე ნახევარი დასვენებისთვის გამოიყენეთ — მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად კინოში წადით ან დრო წუნარ გარემოში გაატარეთ.

ქალწული — ქალწულებს დღეს სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერგიის დაქვეითება ელით, თუ საფინანსო საქმეებით არიან დაკავებულნი ან ბანკში მუშაობენ. სხვა სპეციალობის წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი სამუშაო დღეა, თუმცა საღამოს, არ არის გამორიცხული პრობლემები, სიტუაციაში გარკვევის მცდელობა. შეეცადეთ, საღამოს თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლინებისგან, რადგან ამ დროს უფრო გაღიზიანებული იქნებით.

სასწორი — კარგი დღეა საყვარულში გამოტეედომისთვის, ქორწინებისთვის, ოჯახში დღესასწაულებისთვის. დიდია ალბათობა, სხვადასხვა საქმიან ოპერაციებში წარმატებას მიაღწიოთ, თუკი სწორ ფინანსურ პოლიტიკას გაატარებთ. მაგრამ მუდმივად დგახართ ცდუნების წინაშე და ამიტომ, გონივრულად განაწილეთ საკუთარი ფინანსები. საღამოს, შესაძლოა, მოულოდნელად გაგიჩნდეთ ინტერესი რელიგიის მიმართ.

ღრიანცელი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს არც ისე წარმატებული დღე ელით უფროსებთან, მშობლებთან ურთიერთობაში. შუადღისთვის თქვენი შინაგანი ენერგია გარეთაც გამოაღწევს და გაუცნობიერებლად მიადგებით საინტერესო და ოპტიმალურ მეთოდებს პრობლემების მოსაგვარებლად. ამ საქმეში მეგობრებისა და უფროსების რჩევებიც გამოგადგებათ.

მშვილდოსანი — ფინანსურ სფეროში საკმაოდ რთული დღე გაქვთ და დაუგეგმავი ხარჯების გაღებაც გელოდებათ. სახლში კი მშვიდობა და სიმეუდროვეა. ამის გამო, განწყობაც საკმაოდ ამაღლებული გაქვთ. დღეისთვის დაგეგმილი საქმეები წარმატებით დასრულდება. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ მთლიანად საკუთარ თავს დაუთმოთ, თუნდაც მაღაზიებში გაიარეთ და რაიმე ლამაზი ნივთი შეიძინეთ.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლებს პარტნიორთან არც ისე მარტივი ურთიერთობა ელით, რაც მათგან უშუალობასა და გულწრფელობას მოითხოვს. ნებისმიერი საეალბე მხოლოდ ნეგატიურად იმოქმედებს და ეველაფერს დაანგრევს. ფინანსურ სფეროში კი დიდ რეეკებს ნუ დაელოდებით. სჯობს, დღეს ემოციებისგანაც თავშეკავებული იეოთ.

მერწყული — დღეს, შესაძლოა, სასიამოვნო თავგადასავლები გადაგხდეთ. დღის ბოლოს მოგვენების მოულოდნელი შემობრუნებაა მოსალოდნელი. ეურადღებით იეავთ, რათა სიტუაციაზე კონტროლი არ დაკარგოთ. სავსებით შესაძლებელია, ნათესავებმა საინტერესო და შემოსვლიან სიმსხურში მოგაწეონ. ფრთხილად იეავთ და თუ წამალი დაგჭირდებათ, ის მხოლოდ და მხოლოდ ექიმის დანიშნულებით მიიღეთ.

თევზები — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იმის მიუხედავად, რომ თქვენს ქცევაში ბევრი სიმსუბუქე და სპონტანურობაა, მაინც ძველებურად ეურადღებიანი იქნებით მიმდინარე მოვლენებში წვრილმანებისა და ცალკეული ნიუანსების მიმართ. თევზებმა დღეს, შესაძლოა, კარგი ახალი იმბები გაიგონ ნათესავებისგან. ეს ინფორმაცია გახდება მიზეზი უახლოეს მომავალში ცხოვრების ახალი სტილის ფორმირებისთვის.

ბიუსტჰალტერი სასწრაფოს გამოიძახებს

ამერიკელმა ინჟინრებმა არკანზასის უნივერსიტეტიდან „ჭკვიანი ბიუსჰალტერი“ შექმნეს, რომელიც მედიკოსებს საშუალებას მისცემს, პაციენტების მდგომარეობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აკონტროლონ. გამოგონებას, რომელიც ნანოტექსტილისა და სმარტფონის ტექნოლოგიებს აერთიანებს, გადამცემები აქვს ჩამონტაჟებული, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდება და ინფორმაციას უსადენო ქსელით გზავნის. მაღალტექნოლოგიური ბიუსჰალტერი საშუალებას იძლევა, ექიმმა პაციენტზე დაკვირვება რეალურ დროში, მუდმივად აწარმოოს. სისტემა აკონტროლებს არტერიულ წნევას, სხეულის ტემპერატურას, სუნთქვის სიხშირეს, ჟანგბადის მოხმარებას, ასევე გარკვეულ ნეირონულ აქტივობას. სისტემას ჩვეულებრივი ტომოგრაფის შეცვლაც შეუძლია, რადგან ყოველგვარი დამატებითი აქსესუარის გარეშე, როგორც ელექტროკარდიოგრაფი, გულის მდგომარეობის შესახებ ჩვენებებსაც იწერს და გზავნის კიდეც, რისი საშუალებითაც, ექიმს აცნობებს, აქვს თუ არა პაციენტს გულის შეტევა. ამ ყველაფერს „ჭკვიანი ბიუსჰალტერი“ მონეტის ზომის ოქროს ნანო-ელექტროდების მეშვეობით ახორციელებს, რომელიც ლიფის ქსოვილშია ჩაკერებული. სიახლის ავტორები აღნიშნავენ, რომ მათი გამოგონება სპორტსმენ მანდილოსნებსაც გამოადგებათ — მობილური ტელეფონის დახმარებით, ბიუსჰალტერი ვარჯიშის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებს გააკონტროლებს.

საგენტო მახინჯ მოდელებს იწვევს

ლონდონში არსებობს სამოდელო საგენტო **Ugly Models Agency**, სადაც ლამაზი გარეგნობის ბიჭები და გოგონები არ დაიშვებიან. საგენტო მხოლოდ უშნო, მაგრამ სახასიათო გარეგნობის ადამიანებთან თანამშრომლობს. ამ ფირმასთან კონტრაქტის გაფორმება მოდელებისთვის დიდი პატივია — ისინი მთელი წლის განმავლობაში მაღალ ხელფასს იღებენ, მონაწილეობენ ფოტოსესიებში და პოპულარული ტელეგადაცემების ხშირი სტუმრებიც არიან. საგენტოს მოდელებს ინვევენ კომედიურ ტელესერიალებში. **Ugly Models Agency** ისეთ ცნობილ ბრენდებთან თანამშრომლობს, როგორიცაა „კალვინ კლაინი“, „ლევისი“, „დიეზელ“, „ვოგი“, „ელ“ და „კოსმოპოლიტანი“. საგენტოს მოდელები მონაწილეობდნენ ასევე პოპულარულ ფილმებში „ჰარი პოტერი“, „აგენტი 007“, „კარიბის ზღვის მეკობრეები“. ფირმა გინესის რეკორდების საგენტოსთანაც თანამშრომლობს და მას უნიკალური გარეგნობის ადამიანების აღმოჩენაში ეხმარება. მაგალითად, მათი რეკომენდაციით მოხვდა გინესის წიგნში მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი, ყველაზე მეტი პირსინგის მქონე ქალი და ყველაზე ტატუირებული მამაკაცი.

ორსართულიან სახლს საბჟელში „მაცავდნენ“

ბრიტანელმა ცოლ-ქმარმა, ალან და სარა ბისლებმა, ორსართულიანი სახლი, რომელიც დაახლოებით ერთ მილიონ დოლარადაა შეფასებული, თივისთვის განკუთვნილ საბძელში დამალა. ამ გზით მათ ადგილობრივი ხელისუფლების მოტყუება განიზრახეს, მაგრამ აფერა გამჟღავნდა და ახლა მეუღლეებს სახლის დანგრევა მოუწევთ. დაახლოებით 12 წლის წინ, ბისლებმა ჰეტფილდის ადმინისტრაციისგან თანხმობა მიიღეს ჩვეულებრივი, თივისთვის განკუთვნილი უფანჯრებო შენობის აშენებაზე, თუმცა შემდეგ, იქ აბაზანა, სასტუმრო ოთახი, სპორტდარბაზი და სამი საძინებელი მოაწყვეს. ამ სახლში მათ ოთხი წელი იცხოვრეს იმედით, რომ კანონის დაცვით აშენებულ შენობას საბოლოოდ, საცხოვრებელ სახლად აღიარებდნენ, მაგრამ მეუღლეების ქმედებამ ჩინოვნიკების გაღიზიანება გამოიწვია, დაიწყო გაუთავებელი სასამართლოები, რომელიც საბოლოოდ, წყვილმა წააგო. მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ ბისლებმა კანონი დაარღვიეს და ამის გამო პასუხი უნდა აგონ. მათ ერთი წლის ვადა მისცეს, სხვა საცხოვრებლის მოსაძებნად.

„ნასამ“ ახალგაზრდობის ელექსირი შექმნა

ამერიკის კოსმოსური საგენტო დაბერების საწინააღმდეგო საშუალების ავტორია. „კოსმიური სასმელი **AS10**“ — ასე ეწოდება სითხეს, რომელიც თურმე, სასწაულს ახდენს. ის აქრობს ნაოჭებს და ახალგაზრდობას ახანგრძლივებს. ეს სასმელი, რომელსაც ასტრონავტები ულტრაიისფერი სხივებისგან დასაცავად იყენებენ, იუტას შტატის უნივერსიტეტის სწავლულებმა შექმნეს. მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში 180 ადამიანი მონაწილეობდა და ყველას კანის სხვადასხვა სახის ნაკლოვანება ჰქონდა. ოთხი თვის განმავლობაში, სითხის ორ-ორი ყლუპის მიღების შემდეგ, მონაწილეებს პიგმენტური ლაქების 30% და ნაოჭების 17% გაუქრათ. მეცნიერების თქმით, ამ „სასწაულმოქმედი“ სასმელის შემადგენლობაში სხვადასხვა მცენარის, ხილისა თუ კენკრის წვენი შედის, მაგალითად, წითელი ჩაი კარკადე, ეგზოტიკური ხილის ასორტი, ასაის კენკრა, კაკაო, კაქტუსის, ბროწეულისა და ყურძნის წვენი. ეს ინგრედიენტები ადამიანის ორგანიზმს ვიტამინებითა და ფიტოელემენტებით ამარაგებს, რაც რადიაციულ ზემოქმედებას ანეიტრალებს. გარდა ამისა, „ახალგაზრდობის ელექსირი“ ანტიოქსიდანტებს შეიცავს, რომელიც ორგანიზმს უჯრედების დამაზიანებელი და სიმსივნის გამომწვევი მოლეკულებისგან იცავს. ამერიკელი მეცნიერების თქმით, ისინი ზაფხულში კიდევ ერთ მასშტაბურ ექსპერიმენტს გეგმავენ, რის შემდეგაც, სითხის ბაზარზე გამოშვებაზე იფიქრებენ. ამჯერად, **AS10**-ის 700-მილიგრამიანი ბოთლის ფასი 50 დოლარია.

სუდოკუ

ადვილი

3				6				8
			5		4	6		1
							4	
	2	1		8		9		
9		7		5		1		6
		4		7		3	2	
	6							
4		8	9		6			
7				4				9

სტანდარტი

	3				9			4
5				1			6	9
			8	5				
							9	
2	9		5		3		7	6
	6							
				8	6			
9	5			3				1
8			9				2	

რთული

			8		3			2
7						9	5	
6	3		9			1		7
3		6			8			
				1				
			6			7		9
8		7			1		9	5
	4	3						6
9			4		6			

ექსპერტი

7			1			9		6
	3	1						
	8			3	9	2		
1			3					
	7						4	
					8			9
		7	6	9			5	
						7	9	
2		4			7			8



თმა იქ ამოგივათ, საღაც მოისურვებთ

ტოკიოს სამეცნიერო უნივერსიტეტის სწავლულებმა შეძლეს ღეროვანი უჯრედებიდან თმის ძირების (ბოლქვების) გამოყვანა და მათი გადანერგვა მელოტი მღრღნელის კეფაზე. ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა და თაგვს ახალი ბეწვი ამოუვიდა. მეცნიერები პირობას დებენ, რომ სულ მალე მიაგნებენ მოსახერხებელ და უსაფრთხო მეთოდს, მელოტ მამაკაცებს მშვენიერი ქოჩორი რომ დაუბრუნონ. მომავალში ღეროვანი უჯრედებიდან ახალი უჯრედის შექმნის უნარი, შესაძლოა, ახალი, ტრანსპლანტაციისთვის საჭირო ორგანოების გამოყვანის საფუძველიც გახდეს, რომელსაც პაციენტის ორგანიზმი არ უარყოფს. თუმცა მათთვის, ვისაც თავზე თმა უკვე შემოელია, სიხარული ნაადრევია. იაპონელ მკვლევართა თქმით, კლინიკური ცდები მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაიწყება, ამ მეთოდით სიქაჩლის მკურნალობა კი პრაქტიკაში, ალბათ, ათ წელზე ადრე ვერ მოხდება.

ყველაზე სასარგებლო ხილი



მეცნიერები და მედიკოსები ერთხმად ადასტურებენ, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლო ხილი ჭერამია. ამ გამოკვლევისთვის სწავლულებმა რამდენიმე სახეობის ხილი შეარჩიეს და საბოლოოდ, დაადგინეს, რომ ის პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს გულის კუნთის მოქმედებასა და სისხლის მიმოქცევაზე, აქვეითებს წნევას, აწესრიგებს მხედველობას, ასევე ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსიკურ ნივთიერებებს. ამ ყველაფრის გარდა, ჭერამში ბევრი კალიუმია, რაც ძალიან სასარგებლოა თირკმელებისთვის. სწავლულები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჭერმის ჩირიც სასარგებლოა, მასში არსებული „ცე“-ჯგუფის ვიტამინებისა და ფლავონოიდების წყალობით, სისხლძარღვების ელასტიურობა ნარჩუნდება, ხოლო კაროტინებით ჭერამი იცავს ორგანიზმს ყელისა და საყლაპავის, კუჭის, ფილტვისა და შარდის ბუშტის კიბოსგან. კაროტინების დღიური ნორმის მისაღებად, საკმარისია, 5-6 ახალი ხილი ან 15-20 ცალი ჩირი მიირთვათ. ფოსფორისა და მაგნიუმის წყალობით კი, ჭერამი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მეხსიერებას და გონებრივ შრომისუნარიანობას ამაღლებს.

მელ გიბსონი – ფოსტერის შვილების მამა?

ჰოლივუდიდან ჯოდი ფოსტერის შვილების შესახებ მორიგი ჭორი ვრცელდება. ახლა ტაბლოიდები წერენ, რომ მათი მამა, შესაძლოა, მელ გიბსონი იყოს. ცნობილ მსახიობს ორი შვილი ჰყავს: 14 წლის ჩარლზი და 12 წლის კიტი, თუმცა ფოსტერი საგულდაგულოდ მალავს მათი მამის ვინაობას და ამტკიცებს, რომ ამ საიდუმლოს მხოლოდ მაშინ გაამხელს, როცა ბიჭებს 21 წელი შეუსრულდებათ. „ოქროს გლობუსზე“ მომხდარმა მოვლენებმა კი ჰოლივუდელ ჭორიკნებს აფიქრებინა, რომ ბავშვების მამა მსახიობის დიდი ხნის მეგობარი მელ გიბსონი შეიძლება იყოს. ჯოდიმ აქ სესილ დე მილის სახელობის პრიზი მიიღო და დაჯილდოებაზე გრძელი სიტყვითაც გამოვიდა, რომლის დროსაც, პრაქტიკულად, აღიარა საკუთარი არატრადიციული ორიენტაცია, მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის შვილებს, დედასა და ცალკე, თბილად მოიხსენია გიბსონი, რომელმაც თავის დროზე, დახმარება გაუწია. ყველამ აღნიშნა, რომ პოპულარული მსახიობი ფოსტერის ბიჭებთან ერთად იჯდა მაგიდასთან. ზოგიერთებმა იმის მტკიცებაც დაიწყეს, რომ ბავშვები ძალიან ჰგვანან მსახიობს.



კოფეინი ძხელდვლობაზე იცავს

ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერები აცხადებენ, რომ კოფეინის მოხმარება აუმჯობესებს ცრემლის გამომუშავებას. სპეციალისტების თქმით, მათი აღმოჩენა საშუალებას მისცემთ, დაიხვეწოს ეგრეთ წოდებული მშრალი თვალის სინდრომის მკურნალობის მეთოდი. სინდრომს (ცრემლის აპკი შრება და ვერ ასწრებს აღდგენას) თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიც არის თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა. იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც კოფეინსა და პლაცებოს იღებდნენ. შედეგად, ვინც კოფეინს იღებდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა ცრემლის გამომუშავება. მკვლევარები აცხადებენ, რომ კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, ვინც შედარებით მგრძნობიარეა ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტების მიმართ.

ჩინეთში ტკბილი პარკი გაიხსნა

ჩინეთის ქალაქ შანხაიში ახალი დაწესებულება გაიხსნა, რომელიც ბევრის გემოვნებაში ჯდება. ეს უზარმაზარი, თემატური შოკოლადის პარკია. აქ ყველაფერი იჭმევა, მიუხედავად იმისა, ბრინჯაოს ქანდაკებას ხედავთ, ტყავის ჩანთას, მარმარილოს, ფაიფურსა თუ ძვირფას სამკაულებს. პარკის მხოლოდ ერთ, ყველაზე დიდ კომპოზიციაზე — ციხე-კოშკზე 160 ტონა შოკოლადი დაიხარჯა. აქ ნახავთ ფანტასტიური მცენარეების პავილიონს, რომელიც მხოლოდ ფორმით არ გაგაოცებთ — ისინი ანათებს კიდეც. ორგანიზატორები ახლა ოპტიმალური ტემპერატურის შერჩევას ცდილობენ, რათა ექსპონატებმა მნახველებს რაც შეიძლება დიდხანს უმასპინძლონ.

„ვისოლმა“ და „უნიქარდმა“ ქველმოქმედი და ერთგული მომხმარებლები დაჯილდოვა

„ქველმოქმედება გულიდან მოდის!“ — „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის ეს ფრაზა 20 იანვარს, სათავო ოფისში საგანგებოდ მოწყობილ ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა. ეს დღე განსაკუთრებული იყო იმით, რომ პრესკონფერენციის ორგანიზატორები ღიად ლაპარაკობდნენ დათესილ სიკეთეზე — თემაზე, რომელზე საუბარიც სხვა დროს არ უყვართ. იმ დღეს კი, უხერხულობა და თავმდაბლობა მხოლოდ იმიტომ დაივიწყა ყველამ, რომ მთავარი ქველმოქმედები, რიგითი მოქალაქეები იყვნენ — „ვისოლისა“ და „უნიქარდის“ ერთგული და სუპერაქტიური მომხმარებლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კომპანიების ერთობლივ საახალწლო აქციაში.

კომპანიების ერთობლივი უნიკალური აქციის წყალობით, ფონდი „იავნანა“ მრავალშვილიან ოჯახს ბინას გადასცემს

სიმართლე გითხრათ, 20 იანვარს პირველად ვინანე, რომ ავტომანქანის მფლობელი არ ვარ და ბენზინს „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურზე არ ვყიდულობ. გული დამწყდა არა კომფორტის, არამედ იმის გამო, რომ „ვისოლის“ წყალობით, არ მომეცა საშუალება, საქველმოქმედო აქციაში მიმეღო მონაწილეობა — 20 დეკემბრიდან 13 იანვრის ჩათვლით, „ვისოლის“ ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის შესყიდვისას და „უნიქარდის“ გატარებისას, ერთი თეთრი გადამერიცხა საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე.

სამაგიეროდ, ამის საშუალება, საქართველოს მასშტაბით ათიათასობით ადამიანს მიეცა. მათგან ყველაზე აქტიურები საჩუქრად „ვისოლის“ საწვავს, სუპერმარკეტ „სმარტისა“ და ავტომომსახურების ქსელ „ვიანორის“ 200-ლარიან ვაუჩერებს, ასევე „უნიქარდის“ ქულებს მიიღებენ. რაიონში, ერთგულ მომხმარებლებს, საჩუქრები სახლებში გაეგზავნებათ. თბილისელებს კი, ვაუჩერები და სიგელები 20 იანვარს, სოსო ფხაკაძემ პირადად გადასცა.

დაჯილდოების ცერემონიას, „ვისოლის“ ხელმძღვანელებთან ერთად, „უნიქარდის“ გენერალური დირექტორი ბესო აბულაძე და პაატა ბურჭულაძეც ესწრებოდნენ.

„საზოგადოებაზე ზრუნვა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრიორიტეტია „ვისოლ ჯგუფისთვის“. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანასთან“, კომპანია დაარსების პირველივე დღიდან თანამშრომლობს. „იავნანამ“ „ვისოლსა“ და სხვა ერთგულ მხარდამჭერებთან ერთად, 72 ოჯახს შეუძინა ბინა და 1500-მდე ბავშვს მისცა საშუალება, ოჯახურ, თბილ გარემოში, უკეთეს პირობებში იცხოვროს. „უნიქარდიც“ აქტიურად თანამშრომლობს „იავნანასთან“ და უკვე 1 წელია, 4 მრავალშვილიან ოჯახს ურიცხავს ყოველთვიურ ხელფასს. მოხარული ვარ, რომ დღევანდელ აქციას „უნიქარდიც“ შემოუერთდა და ერთად შეგვაქვს წვლილი მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად. ამ აქციის მიზანი ისიც გახლდათ, რომ გამოგვევლინა ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან თავისი ერთგულებით. ძალიან დიდი პატივია, ფონდი „იავნანა“ გვაძლევს ქველმოქმედების საშუალებას. ამის გამო, მადლობას გადავუხდი ამ ფონდსა და პაატა ბურჭულაძეს. მადლობა ასევე „უნიქარდსა“ და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც აქციაში მიიღო მონაწილეობა. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რამდენ თეთრს გაიღებს გაჭირვებული ადამიანისთვის, მთავარია, გქონდეს სურვილი, დაეხმარო სხვას. მთავარია, გულმა გიბიძგოს ამისკენ, რადგან ქველმოქმედება გულიდან მოდის“, — „ვისოლის“ პრეზიდენტ **სოსო ფხაკაძის** ამ გამოსვლამ ღონისძიების ვერცერთი სტუმარი გულგრილი ვერ დატოვა.

„უნიქარდის“ გენერალურმა დირექტორმა, ბესო აბულაძემ „ვისოლის“ ხელმძღვანელებს განსაკუთრებული მადლობა იმისთვის გადაუხადა, რომ როგორც გაირკვა, სწორედ მათი იდეა იყო, საახალწლო აქციაში „უნიქარდის“ ჩართვა. **„მადლობა კომპანია „ვისოლის“ ხელმძღვანელობას, რადგან სწორედ მათი ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა ეს აქცია. მათი დამსახურებაა, ათიათასობით ადამიანი რომ გახდა ქველმოქმედი. ამ აქციის მიზანი იყო, თანხა ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე გადარიცხულიყო. სწორედ ამ ფონდმა და პაატა ბურჭულაძემ მოგვცა შესაძლებლობა, დავხმარებოდით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს“,** — განაცხადა **ბესო აბულაძემ**.

ემოციური იყო **პაატა ბურჭულაძის** მიერ წარმოთქმული სიტყვაც: **„ჩემთვის დიდი პატივია დღეს აქ ყოფნა. „ვისოლი“ დაარსების დღიდან დგას „იავნანას“ გვერდით და ზრუნავს ჩვენ ბავშვებზე. ვერც კი დავითვლი, რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული. დღეს ამ სასიკეთო საქმეს ამოუდგა გვერდით „უნიქარდი“. მასაც მადლობას გადავუხდი. თქვენც დიდი მადლობა. „იავნანას“ ჩვენ, ყველანი ერთად წარმოვადგენთ. ამ სიკეთის შედეგს 2 მარტს იხილავთ. გადავწყვიტეთ ტელემარათონის ჩატარება. საღამო სოფიკო ჭიაურელს მიეძღვნება — 2 მარტს, მისი გარდაცვალებიდან 5 წელი სრულდება. ღონისძიება ღამით გაიმართება და 3 მარტს, დედის დღეს, სცენაზე შევხვდებით. თქვენი წყალობით შემოსული თანხა ჯერ დასათვლელია, მაგრამ წინასწარი მონაცემებით, შევძლებთ, ერთ მრავალშვილიან ოჯახს ბინა ვუყიდოთ. წარმოიდგინეთ, რამდენიმე ბავშვის ცხოვრებას, ჩვენ, ყველანი ერთად, ერთ დღეში შევცვლით. წარმოიდგინეთ, ეს რამხელა ბედნიერებაა!“**

ქველმოქმედება რომ ბედნიერებაა, ამაში იმ მოქალაქეებთან საუბრისასაც დარწმუნდებოდით, რომლებსაც „ვისოლისა“ და „უნიქარდის“ საჩუქრები გადაეცათ. დავით ჯავახიშვილი, საჩუქრებთან ერთად შინ სიგელსაც მიიტანს, სადაც წერია, რომ „ვისოლისა“ და „უნიქარდის“ ერთგული მომხმარებელია და ასევე ქველმოქმედი, რომლის დამსახურებითაც, „იავნანა“ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დაეხმარება: **„რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა ამგვარ აქციაში მონაწილეობა. ეს საჩუქრები „ვისოლის“ ერთგულ მომხმარებლებს, ნამდვილად წაგვახალისებს. მომავალში, უფრო ერთგული ვიქნები კომპანიისა, რომელმაც დააფასა ჩემი ერთგულება, საჩუქრებიც გადმომცა და იმის საშუალებაც მომცა, „იავნანას“ ფონდში თანხა გადამერიცხა“.**

უფრო ემოციური იყო ნონა მუხიგულაშვილი. **„მე და ჩემი მეგობარი ბენზინს ყოველთვის „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურში ვყიდულობთ. სიმართლე გითხრათ, არასოდეს არაფერი მომიგია. როცა დამირეკეს და მითხრეს, საჩუქრები უნდა გადმოგცეთო, ძალიან გამიხარდა. უფრო არაჩვეულებრივი განწყობა კი მას შემდეგ შემექმნა, როცა აქ მოსულს მითხრეს, ბავშვებსაც დაეხმარეთო. ამის გააზრება ნამდვილად საოცარი შეგრძნებაა“.**

სიკეთისმთესველთა რიცხვი, მომავალში უფრო გაიზრდება, რადგან, სოსო ფხაკაძეს თუ დავესესხებით — „ქველმოქმედება გადამდებია!“

ნინო ლურსმანაშვილი

ყველაზე ფოტოგენური ქალები დაასახელეს

ვარსკვლავების უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია არა ის, როგორ გამოიყურებიან ცხოვრებაში, არამედ რამდენად უყვარს კამერას. ფოტოებზე კარგად გამოჩენა შოუბიზნესის წარმომადგენლებისთვის პირველხარისხოვანი ამოცანაა. ათასობით მანდილოსნის გამოკითხვის შედეგად, სოციოლოგებმა პლანეტის ყველაზე ფოტოგენური ქალების რეიტინგი შეადგინეს. 26 წლის ცნობილი ბრიტანელი მომღერალი შერილ ქოული სიის ლიდერი აღმოჩნდა. მან ისეთ სექსუალურ ქალებს აჯობა, როგორიც ანჯელინა ჯოლი და მეგან ფოქსი არიან. სწორედ მისი იდეალური სახე, რომელიც „ლორეალის“ პროდუქციას უკეთებს რეკლამას, გამოკითხულებმა ყველაზე ფოტოგენურად დაასახელეს. ქოული ხალხს უყვარს მიმზიდველი გარეგნობის, გემოვნებისა და კეთილგანწყობილი ნატურის გამო, — განაცხადეს გამოკითხვის ორგანიზატორებმა. რეიტინგში მეორე ადგილი ლეგენდარულ მსახიობსა და ულამაზეს ქალბატონს, ოდრი ჰეპბერნს ერგო, მესამეზე კი ანჯელინა ჯოლი აღმოჩნდა. პლანეტის ყველაზე ფოტოგენური ქალების ტოპ-ათეულში შევიდნენ ასევე: ბიონსე, პრინცესა დიანა, მერლინ მონრო, მეგან ფოქსი, ბრიჯიტ ბარდო და კეტრინ ზეტა-ჯონსი.

სამძიმარი

გაზეთ „ვერსიის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ნინო ხარშილაძეს ბებიის

მარიამ ბიძინაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

უფალმა დაუმკვიდროს სამუდამო სასუფეველი ქალბატონ მარიამს.

ამინ!

იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com